როინ მეტრეველი

რაჭა

შტრიხები წარსულიდან



გამომცემლობა არტანუჯი
თბილისი

ნიგნში გადმოცემულია საქართველოს ერთ-ერთი ულამაზესი კუთხის – რაჭის წარსული, მის ბინადართა ეთნოგრაფიული ყოფა; აღწერილია ხუროთმოძღვრებისა და ჭედურობის ძეგლები; განხილულია ისტორიული ვითარება; შეფასებულია რაჭის საერისთავოს შექმნა-განვითარება და ქვეყანაში მისი მნიშვნელობა. განსაკუთრებული ადგილი ეთმობა ამ კუთხის დღევანდელ პრობლემებს.

რედაქტორი პროფ. ლევან ფრუიძე

ISBN 978-9941-445-15-6

© რ. მეტრეველი,
© გამომცემლობა „არტანუჯი“,

შინაარსი

მთაო გადმიშვი

საქართველოს მთიანეთის ისტორიის შესწავლის მნიშვნელობისათვის 5

უცხოელები რაჭის შესახებ

იოჰან გიულდენშტედტი და სხვები 29

„ზაფხულს გრილი, ზამთარ თბილი“

ზოგი რამ რაჭის საერისთავოს ისტორიიდან 55

„შეუვალი გარე მტრისაგან“

რაჭის ეთნოგრაფიული ყოფა, ხუროთმოძღვრების და ჭედურობის ძეგლები, ისტორიული ვითარება 113

მთაო გადმიშვი

საქართველოს მთიანეთის ისტორიის შესწავლის მნიშვნელობისათვის

საქართველოს მთა ორგანული ნაწილია ქვეყნისა. იგი, გარდა სილამაზისა, მძლავრ ეკონომიკურ ძალას წარმოადგენს. უფრო მეტიც, ყოველთვის ბარის იმედი იყო. მტერმრავალი ქვეყნის მოსახლეობა დამპყრობლის ძალადობის დროს მთას აფარებდა თავს. მთა უდიდეს როლს ასრულებდა საზღვრების დაცვაში. მთიანეთში ფართოდ მისდევდნენ მეცხოველეობას. მიუხედავად მცირემიწიანობისა, მოჰყავდათ ხორბლის იშვიათი ჯიშები, ბოსტნეული კულტურები. სწორედ აქ ვითარდებოდა მეტალურგია. ერთი სიტყვით, მთიანეთში აქტიური ცხოვრება მიმდინარეობდა.

მთიანეთს მსოფლიო მასშტაბით ექცეოდა განსაკუთრებული ყურადღება. საზოგადოება ითვალისწინებდა, რომ ხმელეთის ნახევარი ზღვის დონიდან 500 მეტრზე მაღლა მდებარეობს (აქედან: 1000 მეტრზე მაღლაა 27%, 2000 მეტრზე – 1%, 3000 მეტრზე მაღლაა 5%, 4000-ზე – 2%). საკამათო არ არის, რომ მთა ქვეყნის სიმდიდრეა. იგი უზარმაზარ რესურსებს (ტყის მასივები, მტკნარი წყლები, მინერალური წიაღისეული, მრავალფეროვანი ცხოველთა სამყარო, მცენარეულობა და სხვ.) შეიცავს ადამიანთა არსებობისათვის.

საქართველო მთიან ქვეყანათა რიცხვს მიეკუთვნება. მისი ტერიტორიის ოთხი მეხუთედი მთაგორიანია. მთის პრობლემები ქართველ ხალხში გაც-

ნობიერებულია. ამ საკითხებს საგანგებოდ იკვლევს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მთიანეთის პრობლემების შემსწავლელი კომისია.[1] საქართველოს განსაკუთრებულობა ისაა, რომ ჩვენამდეა მოღწეული პირველყოფილი სახით ფლორა და ფაუნა. თვალში საცემია ბიომრავალფეროვნება – იშვიათი (ზოგიერთი გადაშენების პირას მყოფი) ენდემური სახეობის მცენარეულობის არსებობა.

გასათვალისწინებელია, რომ მოსახლეობის ნახევარი მაინც მთაში დასვენებას აძლევს უპირატესობას (განსაკუთრებით ევროპის ქვეყნებში). აქედან გამომდინარე, და საერთოდ, ქვეყანაში მთიანეთის განსაკუთრებულად დიდი მნიშვნელობის გამო, ყურადღებას ვამახვილებთ აქსიომურ ჭეშმარიტებაზე – მთას, მთიანეთს, მთიანი ზონის მოსახლეობას დიდი გულისყური სჭირდება. პრობლემების გათავისება და მათ გადაჭრაზე რეალური ზრუნვაა საჭირო.

სამწუხაროდ, დღესდღეობით მნიშვნელოვან რეგრესთან გვაქვს საქმე. საგანგაშოა, რომ საქართველოს მთა (მხედველობაში გვაქვს როგორც აღმოსავლეთი, ისე დასავლეთი საქართველო) მოსახლეობისაგან იცლება. ურთულესია დემოგრაფიული სიტუაცია. ის ფაქტი, რომ მთის რეგიონებში მოკვდაობა აჭარბებს შობადობას და საქმე გვაქვს მოსახლეობის ბუნებრივ კლებასთან – დეპოპულაციასთან, მძიმე მდგომარეობაში აყენებს ქართულ გენოფონდს. ამას ემატება მოსახლეობის ინტენსიური მიგრაცია და საბოლოოდ ჩვენ დაცარიელებული სოფლები გვრჩება.

წინამდებარე ნარკვევი არ ისახავს მიზნად ზოგადად მთის პრობლემების კვლევას, ჩვენ ერთი რეგიონის – რაჭის ისტორიის შესწავლაზე ვამახვილებთ ყურადღებას, თუმცა პრობლემა რაჭისთვისაც[2]

[1] იხ კრებ., საქართველოს მთიანეთის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრობლემები და მათი გადაჭრის გზები, თბ., 2010.

[2] რაჭის შესახებ გარკვეული სამეცნიერო და პუბლიცისტური მასალა არსებობს. რაჭის პრობლემებზე იხ. გ. ბოჭორიძე, რაჭა-ლეჩხუმის ისტორიული ძეგლები

იგივეა, რაც ლეჩხუმ-სვანეთისათვის, ხევისა და მთიულეთისათვის, თუშეთისა და ფშავ-ხევსურეთისათვის. შემთხვევითი არ არის, რომ მთის განსაკუთრებული ყურადღება, მისდამი დიდი სიყვარული, მთის კულტი შემოგვინახა ხალხურმა ლიტერატურამაც, მთისადმი მიძღვნილი ბევრი პოეტური თუ ნარატიული ძეგლია შექმნილი.

საქართველო სხვადასხვა „ქვეყნისაგან" შედგებოდა (ქართლი, კახეთი, ჰერეთი, აფხაზეთი და სხვ.). „ქართლი" დროთა განმავლობაში შინაარსს იცვლიდა. მას უფრო ფართო მნიშვნელობა მიენიჭა, რაც საქართველოს პოლიტიკური ზრდით იყო განპირობებული. ასეთ შემთხვევაში მას უწოდებდნენ „ყოველი ქართლი" ან „ერთობილი ქართლი". ნიშანდობლივია გიორგი მერჩულეს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებისეული" განსაზღვრა: „ქართლად ფრიადი ქვეყანა აღირაცხების, რომელსა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის, დალოცვაჲ ყოველი აღესრულების". ამგვარად, საქართველოს ტერიტორიაზე, სადაც წირვა-ლოცვა ქართულ ენაზე იყო, ქართლად იწოდებოდა და შესაბამისად ქართლად „დიდი „ფრიადი ქვეყანა" აღირაცხებოდა.[1]

მთა ქართულ მწერლობაში გასულიერებულია. იგი წარმოდგენილია როგორც სიმბოლო სილამაზისა; ამ სილამაზეს კი, მდიდარ ფლორასა და ფაუნასთან ერთად, აქ მცხოვრები ადამიანები ქმნიან.

მთის განსაკუთრებული სიყვარულითაა წარმოთქმული პოეტის სიტყვები: „გინახავთ თქვენ დაბინდულ ქლიავის ფერი? ეს ჩემი სამშობლოს მთებია".

და სიძველეები, თბ., 1994; ო. სოსელია, ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიის ნარკვევები (სენიორიები), I, თბ., 1974; ლ. ფრუიძე, რაჭა ეთნოგრაფის თვალით, თბ., 1986; თ. ბერაძე, რაჭა, თბ., 1983; ს. მაკალათია, მთის რაჭა, თბ., 1987; კრებ.: რაჭა – წარსული, ანმყო, მომავალი, თბ., 2012.

[1] იქ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, თხზულებანი თორმეტ ტომად, II, თბ., 1983, გვ. 30.



სოფელი ღები

ზაურ ბოლქვაძემ მთის პოეტური დეფინიციის დეკლარირება გააკეთა:

„მთა არის მიწა აჯანყებული
დედამიწაზე დაუტევარი“ –

ვფიქრობ, ალმოჩენის დონეზეა ეს მცირე მხატვრული პასაჟი. კომენტარი ზედმეტია.

ქართულმა მწერლობამ ხელგაშლილი ხარკი გადაუხადა მთას და მის სიყვარულს. „კავკასი გოლიათი წევს შორის ორთა ზღვათა, შემოკრებით შემცველი დიდ საკვირველებათა“ – ეს ალექსანდრე ჭავჭავაძის სიტყვებია. პოეტი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს კავკასიონის უღელტეხილებს, რომლებიც ხალხს ჩრდილოეთის ქვეყნებთან აკავშირებდა: „განიხსნა კარი და ეშვათ ივერთ სასოება, რომე მუნით შევიდეს მათ შორის განათლება“ („კავკასია“). განსაკუთრებული



სიყვარულით შეამკო კავკასიის მთები გრიგოლ ორბელიანმა:

„ბუმბერაზ მთანი მდუმარედ ცათამდის აყუდებულნი,
სხედან, ვით დევნი, სპეტაკის ყინულ გვირგვინით შემკულნი!"

საოცარი სითბოთი დაგვიხატა ნიკოლოზ ბარათაშვილმა „შემოღამება მთაწმინდაზედ":

„ჰოი მთაწმინდავ, მთაო წმინდავ, ადგილნი შენნი
დამაფიქვრელნი, ვერანანი და უდაბურნი".

ბუნების და, განსაკუთრებით, მთის დიდი მხატვარია ვაჟა-ფშაველა. მისთვის მთა, ისე როგორც საერთოდ ბუნება, არ არსებობს დამოუკიდებლად. ვაჟა ბუნების აღწერას ყოველთვის აკავშირებს სულიერ არსებებთან (ძირითადად ადამიანთან). ბუნების რეალობა და ადამიანის ბედი ერთმანეთთანაა

გადაჯაჭვული. პოეტის შემოქმედებაში მთები ღრმა ფიქრით არიან შებურვილნი. თემიდან მოკვეთილი ალუდა ქეთელაურის ტრაგედიის დროს ბუნებასაც მკაცრად წარმოაჩენს პოეტი:

„შტერად დამდგარან მთის წვერნი
ისმის ხივილი ქარისა“.

ვაჟა-ფშაველამ რამდენიმე ათეული ლექსი მიუძღვნა მთის პრობლემას („მთას აქეთ ნისლი ამოდის“, „მთათ ძილი“, „მთიულის სიმღერა“, „დაუსრულებელი კვნესა“, „საახალწლოდ“, „ყაზბეგის გასტუმრების გამო“, „მთას ვუცქერ ყელმოღერებულს“ და სხვ.).

მოვიყვანთ რამდენიმე ამონარიდს ვაჟა-ფშაველას მთისადმი მიძღვნილი ლექსებიდან:

„მთაო შე შეუპოვარო,
რამ-რა გაგხადა შტერადა, –
დაჰყურებ ჭმუნვით ქვეყანას,
გადაქცეული ცქერადა?!“

(„მთაო, შე შეუპოვარო“)

ან

„მთანი მიყრილან ერთურთზე,
გადაბმულები თხემებით,
გულმკერდი ჩამოჰღარვიათ
ბნელის, საზარლის ხევებით“.

(„დაუსრულებელი კვნესა“)

მთის სიყვარულითა და თაყვანისცემითაა გამსჭვალული ვაჟას ლექსი „მთას ვიყავ“:

„მთას ვიყავ, მწვერვალზე ვიდექ,
თვალთ წინ მეფინა ქვეყანა,
გულზედ მესვენა მზე-მთვარე,
ვლაპარაკობდი ღმერთთანა“.

უდიდესი მნიშვნელობა აქვს ვაჟა-ფშაველას პუბლიცისტურ ნაწარმოებებს, რომლებიც მიძღვნილია მთისა და იქ მცხოვრები ხალხისადმი. პოეტი შეწუხებულია ხელისუფლებისა და საზოგადოების მიერ მთის იგნორირებით: „კარგა ხანია, – წერს ვაჟა-ფშაველა, – გაზეთების პირით აღარაფერი ისმის მთაზე, თითქოს აქ ხალხი არა სცხოვრობდეს, ან არავის რა უჭირდეს,

საყურადღებო არაფერი ხდებოდეს. თქვენ სიხარული ბრძანეთ, თორემ საყურადღებო და გაჭირვება, რამდენიც გნებავთ იმდენი მოიკითხეთ“ („მთის ვითარება“, 1908 წ.). პოეტი ხაზს უსვამს, რომ მთის მოსახლეობა „სიღარიბესა და უმეცრებაშია ჩაფლული“.

1907 წელს ვაჟა-ფშაველამ გამოაქვეყნა შინაური ამბების მიმოხილვა. იგი გულისტკივილით ადასტურებს მიწის სიმცირეს და აღნიშნავს: „უმამულობით სული ხდება ჩვენს მთას. სალ კლდეებზე რა პური მოვა, ყველამ იცის, რომ მთიელსაც კუჭი შიმშილით უხმება. რომ ვეღარ გაუძლო მუდმივ შიმშილს, აიყარა მთა და შირაქის ველ-მინდორს მიაწყდა, თვალის დახამხამებაზე გაჩნდა ორი უშველებელი სოფელი 700-800 კომლიანი“.[1] უმამულობამ და შიმშილმა თერგის ოლქში გადარეკა ქართველობა. მლეთელები და ცხავატელები იძულებით კავკაზის მახლობლად დასახლებულან. ვაჟა შეძრწუნებულია იმ გარემოებით, რომ გადასახლებულების ბედი გაურკვეველია: „მათი ბედი და თავგადასავალი არაფრით ჩამოუვარდება ბედკრულ ოდისევსის თავგადასავალს, აი მოისმინეთ და იხილეთ“.[2]

საქართველოდან გადახვეწილებისათვის მეხის დაცემა იყო თბილისიდან მოსული ბრძანება, – რადგან თქვენ თბილისის გუბერნიის სახაზინო გლეხები ხართ, თერგის ოლქში ცხოვრების უფლება არა გაქვთ. მანდედან უნდა აიყაროთ და თბილისის გუბერნიაში დაბინავდეთო – მთავრობა აქ მოგიზომავთ სახაზინო მიწებსო. „ცხელი ტყვია ისე ვერ დაჰკოდავდა, – ამბობს ვაჟა, – ამ საცოდავ გადახვეწილთ, როგორც ამ ბრძანებამ მოუკლა გული ... აყრით კი აყრიან ქართველებს, და მერე ახალ ადგილს მისცემენ თუ არა, ეგ მხოლოდ ალაჰმა იცის“.[3]

ერთი სიტყვით, ვაჟა-ფშაველა თავისი პოეზიითა და პუბლიცისტიკით ხმალშემართული იბრძოდა მთია-

[1] ვაჟა-ფშაველა, შინაური ამბები, თხზულებანი, ტ. V, თბ., 1961, გვ. 234.
[2] იქვე, გვ. 235.
[3] იქვე, გვ. 236.

ნეთისათვის, მთიელი ხალხის კეთილდღეობისათვის და ღიად გამოთქვამდა უკმაყოფილებას მათდამი ხელისუფლებისა და საზოგადოების უყურადღებობის გამო. დიდი ადგილი აქვს მთის ცხოვრებას დათმობილი ჰაგიოგრაფიულ (განსაკუთრებით „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“) ლიტერატურაში.

მწერლობაში მთის პრობლემების გაშუქების შესახებ სხვაც ბევრი შეიძლება ითქვას. არც თანამედროვე ქართული მწერლობაა ვალში მთიანეთის პრობლემებისადმი.

მთის კულტი განსაკუთრებულად ჩანს ხალხურ შემოქმედებაში. ქართველი კაცი მთას ისე ელაპარაკებოდა, როგორც სულიერს. მოვიყვანთ ერთ ამონარიდს, როცა შეყვარებული ვაჟკაცი მთას ევედრება, შემოიხსნას ნისლი და გადასვლის საშუალება მისცეს სატრფოსთან მიმავალს:

„მთაო გადმიშვი, გადმიშვი,
რა ნისლი მოგიხვევია,
შენს იქით ჩემსა სატრფოსა
სხვა ვინმე შეჰყვარებია“.[1]

მთა ქართველი კაცისთვის (მთიელისთვის) ყველაფერია. იგი ზოგჯერ შეიძლება მასზე ნაწყენიც იყოს, მაგრამ მაინც პატივისცემას გამოხატავს მისდამი. მოვიგონოთ ლექსები: „მაღლა მთას მოდგა“, „ტიალო დარიალაო“ და სხვ. მთიელები ჭეშმარიტი ვაჟკაცები იყვნენ და დიდად აფასებდნენ თავის საცხოვრისს (მთიანეთს).

ქართველი ისტორიკოსები განსაკუთრებულ ინტერესს იჩენენ მთის პრობლემების შესწავლისადმი. სამაგალითოდ შეიძლება ვახუშტი ბაგრატიონი დავასახელოთ, რომელმაც საგულდაგულოდ შეისწავლა საქართველოს მთიანეთი და საშური ცნობების მოგვაწოდა მის შესახებ. მთის ხალხების ყოფა და ცხო-

[1] ამ ლექსზე სიმღერა შექმნა სამღვდელო პირმა მამა პავლე ბერიშვილმა.



რაჭის მთები

ვრება და მათთვის დამახასიათებელი თავისებურებანი დიდი მეცნიერის უშუალო კვლევის საგანია.[1]

ვახუშტი ბაგრატიონმა ფუნდამენტურად შეისწავლა სრულიად საქართველოს ისტორია, ხალხთა ზნე-ჩვეულებები, განსაკუთრებულად გამოყო მთის მოსახლეობა მათი თავისებურებებით. მან პირველმა საქართველოში ქვეყნის მხარეთა რუკებიც შეადგინა და საკმაოდ ამომწურავი ინფორმაცია მოგვაწოდა (იხ. მისი: აღწერა აწინდელისა ქართლისა, აღწერა

[1] იხ. ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, IV, თბ., 1973.

ჰერეთის, კახეთისა და კუხეთისა, კულად თუშეთისა და დიდოეთისა, აღწერა ეგრისის ქვეყნისა, ანუ აფხაზეთისა, ანუ იმერეთისა). მეცნიერმა საგანგებოდ განიხილა რაჭის, ოკრიბის, ოდიშის, აფხაზეთის, სვანეთის და სხვა კუთხეების დეტალური ისტორია, ყოფა-ცხოვრება, საქმიანობა.

განსაკუთრებულ ადგილს უთმობს საქართველოს მთას, მთიელი ხალხის ყოფა-ცხოვრებას ივანე ჯავახიშვილი.[1] „ქართველი ერის ისტორიის" მეორე წიგნის პირველივე თავი მიძღვნილია საქართველოს საისტორიო გეოგრაფიისადმი (VII-XII სს.). აქ საგანგებოდაა განხილული საქართველოს მთიანეთისა (იხ. §1 – მთები) და მისი მოსახლეობის პრობლემები. დიდი მეცნიერი ხატოვნად აღნიშნავს: „საქართველოს უდარაჯებს და საზღვრავს „ჩრდილოთ მთა კავკასია". ამის გამო საქართველოს უწოდებენ „ქუეყანასა ... ჩრდილოჲსასა კავკასიათა". ივ. ჯავახიშვილი საქართველოს ყველა კუთხის მთებს მიმოიხილავს („მთანი აფხაზეთისანი", „მთა ხადისა", „მთა ფხოველთა", კლარჯეთის მთები, შავშეთის მთები, „მთა კახეთისა", „მთანი თხოთისანი" და სხვ.).

ნიშანდობლივია, რომ ლეონტი მროველი, როცა ქართლოსის სამკვიდროზე ლაპარაკობს, აღნიშნავს: „მისცა ქართლოსს და უჩინა საზღვარი: აღმოსავლით – ჰერეთი და მდინარე ბერდუჯისი, დასავლით – ზღვაჲ პონტოჲსაჲ, სამხრით – მთაჲ, რომელი მიჰყვების ბერდუჯის მდინარის თავსა, და მთაჲ, რომელი მიჰყვების დასავლით კერძო, რომლისა წყალი გარდა-

[1] იხ. ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. II, თბ., 1983. აქ ავტორი წერს: „მეორე წიგნს, რომელიც VII-XII სს. ისტორიას შეიცავს, წინ უძღვის მეტად ვრცელი საქართველოს საისტორიო გეოგრაფია. მე კარგად ვგრძნობ, რომ ბევრად უკეთესი იქნებოდა მთელი ეს თავი „საქართველოს საისტორიო გეოგრაფიის" სახელით ცალკე წიგნად ყოფილიყო გამოქვეყნებული, მაგრამ რაკი ეხლა ეს ვერ მოხერხდა, ამიტომ სხვა გზა არ არსებობდა და ისევ ამ თხზულებაში ჩავურთე" (გვ. 03).

მოდის ჩრდილოეთით კერძო და მიერთვის მტკვარსა, რომელ მიჰყვების მთაჲ შორის კლარჯეთსა და ტაოსა ვიდრე ზღუამდის; და ჩრდილოჲთ – საზღვარი ღადოჲ მთა მცირე, რომელ გამოვალ შტოდ კავკასიისაგან".[1]

ივანე ჯავახიშვილი, აღწერს რა მთის ყველა რეგიონს, რაჭაზეც ჩერდება და აფიქსირებს, რომ „არავითარი ცნობები არ მოგვეპოვება ... რაჭისა, თაკვერისა და გურიის საზღვრების შესახებ". კერძოდ, რაჭასთან დაკავშირებით იმოწმებს ვახუშტი ბაგრატიონს: „მზღვრის რაჭას: აღმოსავლით კუდაროსა, წონისა და ფაწის მდინარის შორისი მთა და კავკასი კედელა და მუნიდამ ჩრდილოდ წარსული კავკასიევე ვიდრე დიგორის კავკასამდე, რაჭა გლოლასა და ჟღელეს შორისი სამხრით წონიდამ წამოსული მთა დასავლეთიდამ ვიდრე არპანისა და დღნორსამდე გაჭრილი რიონისაგან, მუნ და მთასა ამას ... უწოდებენ რაჭის მთას ... ამ მთათა ჩრდილო კერძი არს რაჭისა და სამხრეთის კერძი – გარჯილა – ნაჯიხურევ – საწალიკე – კეცებისა – არს არგვეთისა და მდინარენიც ეგრევე".[2]


ივ. ჯავახიშვილმა მიმოიხილა ძველ ქართულ და სომხურ მწერლობაში დამოწმებული ქვეყნის ნაწილები, რომლებიც მთიანეთის შემადგენლებს წარმოადგენდნენ. მაგ.: „მანგლისის ჴევი", „ქციის ჴევი", „ზორაკერტის ჴევი", „ტორნის ჴევი", „ქუეშის ჴევი", „ბოლნისის ჴევი", „ქურდვაჭარის ჴევი", „წანარეთის ჴევი", „ჴევი გოდერძისაჲ", „ჴევი არტაანის" და სხვ.[3]


მეცნიერმა ყურადღება დაუთმო მთიანეთის სამშენებლო ხელოვნებასაც. 1946 წელს (ივ. ჯავახიშვილის გარდაცვალების შემდგომ) გამოქვეყნდა ივ. ჯავახიშვილის მეტად მნიშვნელოვანი გამოკვლევა „მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის (მშენებლობის ხელოვნება საქართველოში)"; მასში შესწავლილია ქართული საერო და სასულიერო

[1] ლეონტი მროველი, ცხოვრება ქართველთა მეფეთა... ქართლის ცხოვრება, თბ., 2008, გვ. 26.

[2] იხ. ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 51.

[3] იქვე, გვ. 32, 43, 57.





ხუროთმოძღვრების ძეგლები (სასახლეები, საცხოვრებელი სახლები, ძველი ნაგებობანი, სამეურნეო დანიშნულების შენობები). მეცნიერმა ფართოდ გამოიყენა წერილობითი წყაროები და ნივთიერი ნაშთები, რომლებიც მწირად იყო შემორჩენილი.

ივ. ჯავახიშვილმა ფართო ისტორიული მასალის მიმოხილვის საფუძველზე დაასკვნა, რომ საქართველოში გავრცელებული იყო სხვადასხვა მასალისაგან აშენებული ნაგებობანი, არსებობდა კლდეებში გამოკვეთილი საცხოვრებელი სახლები. უძველეს ხანაში ქვაში ნაკვეთი ნაგებობები ჩანს, შემდეგ – უქვითკირო, ხოლო უფრო გვიან – ქვითკირით აგებული. ლეონტი მროველი, როცა ებრაელთა ჩამოსახლებაზე ლაპარაკობს, აღნიშნავს: „ ... მოვიდეს და პოვეს ადგილი ერთი მცხეთას ... კლდეთა შორის გამოკვეთილი, ღრმა და მოითხოვეს ადგილი იგი მცხეთელთა მამასახლისისაგან“.[1] ივ. ჯავახიშვილი საგულისხმოდ მიიჩნევს „მოქცევაი ქართლისაი“-ს ცნობასაც, რომ „ციხე დიდი სარკინოს, უფლის ციხე“ საქართველოს უდიდეს ციხეთა შორის აქვს დასახელებული.

ივ. ჯავახიშვილმა ზედმიწევნით შეისწავლა საცხოვრებელ ნაგებობათა სახეების, მათი სახელწოდებების, წარმოშობისა და განვითარების საკითხები.[2]

მეცნიერი თავის სხვადასხვა შრომაში განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს მთის მოსახლეობის პრობლემებს, მიაჩნია რა აუცილებლად საქართველოს ისტორიის სრულყოფილი შესწავლისათვის.

ზოგადად საქართველოს ისტორიულ გეოგრაფიას და, კერძოდ, საქართველოს მთიანეთის შესწავლას დიდი ამაგი დასდო ნიკო ბერძენიშვილმა. მისი შრომების პირველი ტომი სწორედ ისტორიული გეოგრაფიის საკითხებისადმია მიძღვნილი.[3] აქ მეცნიერი

[1] ლეონტი მროველი, ცხოვრება ქართველთა მეფეთა, ქართლის ცხოვრება, თბ., 2008, გვ. 35.

[2] რ. მეტრეველი, კვალი განათლებული, თბ., 1976, გვ. 83-118.

[3] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, I, თბ., 1964.

ჩვეული ოსტატობით წარმოადგენს მთის მცხოვრებთა პრობლემებს. 1932 წლის ისტორიულ-გეოგრაფიული ექსპედიციის ანგარიშში ნიკო ბერძენიშვილი ეხება მანგლისის ხეობას. მანგლისი მნიშვნელოვანი სტრატეგიული პუნქტი იყო ძველ საქართველოში. მას ხელსაყრელი ადგილი უკავია აღმოსავლეთ საქართველოში. მანგლისის მხარე ეკვრის შიდა ქართლს, თბილისს, სომხით-საბარათიანოს და წალკა-ჯავახეთს. ალგეთის, თეძმისხევის, კავთურას და ვერეს ხევზე მანგლისი პრაქტიკულად ახორციელებდა კონტროლს. სომხეთიდან შიდა ქართლში, ჯავახეთიდან კახეთში გზები მანგლისზე გადიოდა. ნიშანდობლივია, რომ ბიზანტიის კეისარი ბასილი გიორგი პირველის წინააღმდეგ, სელჩუკთა კოალიცია დავით IV აღმაშენებლის წინააღმდეგ (გავიხსენოთ დიდგორის ბრძოლა), თემურ-ლენგი – მანგლისის გზით (აქ გამოვლით) ცდილობდნენ ქართველთა დამარცხებას.

გზა: ქვათახევ-კავთისხევში და ქვათახევ-ნიჩბისძეგვში, დიდგორ-მცხეთაში, ვერეს ხევით თბილისში, კოჯორ-თბილისში, ფარცხის-სამშვილდეში, კლდეკარზე (აქედან სათარხნო-საჯავახიანოში) წალკა-ჯავახეთში, მანგლისში გადაჰკვეთენ ერთმანეთს.[1]

ნ. ბერძენიშვილმა დაათვალიერა მანგლისის სიონი, რომელიც, მეცნიერის შეფასებით, კარგადაა შენახული. ამასთან, ეს ძეგლი მანგლისელებისათვის (აქ სხვადასხვა ეროვნების მოსახლეობა ცხოვრობს) „ქართველების საყდარია". თავად მეეტლე, რომელსაც მეცნიერი მიჰყავდა, მანგლისელი რუსი იყო. როცა შეეკითხებოდნენ ამა თუ იმ მთის სახელს, უცოდინარობას ამჟღავნებდა: „Никак не зовется. Гора и все..."

ნიკო ბერძენიშვილი აღნიშნავს, რომ უკვე ასი წელია, რაც ჯავახეთში სომხები ცხოვრობენ, წალკაში – ბერძნები. ადრე მოსახლე ქართველებმა თან „ნაიყოლეს" მთების, მდინარეებისა და სოფლების ქართული სახელები. ახალმობინადრეებმა კი „ვერაფერი დაარქვეს". თუ რაიმე ახალი სახელია, იგი

[1] ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 26.



ნაქერალა – უღელტეხილი რაჭის ქედზე.

თურქულია. მეცნიერი აღნიშნავს, რომ ლაკვას ხევს გაღმა მთიელების სოფლებია: ზრბითი და ახალსოფელი. ნიკო ბერძენიშვილს მოჰყავს სოფ. გარიყულას მცხოვრები ზაქარა ბოჭორიძის სიტყვები: „სხედან მთებში ქორებივით, ჩამოირბენენ კვირაობით და სული მგლებივით ისევ ტყეში მიუდისთ, სძულთ ბარი".[1] ნიკო ბერძენიშვილი სწორედ მთის მდგომარეობაზე ამახვილებს ყურადღებას. მეტად საინტერესოა, რომ მეცნიერმა შეისწავლა ძველი სარწყავი ნაგებობები (ნასტაკისის, საგლახაოს, წილკნის, სამგორის,

[1] ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 29.

რუსთავის), ყურადღება მიაქცია წინაპართა საცხოვრებელ ბორცვებს (ყორღანებს), რომლებიც უხვად აღმოაჩინა სართიჭალაში, ახაშენში, პატარძეულში, გარდაბანში, ნასტაკისში, ნიჩბისში. ასეთ გორა-ბორცვებს მეცნიერმა ზოგადი სახელი – „გორა" უწოდა. დაკვირვებიდან გამომდინარე, გააკეთა დასკვნა, რომ „გარკვეულ დროს ჩვენი წინაპრები, საზოგადოებრივი განვითარების გარკვეულ საფეხურზე, ისე როგორც სხვა ხალხთა წინაპრებიც, „გორაებად" სახლობდნენ.[1] მიუხედავად იმისა, რომ ეს ფაქტი უძველეს პერიოდს ეკუთვნის, ჩვენთვის საინტერესოა, თანაც მნიშვნელოვან წარმოდგენას გვაძლევს ნიკო ბერძენიშვილის კვლევებზე. დღესდღეობით მიღებულია დებულება, რომ „ეს გორაები ჩვენი საზოგადოების განვითარების გარკვეული საფეხურია", აქედან განვითარდნენ „დაბები", „ციხეები", „ქალაქები" და სალოცავები (მაგალითად, მცხეთა, თბილისი, კასპი, უფლისციხე, ვანი, რუსთავი, სურამი, გორი, აღჯაყალა, ურბნისი, სამშვილდე და ყველა ძველი ქალაქი თავდაპირველად „გორა" იყო).[2]

ნიკო ბერძენიშვილს მიაჩნდა, რომ ისტორიულ-გეოგრაფიული ექსპედიციის დაკვირვებები და აღმოჩენები ახალ ფურცელს გადაშლიდა საქართველოს მთიანეთის ისტორიაში (და ზოგადად საქართველოს ისტორიაში).

ძალზე საინტერესო მასალა მოიპოვეს საქართველოს მთიანეთის სხვადასხვა რეგიონიდან ქართველმა არქეოლოგებმა: გიორგი ნიორაძემ, ოთარ ჯაფარიძემ, გერმანე გობეჯიშვილმა (მეტად წარმატებული იყო გათხრები მთა რაჭაში), ოთარ ლორთქიფანიძემ, კიაზო ფიცხელაურმა და სხვ.

საქართველოს მთიანეთი საგანგებოდ იქნა შესნავლილი ქართველი ეთნოლოგების მიერ. გიორგი ჩიტაია და მისი მოწაფეები, ალექსი რობაქიძე, ვერა ბარდაველიძე, მიხეილ გეგეშიძე (სერგი მაკალათიასა და ლევან ფრუიძის შესახებ ზემოთაც აღვნიშნეთ) და

[1] ნ. ბერძენიშვილი, დასახ., ნაშრ., გვ. 363.

[2] იქვე.

სხვები სიღრმით სწავლობდნენ მთის მოსახლეობის ყოფასა და კულტურას, მათ სახელსაქმო იარაღებს, იმ თავისებურებებს, რომლებიც მთიულებს გააჩნდათ მეცხოველეობაში, სარწყავი სისტემების გაყვანასა და მოვლა-პატრონობაში.

ქართველ ეთნოლოგებს უნდა დავუფასოთ, რომ მათ ყოფიდან მიმავალი (ეს კანონზომიერებაა) ეთნოგრაფიული სინამდვილე შემოგვინახეს. მოვიყვანთ სერგი მაკალათიას სიტყვებს; იგი საქართველოს მთის მოსახლეობის ნაკლებად შესწავლილობაზე ჩივის:

„ათვალიერებ მთის რაჭის „დუროიან" სახლებს, რომლის ჭერქვეშ ჯერ კიდევ (გასული საუკუნის 30-იანი – 40-იანი წლები – რ. მ.) ფუსფუსებენ ჩიქილიანი ქალები. გიკვირს მათი სოციალური ყოფის ძველი ფორმების გამძლეობა და ხანგრძლივობა, მაგრამ დამაკმაყოფილებელ პასუხს ვერსად პოულობთ, რადგან ამ მხრივ ეს კუთხე შესწავლილი არ არის.

დღეს არ კმარა მგოსნის ან რომელიმე გრძნობამოჭარბებული კალმოსნის, რაჭის ქოჩორა მწვერვალების სილამაზით ნაკარნახევი პირადი განცდების გაზიარება. ეს სრულებით არ აკმაყოფილებს თანამედროვე მებრძოლს და ახალძიებით გატაცებულ მასას, რომელიც ყველგან და ყველაფერში აზრს ეძებს, ხელის შეხებით ცდილობს სინამდვილის ამოკითხვას და მის აზრიან გაგებას".[1]

ივანე ჯავახიშვილი პრაქტიკულ ნაბიჯებს დგამდა ზოგადად საქართველოსა და, კერძოდ, მთიანეთის მოსახლეობის ყოფა-ცხოვრების შესასწავლად. მისი თაოსნობით ეს დიდი საქმე გადანაწილდა სამ საზოგადოებას შორის. მათ, თუმცა ცალ-ცალკე, მაგრამ შეთანხმებულად უნდა ემუშავათ. დაისახა ამოცანად, რომ საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება[2]

[1] ს. მაკალათია, მთის რაჭა, თბ., 1987, გვ. 8.


[2] ქართული საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება დაარსდა 1907 წელს ექვთიმე თაყაიშვილის თაოსნობით. პირველი თავმჯდომარე თვით ექვთიმე თაყაიშვილი იყო.

საქართველოს ყოველ კუთხეში საეთნოგრაფიო მასალას და შინამრეწველობის ნიმუშებს შეაგროვებდა (თავის მუზეუმში). ხელოვანთა საზოგადოებას[1] ევალებოდა, ეს მასალა შეესწავლა და დაემუშავებინა; სამეურნეო საზოგადოებას[2] ეთნოგრაფიული მასალა და შინამრეწველობის ნიმუშები ტექნიკურად უნდა შეესწავლა; გაერკვია შინამრეწველობის განახლებისათვის საჭირო ტექნიკური საკითხები.

ივ. ჯავახიშვილს კარგად ესმოდა, რომ მისი გეგმის განხორციელება ერთბაშად არ შეიძლებოდა. ეს გეგმა თანდათანობით, კომპლექსურად უნდა განხორციელებულიყო. მეცნიერი ყოველთვის გულისხმიერებით ეკიდებოდა მატერიალური კულტურის ძეგლების დაცვის საკითხს. შემთხვევითი არ იყო, როცა 1924 წლის აპრილში საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების სხდომაზე დაისვა საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან ჩამოტანილი მრავალფეროვანი ნივთების შენახვის საკითხი; ივ. ჯავახიშვილმა საზოგადოებას შესთავაზა უნივერსიტეტის ეზოში მოთავსებული ეკლესიის (აქ სამეურნეო საქონლის საწყობი იყო) მუზეუმად გადაკეთება. ეს წინადადება ერთსულოვნად იქნა მიღებული. აკად. გ. ჩუბინაშვილი იგონებს: „ეს წინადადება იმდენად სადად, სწრაფად იქნა მიღებული, რომ სხდომის ოქმშიაც არ შეუტანიათ. ამ აზრს მხარი დაუჭირა მეცნიერების მთავარმა სამმართველომ, რომელმაც თბილისში ჩამოტანილი და ჩამოსატანი სიძველენი გაამწესა

[1] ქართველ ხელოვანთა საზოგადოება 1911 წელს ჩამოყალიბდა. პირველი თავმჯდომარე იყო გიორგი ყურული, მდივანი – იოსებ გეგელაშვილი. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ გადაკეთდა ხელოვანთა კავშირად, რომლის ბაზაზე ჩამოყალიბდა საქართველოს მუზეუმის ფონდი და ბიბლიოთეკა.

[2] ქართული სამეურნეო საზოგადოება შეიქმნა 1915 წ. იარსება 1921 წლამდე. თავმჯდომარე იყო დიმიტრი ჩოლოყაშვილი.



ივანე ჯავახიშვილის მიერ გადადგმული ნაბიჯით საძირკველჩაყრილი მუზეუმისათვის".[1]

ივ. ჯავახიშვილი წუხილით აღნიშნავდა, რომ იმდროინდელ საქართველოში არ იყო საშუალება მატერიალური კულტურისა და ხელოვნების ძეგლების გამოფენისა: „არც ერთი მუზეუმი არ არსებობს თბილისში, რომელსაც ის ფართობი ჰქონდეს; რომ ის განძეული, რომელიც აქვს, რომ გამოიფინოს".[2] მეცნიერი სათანადო ორგანოების წინაშე სვამდა საკითხს, რომ მეტი ყურადღება დაეთმოთ სამუზეუმო საქმიანობისათვის.

ივ. ჯავახიშვილი ხმამაღლა აცხადებდა: „საქართველო მთლიანად მუზეუმია და ჩვენ ამას არ ვიყენებთ. რა საოცარი მოვლენაა, რომ დადგება თუ არა გაზაფხული, თითქმის ზამთრის პირამდე მთელი საქართველო, მთელი საბჭოთა კავშირიდან და უცხოეთიდან მოსული ექსკურსანტებით ივსება. ჩვენ კი ქართველებს ისე გვეზარება სიარული, რომ თბილისში რაცა გვაქვს, ის არა გვაქვს შესწავლილი. ბუნება საუკეთესოა; თუ ბუნებას თვალს ავარიდებთ, ვერასოდეს ვერაფერს ვერ გავაკეთებთ. აქ არის უენერგობა, უნებისყოფობა, რის მოსპობაც არის საჭირო".[3]

რაჭის მთიანეთის შესწავლას დიდი ამაგი დასდეს უცხოელმა მეცნიერებმაც. ესენი იყვნენ გერმანელები იოჰან გიულდენშტედტი, ედუარდ აიხვალდი, ჰაინრიხ კლაპროთი და იაკობ რეინეგსი, შვეიცარიელი დიუბუა დე მონპერე, ფრანგი მარი ფელისიტე ბროსე და სხვანი.

ყურადღების გამახვილება განსაკუთრებით საქართველოს მთიანეთს სჭირდება. მეცნიერებაში დამკვიდრებულია აზრი, რომ საქართველოს, რომელიც

[1] გ. ჩუბინაშვილი, აკად. ივ. ჯავახიშვილის გარდაცვალების პირველი წლისთავისათვის, ენიმკის მოამბე, XII, თბ., 1942, გვ. 274.
ივ. ჯავახიშვილი, მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, II, თბ., 1965, გვ. 210.

[3] იქვე.



შაორის ტბა

მსოფლიოს მცირერიცხოვანი ქვეყნების კატეგორიას განეკუთვნება, დემოგრაფიული თვალსაზრისით კრიტიკული მდგომარეობის შექმნის გამო, თავისი ავტოქტონური მოსახლეობის გადაშენების საფრთხე ემუქრება.[1] ამგვარი საფრთხის წინაშე თითქმის ყველა რეგიონია, თუმცა განსაკუთრებით რთული ვითარებით კავკასიის მთიანეთი (სტეფანწმინდა, დუ-

[1] ლ. ჩიქავა, მწვავე დემოგრაფიული ვითარება კავკასიონის მთიანეთში და მისი ნორმალიზების ღონისძიებათა სისტემა, კრებ.: საქართველოს მთიანეთის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრობლემები და მათი გადაჭრის გზები, თბ., 2010, გვ. 41.

შეთი, თიანეთი, ახმეტა, ამბროლაური, ონი, ცაგერი, ლენტეხი, მესტია, ცხინვალი, ჯავა, ახალგორი) გამოირჩევა. აღნიშნულის თქმის საფუძველს იძლევა ისეთი ძირითადი დემოგრაფიული მაჩვენებლების ანალიზი, როგორიცაა: შობადობა, სიკვდილობა, მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობა, შვილიანობა, მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურა, რეპროდუქციის საკითხები, დემოგრაფიული დაბერება, დემოგრაფიული დატვირთვა, მიგრაცია და სხვ.

მეტად დამაფიქრებელია, რომ საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის აღწერით, შრომისუნარიანი საპენსიო ასაკს გადაცილებული მოსახლეობის ხვედრითი წილი რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში 13,8 პროცენტით მაღალია, ვიდრე საშუალოდ საქართველოში (საქართველოში შრომისუნარიან ასაკს გადაცილებული მოსახლეობის ასაკი 43,1 წელია, ხოლო რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში – 43,3 წელი. მოსახლეობის საშუალო ასაკი იმავე პერიოდში, იმავე რეგიონში 43,9 წელი იყო, მაშინ როცა ქვეყანაში 36,1 წელს შეადგენდა.

კავკასიის მთიანეთში არსებული დემოგრაფიული ვითარება მოითხოვს ღონისძიებათა კომპლექსის გატარებას. უპირველეს ყოვლისა, მთიანეთს ესაჭიროება სახელმწიფოს მხრიდან აქტიური ეკონომიკური, სოციალური, კულტურული ღონისძიებების გეგმაზომიერი გატარება, რაც, თავის მხრივ, შედეგად მოიტანს დემოგრაფიული ვითარების ნორმალიზებას.

მთიანეთის რეგიონების ისტორიის საფუძვლიანი შესწავლა მათზე ყურადღების, მათზე ზრუნვის და მათი სასიკეთო მომავლის რეალური საწინდარია.

უცხოელები რაჭის შესახებ

იოჰან გიულდენშტედტი და სხვები

ზედმეტია მსჯელობა იმ მნიშვნელობაზე, რომელიც უცხოელ მოგზაურთა და მეცნიერთა ცნობებს გააჩნია საქართველოს ისტორიის შესწავლისათვის. ეს ცნობები ავსებს ამა თუ იმ ქვეყნის შესახებ არსებულ ნარატიულ, არქეოლოგიურ, ეთნოლოგიურ, ეპიგრაფიკულ და სხვა მონაცემებს. უცხოელის თვალით დანახული ქვეყნის სოციალური ვითარება, პოლიტიკური საკითხები, ეკონომიკა და გეოგრაფიული პირობები, ბუნებრივი სიმდიდრე (მთების, წყლების, ფლორისა და ფაუნის სახით) უსათუოდ გასათვალისწინებელია მკველევრისათვის.

ვფიქრობთ, მეტად საინტერესოა ევროპელი მეცნიერებისა და მოგზაურების მიერ შესრულებული საქართველოს და, კერძოდ, მთიანი რაჭის აღწერილობები. ჟან შარდენი, პიეტრო დე ლა ვალე, იაკობ რეიგენსი, იოჰან გიულდენშტედტი, დიუბუა დე მონპერე – ეს იმ მოგზაურთა არასრული ჩამონათვალია, რომელთაც რაჭის შესახებ საინტერესო მასალა დატოვეს.[1]

[1] იხ. М. А. Полиевктов, Европейские путешественники XIII-XVIII вв. по Кавказу, I, 1935.

გასათვალისწინებელი ცნობები დაგვიტოვეს მოსკოვის სახელმწიფოს ელჩებმა იმერეთის სამეფოში, სახელმწიფო სტოლნიკმა ნიკიფორე მათეს ძე ტოლოჩანოვმა, დიაკმა ალექსი ივანეს ძე იევლევმა (მათთან ერთად იყო თარჯიმანი ი. ბოიარშჩიკოვი), რომლებიც კავკასიონის ქედის გადავლით (რიონის სათავით) რაჭაში გადავიდნენ. აქ ნიკორწმინდაში მოინახულეს ქართლ-კახეთის დევნილი მეფე თეიმურაზ I. აქედან იმერეთში გადავიდნენ. ელჩები უკან იმავე გზით დაბრუნდნენ, რაჭაზე გავლით, რუსეთისაკენ გაემართნენ. უნდა აღინიშნოს, რომ ისინი პირველი უცხოელები არიან, რომლებმაც რაჭის აღწერა დაგვიტოვეს. ფასდაუდებელია მათ მიერ გეოგრაფიული პუნქტების: ამბროლაურის, კვარაციხისა და თავრეშოს აღწერა, ცნობები კრიხის ეკლესიისა და ნიკორწმინდის მონასტრების შესახებ. ნ. ტოლოჩანოვმა და ა. იევლევმა გაიარეს ამბროლაური, ზნაკვა, თევრეშო, კვარაციხე, მინდაციხე, სადმელი, საკაო, საკეცია, სორი, სხვავა, ღარი, ღები, შაორი, შეუბანი, ძეგლევი, წესი, ჭიორა და ხოტევი. ამ ჩამონათვალში სოფლები, ეკლესია-მონასტრები და ციხესიმაგრეებია დასახელებული.

რუსეთის ამ ელჩობიდან (1651 წ.) საუკუნეზე მეტი ხნის შემდეგ, 1772 წელს რაჭაში იმოგზაურა გერმანელმა მეცნიერმა და მოგზაურმა იოჰან ანტონ გიულდენშტედტმა[1]. იგი რუსეთს წარმოადგენდა. იყო პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის წევრი, „თავისუფალი ეკონომიური საზოგადოების" პრეზიდენტი. მას დავალებული ჰქონდა საქართველოს ისტორიის შესწავლა. იმოგზაურა ჩრდილოეთ კავკასიაში; მოიარა ქართლი, კახეთი, იმერეთი, რაჭა, შეხვდა ერეკლე II-სა და სოლომონ I-ს. იოჰან გიულდენშტედტის გარ-

[1] ქართულ წყაროთმცოდნეობას დიდი ამაგი დასდო პროფ. გ. გელაშვილმა, რომელმაც სათანადო კომენტარით გამოსცა „გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში" ორ ტომად (I, თბ., 1962 წ.; II, 1962 წ.). ჩვენ სწორედ ამ გამოცემით ვსარგებლობთ.

დაცვალების შემდეგ მისი ჩანაწერები („მოგზაურობა რუსეთსა და კავკასიის მთიანეთში") ორ ტომად გამოსცა აკადემიკოსმა პ. პალასმა. იოჰან ანტონ გიულდენშტედტი (1745-1781 წწ.) პროფესიით ნატურალისტი იყო, მედიცინის დოქტორი (მიენიჭა 22 წლისას). პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიაში 1771 წელს აირჩიეს. პეტერბურგის საიმპერატორო აკადემიაში მიწვევის შემდეგ იგი მონაწილეობას იღებს ექსპედიციაში, რომელიც ითვალისწინებდა ევროპული რუსეთის სამხრეთ-აღმოსავლეთი ოლქების, ციმბირისა და კავკასიის შესწავლას.

ექსპედიცია, რომელშიც გერმანელი მეცნიერი მონაწილეობდა, რუსეთის იმპერიის ინტერესებში (სამე-

სოფელი ღები



ურნეო, დაპყრობითი) ტარდებოდა. იმპერია საკმაოდ ენერგიულ დაზვერვით სამუშაოებს ატარებდა. ამას ემსახურებოდნენ (ცხადია, დიპლომატიურ საქმიანობასთან ერთად) რუსეთის ელჩები: სიმონ ზვენიგოროდსკი (ელჩობდა კახეთში – 1589-90 წწ.), მიხეილ ტატიშჩევი (ქართლი, კახეთი – 1604-05 წწ.), თეოდორე ვოლკონსკი (კახეთი – 1637-40 წწ.), ალექსი იევლევი, ნიკიფორე ტოლოჩანოვი (ამ ორი პირივნების შესახებ ზემოთ ითქვა) და სხვანი.

მეცნიერებათა აკადემიის ექსპედიციაში იოჰან გიულდენშტედტის გარდა, ირიცხებოდნენ: ოთხი სტუდენტი, მხატვარი და მეფიტულე. 1771 წლის 25 ოქტომბერს გერმანელი მეცნიერი უკვე საქართველოშია, დუშეთში. 14 ნოემბერს ჩადის თბილისში. იგი ერეკლე II-სთან ერთად მოგზაურობს კახეთში. მეფის შეთავაზებას დარჩენილიყო საქართველოში (ქვეყანას საბადოთა დამუშავების სპეციალისტი სჭირდებოდა), უარით უპასუხა.

იოჰან გიულდენშტედტი გადადის დასავლეთ საქართველოში და საკმაოდ საფუძვლიანად სწავლობს რაჭას. სწორედ აქ, სოფელ სხარტალში იმერეთის მეფემ სოლომონ I-მა მიიღო გერმანელი მეცნიერი. 1772 წლის 12 ნოემბერს იოჰან გიულდენშტედტმა დატოვა საქართველო და რუსეთს გაემგზავრა.

როგორც ზემოთაც აღინიშნა, ჩრდილოეთ კავკასიისა და საქართველოს შესწავლის შედეგების გამომზეურებას მეცნიერმა ორი ტომი მიუძღვნა. ესაა უნიკალური ნაშრომი კავკასიათმცოდნეობაში. გამომდინარე იოჰან გიულდენშტედტის ინტერესებიდან, ნაშრომში მიმოხილულია ძირითადად ბუნებისმეტყველების საკითხები (ბოტანიკა, ზოოლოგია), სოფლის მეურნეობის, სამთო საქმის, დამუშავებითი მრეწველობის, ხელოსნობისა და ვაჭრობის მდგომარეობა და პერსპექტივები; ხაზგასმულია რეგიონის ისტორიული და ეთნოგრაფიული წარსული. ავტორი ცდილობს გაგვაცნოს კავკასიური ენების და დიალექტების (ქართული, მეგრული, სვანური, ჩერქეზული, ჩაჩნური და სხვ.) განმარტებები. პრაქტიკულად ეს

ლათინურ-რუსულ-გერმანულ-ქართულ-მეგრულ-სვანური ლექსიკონია[1].

ი. გიულდენშტედტმა დიდი ადგილი დაუთმო იმერეთის (დასავლეთ საქართველოს) სამეფოს აღწერას. მიიჩნევს, რომ ამ მხარესაც ისეთივე ბედი ერგო, როგორც აღმოსავლეთ საქართველოს: უმძიმესი იყო ოსმალთა შემოსევები; ადგილი ჰქონდა მეზობლებთან დავას და შინაპოლიტიკურ (თავადებს შორის) კინკლაობას. არც ლეკებისა და მთიელების თავდასხმებისგან იყვნენ დაზღვეულნი[2].

ი. გიულდენშტედტის მიხედვით, იმერეთის სამეფოს სახელმწიფოებრივი წყობა (წოდებები, სამხედრო წყობა, გადასახადები და მათი აკრეფის სახეები) ქართლის ანალოგიური იყო.[3] მეცნიერი ხაზს უსვამს მართლმსაჯულების სისუსტეს („ცუდი მართლმსაჯულება"). რაჭველები ეწევიან სამიწათმოქმედო მუშაობას. მევენახეობა და ხორბლის მოყვანა არ არის სათანადო დონეზე და ეს მოსახლეობაზეც აისახება – იგი ღარიბია.[4]

მეცნიერმა მიმოიხილა დასავლეთ საქართველოს (იმერეთის) მოსახლეობა და დაადგინა, რომ აქ ძირითადად ქართველები ცხოვრობდნენ. იყვნენ

[1] გ. გელაშვილის დამსახურებაა, რომ მან შეადარა პ. პალასის გამოცემული ტექსტი ი. გიულდენშტედტისეულ დედანს და მის მიხედვით ჩაასწორა იგი.

[2] გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, I, თბ., 1962, გვ. 203.

[3] „ოთხივე სამეფოთაგანს (მხედველობაშია საქართველოს ოთხი სამეფო – რ. მ.) წინანდელი საერთო და ცალკეული მმართველებისგან აქვს კანონები ... ისინი ნაწილობრივ თავისებურნი, ნაწილობრივ ერთმანეთის საწინააღმდეგონი არიან; ხან მმართველია დესპოტი და მისი სურვილი კანონია, ხან თავადები არ ემორჩილებიან არც ძველ კანონებს, არც უფრო ახალ დადგენილებებს..." – ი. გიულდენშტედტი, გვ. 231.

[4] იქვე, გვ. 283. საერთოდ მევენახეობის დაბალი დონე ძნელი წარმოსადგენია. მეცნიერი ალბათ კონკრეტულ დროში, კონკრეტულ გეოგრაფიულ პუნქტს გულისხმობს.



ამბროლაური

აგრეთვე სომხები და ებრაელები; ძალზე მცირე რაოდენობით – ოსები და თათრები. ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ ძირითადი რელიგია მართლმადიდებლური ქრისტიანობაა, რომ იმერეთს ჰყავს საკუთარი კათოლიკოსი. თანაც მიუთითა, რომ ეს თანამდებობა ეკავა სოლომონის (იმერეთის მეფის) ძმას – იოსებს. მართლაც, 1769-1776 წწ-ში დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) კათოლიკოს-პატრიარქი იყო იოსებ ბაგრატიონი.[1] იგი იმერეთის მეფის, ალე-

[1] იოსები, კათოლიკოსობასთან ერთად, გელათის მიტროპოლიტიც იყო.

ქსანდრე V-ის (1720-1740 წწ.) ძე და სოლომონ I-ის (1752-1784 წწ.) ძმა იყო.[1]

იოჰან გიულდენშტედტი განსაკუთრებულად აღწერს გეოგრაფიულ პირობებს, განსაზღვრავს მხარეთა მიჯნებს, მდებარეობას, მთა-გორებს, მდინარეებს, გზებს. ყურადღების გარეშე არ რჩება მინერალები, მთის ქანები, მცენარეულობა და ცხოველთა სამყარო. იგი გარკვეულ განზოგადებასაც აკეთებს (განსაკუთრებით რაჭაში ოთხკვირიანი მოგზაურობის შემდეგ). ასე მაგალითად: „სოფლები მთაში უფრო მჭიდროდაა დასახლებული, დაბლობში კი უფრო დაშორებულია ერთმანეთისგან და ხშირად ყანებით არის გამოყოფილი. უმეტესად ყოველ სოფელს ... აქვს ერთი, აგრეთვე ხშირად რამდენიმე გალავნიანი კოშკი.[2] მეცნიერი საცხოვრებელი სახლების აღწერასაც გვაძლევს: „საცხოვრებელი სახლები არის დიდი; მთაში – დაწნული და შელესილი წნელის კედლებით, ხოლო ბარში – მაგარი ფიცრებით. სახლი შედგება ერთი ოთახისაგან. ცეცხლის კერა მოთავსებულია სწორი იატაკის შუა ადგილას. ოთახის ერთი ნაწილი ხანდახან მხოლოდ ძელებითაა გამოყოფილი, თითქმის ყოველთვის საქონლისთვისაა განკუთვნილი".[3]

ი. გიულდენშტედტმა რაჭაში ოთხი კვირის განმავლობაში იმოგზაურა. თავის ანგარიშში, რომელიც მეცნიერმა პეტერბურგის აკადემიას წარუდგინა, რამდენიმეჯერ ეხება რაჭის საკითხს. უყურადღებოდ არ ტოვებს რაჭის საერისთავოს ისტორიას. იგი ხაზს უსვამს, რომ რაჭას ჰყავდა თავისი საკუთარი მმართველი რაჭის ერისთავის სახით. რაჭის ერისთავი, თავის მხრივ, მიუხედავად იმისა, რომ „იმერეთის თავადი იყო", თავს დამოუკიდებლად თელიდა და ხშირად მეფესაც ენინააღმდეგებოდა. გერმანელი მეცნიერის ცნობით, რაჭის ერისთავი მიემხრო იმერეთის მეფის,

[1] იხ. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქები, რ. მეტრეველის რედაქციით, თბ., 2000, გვ. 165-168.

[2] გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, გვ. 293.

[3] იქვე.

სოლომონის მოწინააღმდეგეებს, თუმცა 1769 წელს დამარცხდა. მეფემ დაანგრია რაჭის ბევრი ნაგებობა, მათ შორის ერისთავის ქვიტკირის სასახლე. ამ დროს მეფე ოსმალებისგან იყო შევიწროებული და რაჭის ერისთავიც განუდგა მას. ერთგული თავადების დახმარებით მეფემ სძლია მოწინააღმდეგეებს და, ი. გიულდენშტედტის მიხედვით, შეიპყრო რაჭის ერისთავი და თვალები დასთხარა მას.[1]

აქ გარკვეული კორექტივის შეტანაა საჭირო. რაჭის ერისთავი როსტომი მართლაც აშკარად ეწინააღმდეგებოდა იმერეთის მეფეს. სოლომონ I-მა ხერხს მიმართა. მან თავის ძმას, დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) კათოლიკოს-პატრიარქს იოსებს დაავალა როსტომთან შუამავლობა მისი შემორიგების მიზნით. კათოლიკოსი საგანგებოდ ჩავიდა ერისთავის რეზიდენციაში წესში (ბარაკონში) და როსტომს მეფესთან შერიგება ურჩია. ამასთან, სოლომონისგან დაპირებული უსაფრთხოება ბარძიმზე დაფიცებით აღუთქვა. რაჭის ერისთავი კათოლიკოსის ნებას დაჰყვა. სოლომონმა პირობა დაარღვია და მასთან მისული ერისთავი შვილებთან ერთად სასტიკად დასაჯა – თვალები დასთხარა. მეფის ამგვარი უპირობა კათოლიკოსისთვის საბედისწერო გამოდგა. დამწუხრებულმა იოსებმა შეწყვიტა მღვდელმსახურება – აღარ უწირავს მას, თავს უღირსად თვლიდა და იყო დიდ სინანულში.[2]

ი. გიულდენშტედტი, როგორც ჩანს, მიღებული ინფორმაციის შესაბამისად, განსხვავებულად გადმოგვცემს ამ ეპიზოდს: „ლუხუნის შესართავთან დგას დიდი ეკლესია. მისგან ასიოდე ნაბიჯზე დასავლეთით ჩანს რაჭის ერისთავის ქვიტკირის სასახლე, რომელიც სოლომონ მეფემ სამი წლის წინ ნანგრევებად აქცია". მიზეზი ის იყო, რომ რაჭის ერისთავი განუდ-

[1] გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, გვ. 131.

[2] დასავლეთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი იოსები გარდაიცვალა 1776 წლის 13 მაისს, 37 წლის ასაკში; დაკრძალულია გელათში.

გა მეფეს. ამ უკანასკნელმა ერთგული თავადების, განსაკუთრებით წერეთლის, დახმარებით დაატყვევა რაჭის ერისთავი „ამოათხრევინა ორივე თვალი და რაჭა თავის სამფლობელოდ გამოაცხადა".[1]

ი. გიულდენშტედტი ვარაუდობს, რომ რაჭას (რაჭის ერისთავს) 5600 მეომრის გამოყვანა შეეძლო. მეცნიერი ჩამოთვლის დასავლეთ საქართველოს თავადებს, სადაც რაჭის თავადებსაც მოიხსენიებს. იგი 15 გვარს ასახელებს: რაჭის ერისთავი, ჯაფარიძე, წულუკიძე, იაშვილი, ყიფიანი, წერეთელი, ლორთქიფანიძე, მიქელაძე, აბაშიძე, ჩხეიძე, ხეიძე, აგიაშვილი, გაბუაშვილი, ფინეზიშვილი, ჯიჯავაძე. აქედან პირველი ხუთი რაჭის თავადები არიან; ბოლო ხუთი გვარის შესახებ მეცნიერი პირდაპირ მიუთითებს, რომ „არ არიან მდიდრები".

ნიშანდობლივია, რომ თავადი გიორგი წულუკიძე იყო ალექსანდრე ბატონიშვილის აღმზრდელი. მას სოლომონმა ხოტევის ციხე უბოძა. ი. გიულდენშტედტის დაკვირვებით, სამეფოში (იმერეთის სამეფოა მხედველობაში) დიდი წონა აქვთ წულუკიძეებს. პაატა წულუკიძე (გიორგი წულუკიძის ბიძაშვილი) ახლო ურთიერთობაში იყო რაჭის ერისთავთან. მეცნიერს რაჭაში დაუთვლია 112 სოფელი და ციხე.[2]

იოჰან გიულდენშტედტზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოუხდენია სოფ. წედისს. იგი ამ სოფლიდან იწყებს რაჭაზე თხრობას (თუმცა სხვადასხვა კონტექსტში ადრეცა აქვს მოხსენიებული ეს კუთხე). სოფელი მაღალ ვაკეზე მდებარეობს, სამ ვერსზე ჯეჯოს (მდ. ჯეჯორი – რ. მ.) დასავლეთით, ის ეკუთვნის თავად ჯაფარიძეს. მეცნიერი ყურადღებას აქცევს, რომ ამ სოფელთან ამტვრევენ წითელ რკინაქვას. სამმაგი გამოდნობის შემდეგ იღებენ რკინას, რომლისგანაც სოფლის მეურნეობისთვის საჭირო ნივთებს (ნალები, ნამგლები, ნაჯახები, სახნისი, ჯაჭვები და სხვ.) ამზადებენ. ეს ნივთები გარკვეული საბარტერო საშუალე-

[1] გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, გვ. 111.
[2] იქვე, გვ. 131.

ბაცაა (ცვლიან კახეთში პირუტყვზე, ხორბალზე და სხვ.). წედისიდან ექსპედიცია სოფ. პიპილეთში გადასულა, შემდეგ ონში გაჩერებულან. „ორ მდინარეს შორის (მხედველობაშია მდინარეები რიონი და ჯეჯორი) – ამბობს ი. გიულდენშტედტი – მდებარეობს ონი. მთა, რომელიც ამ ორ მდინარეს ჰყოფს, ჯეჯოს (ჯეჯორის – რ. მ.) მხარეზე არის ციცაბო და მაღალი და მასზე არის 2 ოთხკუთხა ციხე და 2 კოშკი; შემდეგ წავედით ონისკენ, საითაც რიონის ორივე მხარეს, მისგან ახლოს რამდენიმე სოფელი მდებარეობს".[1] ექსპედიციის წევრებს ღამე ონში გაუთევიათ. ღამით ი. გიულდენშტედტი შეუძლოდ გამხდარა („მე ამ ღამეს კვლავ შემამცივნა"), მაგრამ, როგორც ჩანს, მალე გამოკეთებულა, რადგან უძლურებაზე აღარაფერს ამბობს. იგი იძლევა ინფორმაციას მდ. რიონის შესახებ, კერძოდ აღნიშნავს, რომ რიონი სათავეს იღებს „თოვლიანი ალპების (ამ ტერმინს ზოგადად ქედის მნიშვნელობით ხმარობს) სამხრეთ მხარეზე", თერგის შენაკად ურუხის სათავის პირდაპირ. აქედან გზა გადის სოფელ ღებისაკენ (სოფ. ღები, მეცნიერის დაკვირვებით, ონიდან 1 დღის სავალზეა). რიონი თავის ხეობაში მიედინება დაახლოებით 25 ვერსის მანძილზე აღმოსავლეთით, შემდეგ კი სამხრეთისაკენ უხვევს. ექსპედიციას მხედველობიდან არ გამოჰპარვია, რომ აღმოსავლეთით მდებარეობს სოფელი ჭიორა, ცოტა ქვემოთ – გლოლა.[2]

ი. გიულდენშტედტი აღნიშნავს, რომ ონის ზემოთ, რიონის მარჯვენა ნაპირზე 9 სოფელი მდებარეობს, მარცხენა ნაპირზე კი თავად ონი დგას და კიდევ 7 სოფელი. მეცნიერი საგანგებოდ ასახელებს სოფლებს: ხურუთი, ჭალა, ჭაუბანი (ალბათ შეუბანი – რ. მ.), ლაგვანთა, საკაო, ძეგლევი, ნაკიეთი, უწერა, ღები (რიონის დასავლეთ მხარეზე), ონი, წუმედაური (ალბათ წმინდაური – რ. მ.), წოლა, ღარი, ჯიჩვი (ალბათ ჯინჭვისი – რ. მ.), გომი, მეტრევი, გლოლა,

[1] გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, გვ. 105.
[2] იქვე.



მდინარე რიონი უწერაში

ჭიდრო (ვახუშტისთან ჭიდროთა),[1] ჭიორა. მდ. ჯეჯორის დასავლეთით: პიპილეთი და წედისი; აღმოსავლეთით: კომანდელი, სხიერი, ქრისტესი, სომიწო, ჟაშქვა, ცეხვორი (როგორც ჩანს – ცხმორი), ღუნდა, ირი, ქვედი, ონშემი (ონჭევი – რ. მ.); საკმაოდ დაშორებით ონისგან, მთაში მდებარეობს: ხირხონისი, ქორთა, მოკა, ბროალოსა (ალბათ – მრავალძალი – რ. მ.), შქმერი, ბაჯიხევი, ჩორდი, ფსორი.

[1] ჭიდრო, ავტორის ცნობით, ციხეა (მხოლოდ).

მეცნიერს არ გამოჰპარვია მხედველობიდან, რომ ონში ცხოვრობენ იმერლები (ქართველები), სომხები და ებრაელები. „ყველანი ლაპარაკობენ ქართულად“.[1] ნიშანდობლივია, რომ სომხები და ებრაელები ვაჭრობდნენ წედისიდან შემოსული რკინის ნივთებით, ქართლიდან მოტანილი აბრეშუმით, მარილითა და ფეტვით. ვაჭრობა ფართო ხასიათს ატარებდა. ამიტომ საგანგებოდ მოდიოდნენ აქ ოსები დიგორიდან და დვალეთიდან, ბალყარები, სვანები და სხვანი.

პეტერბურგის ექსპედიცია ონში 8 ივლისს (1772 წ.) იყო. გაკვირვებულები იყვნენ, რომ მიუხედავად ირგვლივ თოვლიანი მთების არსებობისა, აქ ცხელოდა. ხორბალი და ქერი აღებული იყო. ყურადღება გაუმახვილებიათ, რომ ვაზი კარგად ხარობს (რიონის დაბლობში ამისათვის ხელშემწყობი პირობებია). ხაზი უნდა გავუსვათ, რომ აქ ვაზი მართლაც კარგად ხარობს (ყურძნის უნიკალური ჯიშებია), ოღონდ უნდა გავითვალისწონოთ, რომ მხოლოდ ქვემო და ზემო რაჭაში. მთა რაჭაში ვენახი არ ხარობს რელიეფის გამო. საერთოდ უნდა ითქვას, რომ ქვემო და ზემო რაჭის საზღვარი ხიდიკარზე გადის. ეს მთებისგან შევიწროებული ადგილია მდ. რიონის ხეობაში. ხოლო ზემო რაჭასა და მთა რაჭას შორის საზღვარი ვენახის მოსაელიანობის შედეგადაა განსაზღვრული. უწერა ბოლო სოფელია, სადაც ყურძნის მოსავალს იღებენ და შესაბამისად იგია ზემო რაჭის ბოლო სოფელი, ხოლო აქედან მოკიდებული გლოლა (საგლოლო), ჭიორა, ღები – მთა რაჭის სოფლებია.

ი. გიულდენშტედტი პროფესიით ნატურალისტი იყო და შესაბამისად საინტერესოა მისი დაკვირვებები როგორც ლანდშაფტზე, ისე მცენარეულ საფარზე. იგი აღნიშნავს, რომ პურს ონის მხარეში ხშირად შეერეული აქვს ღვარძლი (ზოლიუმ ტემულენტუმ), რომელიც დამათრობელად მოქმედებს. პურში ხშირად გვხვდება ზეკალე ცრეტიცუმ (ჭვავი?), რაც პურს სიშავეს უკარგავს.

[1] გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, გვ. 107.

რაჭაში (ცხადია, ონის მხარეშიც) ბევრია იელი (აზალეა პონტიკა) თხილნარში. რაჭველებმა იციან, რომ მისგან ნაკვები ფუტკრის თაფლი მათრობელაა (თავბრუს ხვევას იწვევს). უფრო მეტიც, მისი ფოთოლი პირუტყვისთვის, მაგალითად თხებისთვის, სასიკვდილოა.

ონიდან წასვლის შემდეგ, ექსპედიციას გაუვლია სოფლები: ველთეთრი, ზუდალი და შარდომეთი. კირქვიან კლდეზე გზა მეტად ვიწრო ყოფილა. ცხენებს კუდში ჩაბღაუჭებულნი მიჰყვებოდნენ. ერთი ცხენი ჩავარდნილა კიდეც მდინარეში, რის ვაივაგლახით გადაურჩენიათ იგი. ი. გიულდენშტედტმა დააფიქსირა, რომ სოფ. სორთან არის მინდა-ციხე და რიონს უერთდება პატარა მდინარე ლუხუნი. მცენარეულიდან ხშირად გვხვდება თუთუბო (ღრჰუს კორიარია), თრიმლი (კჰუს ცოტინუს), თეთრი წიფელი, მუხა, კუნელი, შინდი, ასკილი, ცოცხი (ციტიფუს), იფანი, არყი, ქაცვი და სხვ. სოფელში იყო კაკლის ხეები, თუთის ხეები, ქლიავი, ვაშლი, მსხალი და ყურძენი.

ი. გიულდენშტედტი საგანგებოდ ეხება გუთანს და მიიჩნევს, რომ იგი ძალიან ჰგავს გერმანულ კავს.[1]

14 ივლისს ი. გიულდენშტედტი მოინახულა სოლომონ მეფის ვაჟმა. მეცნიერი მას წარმოგვიდგენს „შავგვრემანს, მაღალს, ტანადს“. აღნიშნავს, რომ იგი სოლომონმა მიაბარა თავად გიორგი წულუკიძეს. აქვე ინახულა იგი სამეფო საბჭოს წევრმა თამაზ მესხმა, რომელსაც დავალებული ჰქონდა ექსპედიციის მოგზაურობის უზრუნველყოფა. იგი, გიულდენშტედტის წარმოდგენით, მედროვე იყო („მოსასხამი ქარის მიმართულებით აქვს მოგდებული“).


15 ივლისს ექსპედიციის წევრებმა უფლისწულთან ივახშმეს: „საჭმელად იყო მოხარშული დედლები, საქონლის, ცხვრის და გოჭის ხორცი, რაც მოგვიტანეს ხის ჯამებში. ღვინო კი იყო ვერცხლის დიდ საწდეში და იდგა მაგიდის შუაში. ყველას წინ ედგა ვერცხლის ბრტყელი თასი, რომელსაც თითოეული საწდეში ჩაშ-

[1] ი. გიულდენშტედტი, დასახ. ნაშრ., გვ. 111.

ვებული ვერცხლისავე დიდი კოვზით ავსებდა სურვილის მიხედვით ... დაილია საკმაოდ".[1]

ი. გიულდენშტედტმა მოინახულა სოფ. სორი. იგი დაკვირვებას აწარმოებდა მთის ქანებზე და მცენარეულიც შეუგროვებია. აქ ბევრი ყოფილა უცვეთელა (ფილადელპჰუს კორანარია), კუნელი, შინდი, კვიდო (ჩირინალის გლედ) და სხვ. სორში მეცნიერს შეატყობინეს, რომ მეფე საწერეთლოდან რაჭაში მოსულა. იგიც სხარტალისაკენ წასულა. გზას განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოუხდენია მასზე: „აქ რიონს (გზა რიონის გაყოლებით მიდიოდა – რ. მ.) მაღალი, კირქვის კლდეებიანი ნაპირები ავიწროებენ ისე, რომ სიგანე ორმოცი ნაბიჯიღა რჩება, ხიდის ჩრდილო-დასავლეთით არის ხის ოთხკუთხა ნაგებობა (სამხედრო), რომლის ერთი კარი გადიოდა რიონს ზემოთ წესისაკენ, მეორე რიონზე და უკან კვაცხუთის, სადმელის, ტოლისა და საყიფიანოსაკენ".[2] ექსპედიციას გაუვლია ხიდიკარი, ხიმში და ამბროლაური. შემდეგ მდ. კრიხულას გაყოლებით ახალსოფელი, საიდანაც კარგად მოჩანს კვარას ციხე. ი. გიულდენშტედტი, როგორც ჩანს, იცნობს საქართველოს ისტორიას. სოფ. ხოტევში გავლისას აღნიშნავს, რომ მეფემ ხოტევის ციხე გადასცა თავად გიორგი წულუკიძეს – ბატონიშვილის აღმზრდელს. გზა კირქვიანი ყოფილა (ეს დღესაც ასეა). ხოტევის გარშემო ბაღები და ვენახები იყო გაშენებული. ხოტევის ქვემოთ შეუმჩნევიათ დამდგარი ტბა, რომელშიც ჰყვაოდა ტალახა ლოტოსი (ნიმპჰაეა ლუტეა). ეს ალბათ ის ტბაა, რომელიც სოფ. ჭელიაღელესა და ნიკორწმინდას შორის დღესაცაა და „შავლაის (შავლაძის) ტბას" ეძახიან. სოფელ წკადისში გავლის დროს ჩრდილო-აღმოსავლეთით დაუნახავთ მწვერვალზე აღმართული ციხე კვირიკეწმინდა. ი. გიულდენშტედტს საჭიროდ მიაჩნია საგანგებოდ აღნიშნოს, რომ „ ... ხოტევის გარშემო სოფლებს შორის ჩანს, ... მონასტერი ნიკორწ-

[1] ი. გიულდენშტედტი, დასახ. ნაშრ., გვ. 113.
[2] იქვე.



მინდა, რომელიც არის ნიკორწმინდელი ეპისკოპოსის საჯდომი".[1]

წკადისში მოვიდა სოლომონ პირველისგან გამოგზავნილი თავადი დავით კვინიხიძე,[2] რათა უფლისწული ალექსანდრე და იოჰან გიულდენშტედტი წაეყვანა მეფესთან სოფ. სხარტალის რეზიდენციაში.

სოლომონ მეფე თავად ეწვია ი. გიულდენშტედტს. მას თან ახლდნენ ბატონიშვილი, თავადები და ნიკორწმინდის ეპისკოპოსი. მეცნიერი კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ „ის (მეფე – რ. მ.) მე გერმანული გულწრფელობითა და ნამდვილი სიხარულით გადამეხვია. საუბარში, რომელიც თითქმის ერთ საათს გაგრძელდა, ის უდიდეს მზადყოფნას ამჟღავნებდა, ხელი შეეწყო თავის ქვეყანაში ჩემი სამოგზაურო გეგმების განხორციელებისათვის".[3]

მეცნიერის დაკვირვებით, სხარტალს მაღალი მდებარეობა აქვს. ამას ადასტურებდა ცაცხვი, რომელიც ჩრდილო მთისწინეთში მაისში ყვავის, აქ კი ივლისში

[1] ი. გიულდენშტედტი, დასახ. ნაშრ., გვ. 115.

[2] თავადი დავით კვინიხიძე გახლდათ დიპლომატი. იგი მეთაურობდა იმერეთის სამეფოს ელჩობას რუსეთში 1763, 1774 და 1784 წლებში. მან რუსეთის მთავრობას აცნობა იმერეთის მზადყოფნა ოსმალეთის წინააღმდეგ ომისათვის და ითხოვა, სოლომონ I-ის სახელით, დამხმარე ჯარი. ამ ელჩობის შედეგად რუსეთის საექსპედიციო ჯარის რაოდენობა გაიზარდა. რუსეთ-ოსმალეთის 1768-74 წწ-ის ომში მოპოვებულ წარმატებათა განსამტკიცებლად დ. კვინიხიძე 1774 წ. მეორედ გაემგზავრა რუსეთს. ამჯერად ელჩობას შედეგი არ მოჰყოლია – რუსეთის მთავრობა ოსმალეთთან ურთიერთობის გამწვავებას მოერიდა. თუმცა ამ ომის შედეგებმა და ყირიმის საკითხის გამწვავებამ ხელსაყრელი პირობები შეუქმნა იმერეთის მეფეს ოსმალთა ბატონობისაგან თავის დასხსნელად. 1784 წელს დავით კვინიხიძე მაქსიმე აბაშიძესა და ზურაბ წერეთელთან ერთად კვლავ ეწვია რუსეთს. ამჯერად ელჩობის მიზანი იყო იმერეთის სამეფოს რუსეთის მფლობელობაში შესვლა (გეორგიევსკის ტრაქტატის ანალოგიურად).

[3] ი. გიულდენშტედტი, დასახ. ნაშრ., გვ. 115.



ჭელიაღელე

იწყებდა ყვავილობას. აქაური მცენარეულიდან აღსანიშნავია: ფიჭვი, სოჭი, ურთხმელი, ბაძგი (ჭყორი), საკმელა, ცარცელი და თამელი, აღმოსავლური კრაზანა, ნაღველა ჯვარულა და სხვ. (ი. გიულდენშტედტი).

მეფემ სამი თავადი აახლა მეცნიერს, რათა დახმარებოდნენ დარჩენილი რაჭის დათვალიერებაში. ექსპედიციამ სხარტალიდან გაიარა სოფლები: ველევი, ბეთლემი, შხივანა. ღამე უდაბნოში გაუთევიათ. ეს განდეგილთა საყუდელია, სადაც მაშინ ექვსი ბერი ცხოვრობდა. იყო ქვითკირის პატარა ეკლესია. ყურადღება მიაქციეს, რომ კავკასიურ ტყემალსა და კუნელს ჰქონდა ნაყოფი. აქ იყო ბზა და ხეჭრელი.

უდაბნოდან მდ. ბარულის სათავესთან მისულან (მდ. ბარულა სოფ. მუხლთან ერთვის მდ. რიონს), მარცხნივ დაუტოვებიათ ზემო ბარი და ქვემო ბარი და ბრავალძალში (მრავალძალში) მისულან. ი. გიულდენშტედტი სოფლის დასახლებას შეცდომით „ბრაუსალად" იხსენიებს. მეცნიერი შემდეგ ასახელებს სოფლებს: ჭიბრევს, ფარახეთსა და შარდომეთს.

ექსპედიცია ყურადღებას ამახვილებს მრავალძალის ეკლესიაზე (სოფელი მთისკალთა), რომელიც წმიდა გიორგის სახელობისაა. „კედლებზე ხატია წმინდა მხედარი მრავალნაირი ფერებით შეღებილი და სპილენძზე და ვერცხლზე ამოტვიფრული. ეკლესიას აქვს ძვირფასი ქვებით მოჭედილი ხმალი, რამდენიმე ისარი, შუბი, ვერცხლის შანდალი და ორი, ვერცხლით მოვარაყებული ყანწი ღვინის დასალევად".[1] შესასვლელის თავზე, ქვაზე ამოკვეთილ ჯვარზე არის წარწერა (დაქარაგმებული): „წმიდაო გიორგი მეოხ ეყავ სულსა ჲოვანესსა".

მეორე დღეს (21 ივლისი) ექსპედიცია მდ. ხეორის სათავესთან შქმერში მისულა. ადგილი სიმაღლის გამო ძირითადად ბუჩქნარითაა დაფარული. აქედან ასულან ბაჯიხევში. მეცნიერი ამბობს, რომ მე მცენარეულზე დაკვირვებით მივხვდი, რომ ზღვის დონიდან ძალიან მაღლა ვიყავითო. შქერი და ცირცველი ღვიასთან ერთად – აი მაღალმთიანი ზონის მცენარეული საფარი. ექსპედიციამ დააფიქსირა, რომ ბაჯიხევში ვაზი არ ხარობს.

რიონის შენაკად ჯეჯორის ზემოთ გარკვევით ჩანდა სოფ. წედისი, მოშორებით სოფ. ქვედი; დაბლა – სოფლები პიპილეთი და ონჭევი, შემდეგ ონის ციხე. ბაჯიხევიდან სოფ. ფსორში წასულან. აქედან მეორე მხარეს ფართო ხეობაში მოჩანდა სოფ. ჩორდი, მისგან მოშორებით, წესის მოპირდაპირე მხარეს, – სოფ. ირი. გაუვლიათ სოფლები ჟაშქვა და სომიწო; დაუთვალიერებიათ სოფ. ქრისტესი, შემდეგ სოფლები კომანდელი და სხიერი.

[1] ი. გიულდენშტედტი, დასახ. ნაშრ., 121.

23 ივლისს ღამე ონში გაუთევიათ. ნიშანდობლივია, რომ აქ ი. გიულდენშტედტი შეხვდა კათოლიკე მამებს ანტონიუსსა და დიონისიუსს.[1] სწორედ მათ მიერ აშენებულ ბინაში (აფთიაქში) უნახავს მეცნიერს მისთვის „შესაფერისი ღამის გასათევი".

ონიდან ჩრდილოეთისკენ რიონის აყოლებით წასულან. გაუვლიათ სოფლები: ღარი და არტევანა. მდ. ღარულას ზევით, რიონს, მეცნიერის დაკვირვებით, ერთვის მდ. საკულა (მდ. საკაურა – რ. მ.), ზემოთ არის ლაგვანთა და უფრო მაღლა – საკაო. გაუვლიათ სოფლები: ძეგლევი და ჭალა. გარკვეული დაკვირვება ჩაატარეს სოფ. უწერაში. „უწერის მიდამოებში არის აგრეთვე სხვადასხვა მინერალური წყარო, ნაწილობრივ ტუტიანი, ნაწილობრივ მარტიალური, მთლად ისეთი, როგორიც თერგზეა სიონთან და კობთან. ტუტიანი და მასთან მიმდინარე წყაროები უმთავრესად არის ეკლესიის ბოლოს. ორივე შეიცავს ბევრ ეთერს. საკვირველია, რომ ეს სამკურნალო წყაროები ერთმანეთისგან ასე ახლოს არიან; ქრონიკული დაავადებათათვის ორივეს არსებითი მნიშვნელობა აქვს და მარტიალურის ხმარება უნდა მისდევდეს ტუტისას".[2]

ი. გიულდენშტედტი საგანგებოდ მიუთითებს, რომ უწერის მოსახლეობა ტუტიან წყალს სასმელად იყენებს. ამ წყლით ამჟავებენ პურის ცომს, რომელიც აფუებს (მაღლა სწევს) მას და მარილის გარეშეც კარგი გემოსი გამოდის. ამ წყაროებთან იის სუნი იგრძნობა. მეცნიერს არ გამოჰპარვია, რომ „უწერასთან ხშირი იყო კაკლის ხეები და პატარა ლურჯი ქლიავი (ღოღნაშო – რ. მ.). ექსპედიციის იქ ყოფნის პერიოდში უწერლები პურს მკიდნენ. მათ დააფიქსირეს, რომ აქაც, ისე როგორც საქართველოს სხვა კუთხეებში, უმთავრესად მოჰყავთ კულაგო (Tritikum aestivum) და ზანდური (Tritikum monococcum). ეს უკანასკნელი თეთრ პურს იძლევა. ბულულს დგამენ

[1] ი. გიულდენშტედტი აღნიშნავს, რომ ოსეთში მოგზაურობისას მამა დიონისიუსი ოსებს მოუკლავთ.

[2] ი. გიულდენშტედტი, დასახ. ნაშრ., გვ. 125.

სარებზე, რათა ნიავი გარშემო უვლიდეს და ხელი შეუწყოს დროულად გაშრობას. აქ (უწერაში) საკმაოდ ბევრს თესენ სიმინდს, ლობიოს და მუხუდოს; ბევრია კატაბარდა და ჩვეულებრივი სურო.

სოფელ უწერის შემდეგ ჩრდილოეთით წასულან. გაუვლიათ ჭიდროთა, ბელადომი და გლოლა. შემდეგ მეცნიერი ასახელებს ჭიორას თავისი მინდვრებით (დღეს ჭიორის ჭალებს ეძახიან – რ. მ.). აქედან ღებში ასულან, რიონის სათავესთან (ფასის მთა) ახლოს. ღებიდან გზა დიგორში და ბალყარეთისკენ მიდის.

ი. გიულდენშტედტმა ღების მონახულებით დაამთავრა მთებში მოგზაურობა და სამხრეთისკენ წამოვიდა. 28 ივლისს დაბრუნდა ონში. 29 ივლისს კვლავ სოფ. წესში შეჩერდა. 30 ივლისს გაიარეს მდ. რიცეულა, სოფლები სადმელი და ხვანჭკარა. 31 ივლისს სიფელი ტოლა და მდ. ასკი მოიტოვეს უკან და სოფ. წესში დაბრუნდნენ. შემდეგ მეფის საზაფხულო რეზიდენციაში – სხარტალში მივიდნენ. აქ მეფის მთელი ოჯახი იმყოფებოდა. ი. გიულდენშტედტი შეხვდა სოლომონ I-ს, რომელმაც, როგორც მეცნიერი გადმოგვცემს, მას აჩვენა ყვითელი თიხიანი ქარსნარევი მიწა და რამდენიმე რკინის კოლჩედანის (ნახევრად ძვირფასი მინერალი) ნაჭერი. ორივე ბრჭყვიალებდა და იპყრობდა ყურადღებას. რკინიანი კოლჩედანი უხვად მოიპოვება სოფ. სხარტალის კირქვიან მთებში. 2 და 3 აგვისტო სტუმარს სამეფო რეზიდენციაში გაუტარებია. ამ დროს გამყოლები და ცხენები ისვენებდნენ, მეცნიერმა კი საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიისათვის რაპორტი (პატაკი) მოამზადა და ცხინვალში რუსეთის საქმეთა რწმუნებულს ლვოვს (სადაც იგი ერეკლე II-სთან ერთად უნდა ყოფილიყო) გაუგზავნა. სამეფო ბანაკში ამ დროს ყოფილან მიტროპოლიტი მაქსიმე[1] და იმერეთის სამეფოს

[1] მიტროპოლიტი მაქსიმე გვარად აბაშიძე იყო, დავით აბაშიძის (სახლთუხუცესის) ძმა. 1759-1781 წლებში იყო ქუთაისის ეპისკოპოსი (ქუთათელი). რეზიდენცია ჰქონდა სოფ. მაღლაკში (1770 წლამდე), სადაც ააგო მცი-





▲
ხვანჭკარის საერთო ხედი სოფელ ბუგეულიდან

სახლთუხუცესი დავით აბაშიძე. ამის ბიძაშვილს, ქაიხოსროს დანიშნული ჰყავდა მეფის ასული დარეჯანი. ზემოთ ჩვენ მაქსიმე აბაშიძე (მიტროპოლიტი) ვახსენეთ, როგორც დიპლომატიურ მისიაში მონაწილე დავით კვინიხიძესა და ზურაბ წერეთელთან ერთად. იგი მანამდეც 1768 წელს ელჩად იყო რუსეთში.

4 აგვისტოს ი. გიულდენშტედტი გაემგზავრა სოფ. სხარტალიდან. გზა ოკრიბისკენ იყო (გამყოლებად ჰყავდა: დავით მესხი, თეიმურაზ ლორთქიფანიძე და ნიკოლოზ წერეთელი). გზად ნიკორწმინდა დაათვალიერეს. ხაზს უსვამს, რომ აქ არის ნიკორწმინდელი ეპისკოპოსის რეზიდენცია. ეკლესიაში მეცნიერმა ყურადღება მიაქცია წმინდანების გამოსახულებებს: „ბევრი იყი წმინდა გიორგი და სხვა წმინდანები ამოკვეთილი, ბერძნულად დაწერილი სახელებით, მაგრამ სხვაგან არსად იყო წარწერები. ცოტა ხნის წინათ აქ იყვნენ თურქები, რომლებმაც ბევრი რამ დაანგრიეს და ეკლესია გაძარცვეს“.[1]

1772 წლის 5 აგვისტოს, რაჭაში ოთხკვირიანი მოგზაურობის შემდეგ, რომლის დროსაც ძალზე მნიშვნელოვანი ინფორმაცია მიიღეს რაჭის ბუნებრივი პირობების, ადამიანთა ყოფა-ცხოვრებისა და ზნე-ჩვეულებების, ფლორისა და ფაუნის შესახებ, ექსპედიცია ოკრიბისკენ გაემართა. გზად ყურადღება მიაქციეს ციცაბო კლდეზე გამომდინარე მდ. ბარეულასა და გაუარეს ზემოხსენებულ უდაბნოს (განდეგილთა სადგომს).

რე ეკლესია და ღვთისმშობლის ხატი გადაასვენა. 1776 წელს აიყვანეს დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) კათოლიკოს-პატრიარქის პატივში. კათოლიკოსმა მაქსიმემ პირობის წიგნი ჩამოართვა სოლომონ I-ს, რომ აღკვეთავდა საკათალიკოსო მამულების გაცემას მეფის მოურავებსა და მოხელეებზე. ენერგიულად იბრძოდა ტყვეთ მოვაჭრეთა წინააღმდეგ. 1776 წ. მან შეაჩვენა და ეკლესიიდან განკვეთა კაცია ჩიჩუა, რომელმაც ყმები გაყიდა. აქტიურად მონაწილეობდა იმერეთის სამეფოს პოლიტიკურ ცხოვრებაში. გარდაიცვალა 1795 წ.

[1] ი. გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, გვ. 131.



მდ. რიონი

ი. გიულდენშტედტი საინტერესოდ აღწერს იმერეთში მოგზაურობასაც.

პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის ექსპედიციის რაჭაში მოგზაურობის შედეგები უაღრესად მნიშვნელოვანია. ჩვენ ძალზე საინტერესო სურათს ვიღებთ XVIII საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და საინტერესო კუთხის – რაჭის შესახებ. ი. გიულდენშტედტმა დიდი ადგილი დაუთმო კუთხის გეოგრაფიულ აღწერას – რაჭის სოფლების, მდინარეების, ტბების, ნიადაგების, ცხოველების, მცენარეების აღწერას; მიუთითა მინერალებისა და მადნების მდებარეობაზე და მათი

მოპოვების აუცილებლობაზე. საოცარი გულმოდგინებით აღწერა გზა, რომლის გავლაც მას მოუხდა. იგი არ კმაყოფილდება ნანახით და იშველიებს ისტორიულ ქრონიკებს და გადმოცემებს, რომლებიც ამა თუ იმ სოფელში არსებობდა. საგანგებოდ ჩერდება ციხეებსა და მონასტრებზე, აღწერს მათ. ჩამოთვლის ცხოველებსა და მცენარეებს, რომლებიც მას ხვდება. ასახელებს ხის ჯიშებს, ახასიათებს მდინარეებს, ტბებსა და მდინარეებში გავრცელებულ თევზებს, აღწერს მშენებლობის ხელოვნებას, პურობას, პურის ცხობას, ღვინის დაყენებას, კარაქის დღვებას, ჩაცმულობას და სხვ. ი. გიულდენშტედტი ყურადღებას აქცევს ავადმყოფთა მკურნალობას. იგი გამოარჩევს და ვრცლად აღწერს ზოგიერთ გეოგრაფიულ პუნქტს (მაგ., ნიკორწმინდა, უწერა და სხვ.). იგი ცდილობს, გარკვეული ცნობები აიღოს პოლიტიკური ცხოვრებიდან.

როგორც ვხედავთ, იოჰან გიულდენშტედტის მიერ რაჭაში მოგზაურობის აღწერა გვაძლევს მნიშვნელოვან ცნობებს, გეოგრაფიულ, ისტორიულ, ეთნოგრაფიულ, საბუნებისმეტყველო და გეოლოგიურ მასალას XVIII საუკუნის მეორე ნახევრის რაჭის ისტორიის შესასწავლად.

„ზაფხულს გრილი, ზამთარ თბილი“

ზოგი რამ რაჭის საერისთავოს ისტორიიდან

რაჭის ისტორიის, მისი გეოგრაფიული მდებარეობისა და მის ბინადართა შესახებ უაღრესად მნიშვნელოვანსა და ღირებულ ცნობებს გვაწვდის XVIII საუკუნის გამოჩენილი მოღვაწე – ისტორიკოსი, გეოგრაფოსი, ეთნოლოგი და კარტოგრაფი ვახუშტი ბაგრატიონი. ენციკლოპედიურად განსწავლული მეცნიერი ლაკონიურ დახასიათებას აძლევს საქართველოს ამ უმშვენიერეს კუთხეს: „რაჭა, ფრიად მაგარი მთითა, კლდითა, ხრამითა, ხევითა და ტყითა. შეუვალი გარე მტრისაგან“.[1] შემდეგ მის კლიმატურ პირობებს წარმოადგენს: „ჰავით არს კეთილმშუენი, ზაფხულს გრილი, ზამთარ თბილი და უქარო“.[2] მეცნიერს არც რაჭის მიწის ნაყოფიერება გამორჩენია: „... მოსავლიანი ... ნაყოფიერებს ყოველნი მარცვალნი, ვენახნი, ხილნი, მტილოვანნი ყოველნი“.[3] ხაზგასმულადაა მოცემული მეცხოველეობის მდგომარეობა: „ ... პირუტყუნი, აქლემს გარდა ყოველნი, და არა მრავლად. ცხოვარი უდუმო, ღორი – სიცოცხლე მათი (რაჭველების – რ. მ.). მდინარეთა კალმახნი მრავალნი, სხუა

[1] ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 770.

[2] იქვე.

[3] იქვე.

თევზნი არარაი, არცა რიონსა შინა".[1] ნიშანდობლივია რაჭველების ვახუშტი ბაგრატიონისეული დახასიათება: „კაცნი ტანოვანნი, მხნენი, ბრძოლასა შემმართებელნი, ძლიერნი ... ქალნი მშვენიერნი, მქცევნი ეგრეთნივე, რბილნი".[2] როგორც ვხედავთ, მეცნიერმა ჩვენთვის მეტად მნიშვნელოვან საკითხებზე ამომწურავი ინფორმაცია მოგვაწოდა. თანაც მისი ყოველი მონაცემი მაღალფასეულია, რადგან საკუთარი თვალით ნანახს, დაკვირვებით მოპოვებულ ინფორმაციასა და უშუალოდ განცდილს წარმოაჩენს.

რაჭა დასავლეთ საქართველოს ჩრდილო-აღმოსავლეთში მდებარეობს. მისი გეოგრაფიული კოორდინატებია: ჩრდილო განედის 42°10' – 41°30'-სა და აღმოსავლეთის გრძედის 41°51' – 42°17'. რაჭის საზღვრები ზედმიწევნით ზუსტად აქვს შემოფარგლული ვახუშტი ბაგრატიონს. მისი ცნობებით, აღმოსავლეთი საზღვარია მთა, რომელიც კუდაროს, წონისა და მდინარე ფაწის შორის მდებარეობს; აგრეთვე კავკასიონი, ვიდრე „დიგორის კავკასამდე, რაჭა გლოლასა და ჟღელეს შორისი".[3] სამხრეთით „წონიდამ წამოსული მთა დასავლეთად აღმოსავლეთიდამ, ვიდრე არპანისა (ალპანა – რ. მ.) და დღნორისამდე" (ეს რიონის ხეობაშია – რ. მ.). ამ მთას, ვახუშტი ბაგრატიონის მიხედვით, რაჭის მთა ეწოდება.[4]

მეცნიერი ბატონიშვილი რაჭას წარმოადგენს, როგორც ისტორიულ ქვეყანას. რაჭა თანამედროვე ონისა და ამბროლაურის რაიონებია. სამართლიანადაა გამოთქმული მოსაზრება, რომ მისი საზღვარი მდ. ჯეჯორის ხეობაში ერწოს გადასასვლელამდე გრძელდებოდა, რომ კუდარო რაჭაა, რაც სხვადასხვა პირველწყაროებით დასტურდება.[5]

1 ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, გვ. 770.

2 იქვე.

3 იქვე, გვ. 769.

4 იქვე.

5 იქვე.

დღესდღეობით არ არის საბოლოოდ დადგენილი ტერმინ „რაჭის" ეტიმოლოგია, თუმცა არაერთ მეცნიერსა აქვს გამოთქმული თავისი აზრი აღნიშნულის შესახებ. ვახუშტი ბაგრატიონი ფიქრობს, რომ ამ კუთხემ სახელწოდება მიიღო მისი მთათა შორის ჩაღრმავებულობის გამო: „ხოლო სახელი მოიგო გარემოსთა დიდროვანთა მთათაგან და შინაგან ღრმის ადგილობისა მიერ: „იხილე, რა ჭაა ადგილი ესე!"[1] ცხადია, ეს ხალხური ეტიმოლოგიაა, თანაც საკმაოდ პოპულარულია რაჭაში. ზოგჯერ მეფე თამარსაც უკავშირებენ, თითქოს მეფე-ქალს რაჭაში მოგზაურობის დროს მთიდან გადმოუხედავს [ზოგის ცნობით სოფელ შქმერიდან, ზოგიერთი ასახელებს სოფ. მთისკალთის წმ. გიორგის ეკლესიას, ზოგი საწილიკეს მთას, ზოგიც (კერძოდ სოფ. სამთისელები) ე. წ. ჩიკვაიძეების გორას და სხვ.] და წარმოუთქვამს: „ღმერთო, რა ჭაა".[2] აკად. აკაკი შანიძე შეეხო ტერმინ „რაჭის" ეტიმოლოგიის საკითხს და გამოთქვა მოსაზრება, რომ ამ სახელწოდებას საფუძვლად რატი უდევს. მეცნიერმა მიიჩნია, რომ ადგილი აქვს სვანეთის გავლენას და სახელის წარმოშობა ასე წარმოადგინა: რატიში – რატშა – რაჭა, რაც, თავის მხრივ „სარატიანოს" ნიშნავს.[3] ამ მოსაზრებამ ვერ პოვა მეცნიერებში მხარდაჭერა. გამოითქვა ვარაუდი, რომ რაკი რუსი ელჩების – სახელმწიფო სტოლნიკის ნიკიფორე ტოლოჩანოვისა და დიაკი ალექსი იევლიევის ანგარიშში მოხსენიებული „რაჭა" ნიკორწმინდა უნდა იყოს.[4] აქედან გამომდინა-

[1] ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, გვ. 770.

[2] აკად. არნოლდ ჩიქობავამ „გულუბრყვილო ხალხური ეტიმოლოგიის" ნიშნად მიიჩნია „რაჭის" ამგვარი განმარტება. იხ. მისი, ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1958, გვ. 162.

[3] აკ. შანიძე, ხალხური ეტიმოლოგია ლიტერატურაში, ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში, თბ., 1979, გვ. 86-88.

[4] ი. ცინცაძე, ალექსი იევლიევის 1650-1652 წწ. იმერეთის სამეფოში საანგარიშო აღწერილობა, თბ., 1969; ტოლო-

რე, ფიქრობენ, რომ ხომ არ არის რაჭა ამ პუნქტის (ნიკორწმინდის) თავდაპირველი სახელწოდება (თ. ბერაძე). როგორც ჩანს, ეს ვარაუდი არასწორია – რუს ელჩებს შეცდომა აქვთ დაშვებული[1] (მათ ანგარიშში ზოგი სხვა უზუსტობაცაა).[2]

აკად. გიორგი ახვლედიანი არ გამორიცხავდა, რომ რაჭა სვანეთის გავლენის შედეგად სწორედ სვანურიდან, კერძოდ, „რაჭუდან" (კურდღელი) შეიძლება ყოფილიყო მიღებული.[3] აკად. ნიკო ბერძენიშვილი თვლიდა, რომ „რაჭა" პირველად ციხეს (რეზიდენციას) ერქვა, შემდეგ კი მთელი მხარის (ქვეყნის) სახელწოდებად განზოგადდა.[4]

ტერმინ „რაჭის" ეტიმოლოგია ვრცლად მიმოიხილა პროფ. ლ. ფრუიძემ და დაასკვნა, რომ სახელწოდება „რაჭა" უძველესი ისტორიულ-გეოგრაფიული ტერმინია. იგი წარმოშობილი უნდა იყოს სატომო სახელისგან „ჭანი"[5] (ტერმინ „რაჭის", ისე როგორც „აჭარის", საფუძვლად „ჭან" ფუძე მიაჩნია). პროფესორი თ. მიბჩუანი მიიჩნევს, რომ სვანური „ლაჭა" ტოპონიმი ქართულ მეტყველებაში დამკვიდრდა „რაჭა" ფორმით.[6] რაჭის შესახებ სპეციალური ნაშრომის ავტორი პროფ. თ. ბერაძე ამ ტოპონიმის შე-

ჩანოვის იმერეთში ელჩობის მუხლობრივი აღწერილობა, 1650-1652 წწ., თბ., 1970.

1 ლ. ფრუიძე, ტერმინები „ლეჩხუმი" და „ლეჩხუმელები", „რაჭა" და „რაჭველები", კრებ. საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია, თბ., 1993, გვ. 497.

2 იხ. გ. ბოჭორიძე, რაჭა-ლეჩხუმის ისტორიული ძეგლები და სიძველეები, თბ., 1994.

3 ლ. ფრუიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 497-498.

4 „რაჭა" რაჭულ ტოპონიმიაში რაიმე დასახელებული ადგილის (თუნდაც ციხის) აღმნიშვნელად არ არის დამოწმებული (პ. ცხადაია, ვ. ჯოჯუა, რაჭის გეოგრაფიული სახელწოდებანი, I, თბ., 2003, II – 2005).

5 ლ. ფრუიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 501.

6 თ. მიბჩუანი, დასავლეთ საქართველოს მთიელთა ეთნოგენეზის, განსახლებისა და კულტურის ისტორიიდან, თბ., 1989, გვ. 72.



კრისტეფორო დე კასტელი. მოსკოვის ელჩობა. ტოლოჩანოვი და იევლევი იმერეთში.

სახებ არსებულ მოსაზრებებს მიმოიხილავს და არ გამორიცხავს, რომ „რაჭა“ შესაძლოა იყოს ნიკორწმინდის თავდაპირველი სახელწოდება.[1]

საგულისხმოა, რომ ვახუშტი ბაგრატიონი იქ, სადაც ლეჩხუმის შესახებ გვაწვდის ინფორმაციას („ხოლო გორდიდან ვიდრე კავკასამდე არს ხეობა

[1] თ. ბერაძე, რაჭა, თბ., 1983; აგრეთვე მისი, რაჭა ფეოდალურ ხანაში, თბ., 1982, გვ. 132.

ლეჩხუმისა, რომელსა უწოდებენ თაკუერად"[1]), აღნიშნავს „პირველად თაკვერს უწოდებდნენ რაჭას ბაგრატიონთამდე, ვითარცა აჩენს ცხოვრება, რამეთუ „გარდმოველესო ოსთა გზა თაკვერისაო", ვინაიდან არს გზა ოსეთისა რაჭა და არა ლეჩხუმი. კვალად ვითარცა მოწმობს სვინქსარი მაქსიმე აღმსარებლისა, სახელდობრ ციხეთა მას შინათა, ხოლო შემდგომად ამას უწოდეს რაჭა და მას თაკუერი ციხისათვის მუნ მყოფისა".[2] ე. ი. ვახუშტის მიხედვით რაჭას პირველად თაკუერი ერქვა, მერე კი ეს სახელი ლეჩხუმს შეერქვა. ივანე ჯავახიშვილმა საეჭვოდ მიიჩნია „საგეოგრაფიო სახელების ამგვარი შეცვლა", თანაც ფრთხილად გამოთქვა მოსაზრება: „იქნებ წინათ „თაკუერი" საზოგადო სახელი იყო რაჭა-ლეჩხუმისა, „ხოლო შემდეგ სახელი რაჭა შემოიღეს და თაკვერი კი ლეჩხუმს შერჩა".[3]

როგორც ვხედავთ, მიუხედავათ მეცნიერთა ინტერესისა, „რაჭის" ეტიმოლოგია (ისე როგორც ბევრი სხვა ტოპონიმისა), გარკვეული არ არის. მრავალ ისტორიკოსთა (მარი ბროსე, თედო ჟორდანია, ექვთიმე თაყაიშვილი, დიუბუა დე მონპერე, ჟან შარდენი, იოჰან გიულდენშტედტი, სერგი მაკალათია, სარგის კაკაბაძე, გიორგი ბოჭორიძე, ლევან ფრუიძე, თამაზ ბერაძე და სხვ.) შორის, რომლებმაც მეტად მნიშვნე-

1 ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, გვ. 748.

2 იქვე, იხ. მინაწერი აშიაზე (748 გვ. სქოლიო).

3 ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, თხზულებათა ტ. II, თბ., 1983, გვ. 52. შდრ. დ. მუსხელიშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, I, თბ., 1977, გვ. 129-136; II, თბ., 1980, გვ. 147. იხ. აგრეთვე, დ. ლეთოდიანი, ბატონიშვილი ვახუშტი ტერმინ „თაკუერის" წარმოშობისა და გავრცელების შესახებ, კრებ. პოეტური სულის მეცნიერი (გ. ნადირაძის 80 წლისთავისადმი მიძღვნილი), თბ., 2012, გვ. 48-59; ლ. ფრუიძე, ტერმინები „ლეჩხუმი და ლეჩხუმელები", „რაჭა და რაჭველები", კრებ. საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია, თბ., 1993, გვ. 498-500.

ლოვანი მასალა და მოსაზრებები მოგვაწოდეს, გამორჩეულად ძვირფასი და ფასდაუდებელია ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“.[1] ეს ნარკვევი ერთადერთია, რომელიც ფართოდ გვაწვდის რაჭის (და მთელი საქართველოს) ისტორიას და გეოგრაფიას. გზადაგზა ჩვენ გამოვიყენებთ და მკითხველს მივაწვდით ვახუშტი ბაგრატიონის შესწავლილსა და ნაკვლევ მასალას რაჭის ისტორიისა და გეოგრაფიის შესახებ. ამ კუთხის ეპიგრაფიკული ძეგლები შეისწავლეს და ნაწილობრივ გამოაქვეყნეს მარი ბროსემ და პრასკოვია უვაროვამ. განსაკუთრებული ადგილი უკავია გიორგი ბოჭორიძის კვლევას რაჭა-ლეჩხუმის ისტორიული ძეგლებისა და სიძველეების შესახებ. მან წარმოადგინა რაჭის ისტორიის სქემა, რომელზეც ასახულია ამ კუთხის განვითარების ეტაპები, საერისთაოს გეოგრაფიული ზღუდეები, XI-XIII სს-ის რაჭის ერისთავთა რიგი. განხილულია და სათანადოდაა შეფასებული წერილობითი წყაროები და წინამორბედ მკვლევართა ღვაწლი. შესწავლილია ტოპონიმიკა და ის მნიშვნელობა, რომელიც რაჭას მიუძღოდა საქართველოს სახელმწიფოს ცხოვრებაში (უპირატესად შუა საუკუნეებში).

რაჭა გეოგრაფიული თვალსაზრისით იყოფა სამ ნაწილად: მთა რაჭა, ზემო რაჭა და ქვემო რაჭა. მთა რაჭაში შედის სოფელ უწერის ზემოთ ტერიტორია – სოფლები: ღები, ჭიორა, გლოლა. აქაა ცნობილი კურორტი შოვი. ზემო რაჭა უწერიდან იწყება და ვრცელდება სოფელ წესამდე („იწროთა“). გვინდა შევნიშნოთ, რომ მთა რაჭასა და ზემო რაჭას საზღერად ვაზის კულტურა უდევს. სოფ. უწერის ზემოთ ვაზი აღარ ხარობს (თვით უწერაშიც ყურძენი გვიან მწიფდება და მის პროდუქტსაც – ღვინოს ნაკლებ-შაქრიანობა ახასიათებს). ზემოხსენებული სოფლები უვენახონი არიან. რაც შეეხება ზემო და ქვემო რაჭის

[1] ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ქართლის ცხოვრება, ტ. IV. თბ., 1973.



საზღვარს – ესაა სოფ. წესს ქვემოთ, ორ კლდეს შუა ადგილი, რომელსაც ხიდიკარი (ხიდისკარი) ჰქვია. ვახუშტი ბაგრატიონი გადმოგვცემს: „ხოლო კუალად კრიხულას შესართავსა და ხიმშს ზეით მივიწროვებისა რიონი (ხაზგასმა ჩვენია – რ. მ.) სამხრიდამ და ჩრდილოდამ კლდითა. ხიდისთავს, კლდის ძირში არს, რიონის ჩვდილოთ, კლდისა ზედა, ციხე და უწოდებენ ხიდისკარს ... მის ზეით არს წესი".[1] ხიდიკარს ქვემოთ უკვე ქვემო რაჭაა.

დღესდღეობით რაჭა ორი ადმინისტრაციული ერთეულის – ამბროლაურისა და ონის რაიონებშია მოქცეული. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ აღნიშნული ადმინისტრაციული დაყოფის ფარგლებში აღარ შედის კუდარო (ადმინისტრაციულად ე. წ. სამხრეთ ოსეთის ფარგლებში შევიდა) და დასავლეთის მხარე დღნორისიდან ჭრებალომდე (მიწერილია ლეჩხუმზე – ცაგერის რაიონზე).

რაჭის ისტორიის შესასწავლად მნიშვნელოვანი და აუცილებლად გასათვალისწინებელია ნიკორწმინდის სიგელი XI საუკუნისა, რომელიც ამ დიდებული ტაძრის გუჯრებში აღმოაჩინა თედო ჟორდანიამ. ესაა ტყავზე (გრაგნილი) ნუსხურად დაწერილი სიგელი, რომელსაც აკლდა თავი და ბოლო. მეცნიერმა დაადასტურა, რომ იგი დაწერილია XI საუკუნის ხელით. სიგელი რომ ამ პერიოდისაა, ეს ჩანს მის შინაარსსა და მოხსენიებული ისტორიული პირების მოღვაწეობის დროში. აქ XI საუკუნეში მოღვაწე ისტორიული პირები არიან მოხსენიებულნი: ერისთავთერისთავის ლიპარიტის ძე იოანე, რომელიც ჩანს როგორც ბაგრატ IV-ის, ისე გიორგი II-ის ზეობის დროს; კახაბერი, ვარაზ-ვაჩე, ქველაის ძე და სხვანი. სიგელი ნიკორწმინდის ტაძრის წინამძღვრის (ნიკორწმინდელის) ხელიდანაა გამოსული. იგი გვაცნობებს: „ ... დამხვდა იადგარი ნახევარდაწერილი : ა : და გავასრულე ყო-

[1] ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ქართლის ცხოვრება, ტ. IV. თბ., 1973, გვ. 764-765.


ვლითავე სისრულითა: შევმოსე და მოვცვარე და შევბეჭდე და მისისა დაწერის და შეკაზმისთვის მივეც დრაჰკანი დუკატი : იე :"[1] თ. ჟორდანია ფიქრობს, რომ სიგელის მიმცემელი (შემწირველი) არის კირილე, ძე რაჭის ერისთავის (ერისთავთერისთავის) რატისა.[2] კირილეს შეუწირავს ასევე ძვირფასი ჯვარი, რომელზეც წარწერაა: „ქ. მე კახაბერყოფილმან: კირილე: ძემან სულკურთხეულისა: ერისთავთ ერისთავისა: რატისამან მოვჭედე: ხატი: ესე ჯუარცმისაჲ: ნუგეშინისმცემლად: : და : სალხინებლად სულისა ჩემისა ცოდვილისად და სადღეგრძელებლად : ძისა : ჩემისა : ერისთავთ ერისთავისა : რაჭის ერისთავისა : რატისად".[3] გასათვალისწინებელია ისიც, რომ კირილეს შვილისშვილი, რატის ქალიშვილი დედოფალთ-დედოფალი ეფემია ჩანს ნიკორწმინდის სხვა წარწერებში.

ნიკორწმინდის სიგელი ფასდაუდებელია რაჭის ძველი მოსახლეობის, დასახელებული ადგილების (ტოპონიმების) შესახებ ცნობების მოწოდების თვალსაზრისით. სიგელი სხვადასხვა კონტექსტში ასახელებს სოფლებს: ზნაკვა, მეტეხარა, ჯვარისა, ნიკორწმინდა (ნიკოლაოს წმინდა), ბეთაბრელი, ზახლეული, კაჩაეთი, ხევხმელი, შხრო, შომეთი (შოშიეთი), ქუმელოანი, თერნეული (თერნეულისთავი), ხოტევი, აგა-

[1] თ. ჟორდანია, ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიის და მწერლობისა, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თ. ჟორდანიას მიერ, II, თბ., 1997, გვ. 43-49; იხ. აგრეთვე, მისივე, ქრონიკები, I, თბ., 1892, გვ. 204-206.

[2] იქვე, გვ. 44.

[3] თ. ჟორდანია, ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიის და მწერლობისა, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თ. ჟორდანიას მიერ, II, თბ., 1997; იხ. აგრეთვე, ქრონიკები, I, თბ., 1892, ნიკორწმინდის ჯვარცმის ხატის აღწერა (იგი მანამდე შესნავლილი ჰქონდა დ. ბაქრაძეს, ნ. კონდაკოვს, პ. უვაროვას, გ. ჩუბინაშვილს), ეს წარწერა წაიკითხა და გამოაქვეყნა ექვთიმე თაყაიშვილმა. იხ. მისი, არქეოლოგიური მოგზაურობა რაჭაში, თბ., 1963, გვ. 89-90.



ნიკორწმინდა
(1010-1014 წწ.)

რა, ძირაგეული, ხიმში, შქმერი, სახიდი, ველიშეული, ცხილათი, საწირუ (საწირე – რ. მ.), მუხურა.

გ. ბოჭორიძემ, განიხილა რა ეს დოკუმენტი, აღნიშნა, რომ ჩამოთვლილი სოფლების დიდი ნაწილი დღესაც არსებობს; სამართლიანად მიიჩნია, რომ დღეს არ ჩანს მდებარეობა რიგი დასახელებული გეოგრაფიული პუნქტებისა (მეტეხარა, ბეთაბრელი, ზახლეული, ქუმელოანი, თერნეული).[1]

ზემო რაჭის დასახელებული პუნქტების შესახებ გარკვეულ ცნობებს გვაწვდის ალექსანდრე მეფის

[1] გ. ბოჭორიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 41-42; იხ. აგრეთვე, მ. ბერძნიშვილი, XI საუკუნის ქართული საისტორიო წყაროები საქართველოს შესახებ – ნიკორწმინდის დანერილი, თბ., 1979.



ნიკორწმინდა. გუმბათის მოხატულობა.

1432 წლის სიგელი,[1] რომელშიც მოხსენიებულია: ონი, ღები, ჭიორა, გლოლა, ჭიდროთა, ზედაქალაქი, ბუბა, ჩუშო, თევრეშო.

* * *

რაჭის საერისთავო შუა საუკუნეების საქართველოში ერთ-ერთი ძლიერი პოლიტიკური ერთეული იყო. როდის ჩამოყალიბდა ეს საერისთავო ცალკე პოლიტიკურ მხარედ? აქ, ჩვენ ვფიქრობთ, აუცილებელია დავუბრუნდეთ ზემომოყვანილ ნიკორწმინდის მაცხოვრის ხატის წარწერას, სადაც გარკვევით წერია:

[1] იხ. ს. კაკაბაძე, წერილები და მასალები საქართველოს ისტორიისათვის, I, თბ., 1914, გვ. 126-132.

„მე კახაბერყოფილმან კირილე, ძემან სულკურთხეულისა ერისთავთერისთავისა რატისამან მოვჭედე ხატი ესე ჯვარცმისაჲ ნუგეშინის მცემლად და სალხინებლად სულისა ჩემისა ცოდვილისად და სადღეგრძელებლად ძისა ჩემისა, ერისთავთერისთავისა, რაჭის ერისთავისა რატისად“ (ხაზგასმა ჩემია – რ. მ.).

მნიშვნელოვანია, რომ სოფელ სხვავის ჯვრის ტიპის გუმბათოვან ეკლესიაში ექვთიმე თაყაიშვილმა ყურადღება მიაქცია ხის დიდ ჯვარს (2,45 მეტრის სიმაღლისა), რომელზეც ორი უძველესწარწერიანი ფირფიტა იყო შემონახული. მეცნიერმა XI საუკუნით დაათარიღა წარწერა, რომლის შინაარსი შემდეგია: „უხორცოთა მთავარო გაბრიელ, მეოხ და მფარველ ეყავ ორთავე შინა ცხოვრებათა მამკობსა შენსა რატის რაჭის ერისთავს და ძესა მისსა კახაბერს ... “[1]

ამგვარად, მოყვანილი წარწერებიდან, სადაც რაჭის ერისთავებია დასახელებული, გამომდინარე, XI საუკუნეში რაჭის საერისთავო ჩამოყალიბებულია. აქვე შევნიშნავთ, რომ საეჭვო ჩანს ვახუშტი ბაგრატიონის ცნობა ლეონ აფხაზთა მეფის მიერ VIII საუკუნის ბოლოს სხვა საერისთავოებთან ერთად, რაჭის საერისთავოს დაარსებისა. საქმე ისაა, რომ რაჭა და მისი საერისთავო XI საუკუნემდე ჩვენამდე მოღწეულ არც ერთ ქართულ დოკუმენტში არ იხსენიება.

ვახუშტი ბაგრატიონი მეტად საინტერესო, ამასთან თამამ დასკვნას აკეთებს: „პირველად იყო რაჭა შორაპნის საერისთავო, მერმე იქმნა თვით (დამოუკიდებელი – რ. მ.) საერისთავოდ, და შემდგომად კახაბერის მოწყვედისა ეპყრათ მეფეთა. მერმე ბაგრატ იმერთა მეფემ მისცა ჩხეიძეს ერისთავობა, და აწცა არიან იგინი ერისთავად რაჭას, და არს მესამე სადროშო“.[2] ბატონიშვილმა კალმის ერთი მოსმით

[1] ე. თაყაიშვილი, არქეოლოგიური მოგზაურობა რაჭაში, თბ., 1963, გვ. 84.

[2] ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 770.

გადმოსცა რაჭის საერისთავოს ისტორია. იბადება კითხვა – შედიოდა რაჭა შორაპნის საერისთავოში? ჩვენს ხელთ არსებული საისტორიო წყაროები ამის თაობაზე სდუმან. რაჭის საერისთავოს შესახებ სრულყოფილი მოხსენიება მხოლოდ XII საუკუნეში გვაქვს, მეფე თამარის კურთხევის დროს. თანაც ჩანს, რომ საერისთავო დაწინაურებულია, რაჭის ერისთავს კი მეფის კურთხევაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს: „ვინათგან ლიხთ იმერითგან იყო წესი დადგმად გურგენისა თავსა სამეუფოსა, აწვიეს მონაზონი ღირსი და მადლშემოსილი, მთავარეპისკოპოსი ქუთათელი ანტონ საღირისძე მიღებად გურგენისა, და ცალკერძ კახაბერი ერისთავი რაჭისა და თაკვერისა".[1] კახაბერმა მეფისათვის ხმლის გადაცემაშიც („დადება ხრმლისა") მიიღო მონაწილეობა. ამგვარად, რაჭის ერისთავის მაღალი ფუნქცია სახელმწიფოში სრულიად ნათელია. ეს ხდება XII საუკუნის ოთხმოციან წლებში. მაგრამ მანამდე? მანამდე რაჭის საერისთავოს წყაროებში ვერ ვხვდებით. გ. ბოჭორიძე ფიქრობდა, რომ წყაროებში მოუხსენებლობა ხომ არ ნიშნავდა, რომ რაჭა გარკვეული დროის მანძილზე სხვა საერისთავოს ფარგლებში მოიაზრებოდა.[2] მეცნიერი ამის დასაბუთებასაც შეეცადა. მართლაც, რაჭის ერისთავები – კახაბერიძეები არგვეთის (შორაპნის) ერისთავთა – ლიპარიტეთა ნათესავები ჩანან. კახაბერიძეც და ლიპარიტეთიც ბაღვაშთა საგვარეულოს შტოებია. თ. ჟორდანიას მოჰყავს სომეხი ისტორიკოსის, სტეფანოზ ორბელიანის ცნობა ლიპარიტის (ლიპარიტების) ბაღუაშობის („ბაღვოვაშის") შესახებ. აი, რამდენიმე ფრაგმენტი უამთააღმწერლის „ასწლოვანი მატიანიდან": „კახაბერისძე კახაბერი, რომელი იყო სულით ბოროტი, ვითარ გვაუწყებს წიგნი მეფეთა, ბაღუშისათა და ნათესავთა მისსა".[3] აქ შემთხვევითი არ არის მეფეთა

[1] ისტორიანი და აზმანი შარვანდეთანი, ქართლის ცხოვრება, თბ., 2008, გვ. 402.

[2] თ. ჟორდანია, ქრონიკები, I, თბ., 1893, გვ. 194-195.

[3] ქართლის ცხოვრება, თბ., 2008, გვ. 714.

წიგნის დამოწმება კახაბერის ბოროტების დასამტკიცებლად. უამთააღმწერელი კიდევ უფრო მკაცრად გადმოგვცემს: „ხოლო კახაბერი მცირე ცხოვრებული განვიდა ცხოვრებისაგან და მოკვდა. და მოისპო ყოველი ნათესავი მისი ბაღუაშთა კახაბერისძეთა (ხაზგასმა ჩემია – რ. მ.), არა დაშთა და აღიხოცა ნათესავი მისი და სახსენებელი მათი".[1] ყურადსაღებია, რომ კახაბერისძეები ზოგჯერ იმავე სახელებს (რატი, კახაბერი) ატარებენ, რომლებიც ლიპარიტების გვარში იყო გავრცელებული.

XI-XII საუკუნეებში ლიპარიტების გვარში ოთხი რატია ცნობილი. აქედან რატი I (დაიღუპა 1021 წ. შირიმნთან ბრძოლაში) და რატი IV (კლდეკარის უკანასკნელი ერისთავი, გარდაიცვალა 1103 წ.) კლდეკარის ერისთავები იყვნენ. კახაბერისძეთა გვარშიც რამდენიმე რატია. ნიშანდობლივია, რომ ნიკორწმინდის წარწერებში რატი და კახაბერი ერთადაა მოხსენიებული („წმინდაო ნიკოლოზ, მეოხ ეყავ წინაშე ქრისტესა კახაბერს და რატის, ამინ[2]). ყურადსაღებია ზემო სხვავის ეკლესიის ჯვრის წარწერა, რომელიც ზემოთ მოვიყვანეთ – აქაც ნახსენებია რაჭის ერისთავი რატი და მისი ძე კახაბერი.[3] ლიპარიტების გვარიდან ცნობილია კახაბერ ნიანიასძე, რომელიც 1088 წლის მიწისძვრის დროს დაიღუპა („... თმოგვიცა დაინგრა და დაიპყრა ქუეშე კახაბერი ძე ნიანიასი ცოლითურთ"[4]). რამდენიმე კახაბერი ჩანს ნიკორწმინდის ტაძრის წარწერებში.

როგორც ჩანს, რაჭა და არგვეთი ერთმანეთთან მჭიდროდ არიან დაკავშირებული. როგორც რაჭის, ისე არგვეთის მატერიალური კულტურის ძეგლები იმეორებენ ერთსა და იმავე სახელებს (კახაბერი, რატი). ასე მაგალითად, კახაბერს ვხვდებით კაცხის, მღვიმევისა და ნიკორწმინდის წარწერებში, რატის –

[1] იქვე, გვ. 721.

[2] ე. თაყაიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 85.

[3] იქვე, გვ. 45.

[4] ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, ქართლის ცხოვრება, თბ., 2008, გვ. 306.

კაცხსა და ნიკორწმინდაში, ნიანიას – მღვიმევსა და ნიკორწმინდაში. გარკვეულ შემთხვევაში ამ წარწერებში მოხსენიებულნი ერთი და იგივე პირები არიან (მაგ., კახაბერი და რატი კაცხისა და ნიკორწმინდის). ერთ და იმავე პირთა მოღვაწეობა რაჭასა და არგვეთში მოწმობს ამ მხარეთა პოლიტიკურ და კულტურულ კავშირს.[1]


ამგვარად, არგვეთის (შორაპნის) და რაჭის ერისთავთა ნათესაობრივი (წარმომავლობა ბაღვაშებიდან) და ამ მხარეთა კულტურული კავშირი იძლევა საფუძველს ვივარაუდოთ, რომ რაჭა XI საუკუნემდე არგვეთის (შორაპნის) საერისთავოში შედიოდა.[2]

როდის შეიქმნა რაჭის საერისთავო (დამოუკიდებელი)?

დავუბრუნდეთ ზემომოყვანილ ნიკორწმინდის მაცხოვრის ჯვარცმის ხატის წარწერას, სადაც აღნიშნულია, რომ კახაბერყოფილმან კირილემ მოჭედა ხატი „სადღეგრძელებლად ძისა ჩემისა (კახაბერ-კირილესი – რ. მ.) ერისთავთერისთავისა, რაჭის ერისთავისა რატისად". ასევე მნიშვნელოვანია ჩვენ მიერ ზემომოყვანილი სხვავის ეკლესიის ჯვრის XI საუკუნის წარწერა, სადაც ხაზგასმითაა მოხსენიებული რაჭის ერისთავი რატი მის ძესთან კახაბერთან ერთად. რაჭის საერისთავოს დაარსების დროის განსაზღვრისათვის ეს წარწერები მეტად მნიშვნელოვანია. ხაზი უნდა გავუსვათ იმ გარემოებასაც, რომ თვით ნიკორწმინდის ტაძარი ერთიანი საქართველოს პირველი მეფის, ბაგრატ III-ის ზეობის დროს, XI ს-ის დასაწყისშია აგებული (ტაძრის მშენებლობა გასრულდა 1010-1014 წლებში). არ გამოვრიცხავთ, რომ საერისთავოს შექმნა-განმტკიცებაში ამ არქიტექტურულმა ძეგლმაც გარკვეული როლი შეასრულა.

გამომდინარე ზემოთქმულიდან, შესაძლებლად მიგვაჩნია რაჭის საერისთავოს შექმნის თარიღად X-XI

[1] გ. ბოჭორიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 45.
[2] იქვე, გვ. 46.



ბარაკონი. ტაძრის სამშენებლო წარწერა შესასვლელის თაღზე (1753 წ.).

საუკუნეების მიჯნა მივიჩნიოთ.[1] აქ წამყვანია ერთიანი საქართველოს პირველი მეფის, ბაგრატ III-ის (975-1014 წწ.) როლი. სწორედ ბაგრატ III-მ ჩამოაყალიბა რაჭის საერისთავო. საერისთავოს მეთაურად (ერისთავად) ბაღვაშთა სახლის წარმომადგენელი დანიშნა. როგორც ჩანს, შემდეგ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ გეოგრაფიულად კაცხისა და არგვეთის მამულები (ბაღვაშთა მამულობითი სამფლობელო) რაჭასთან ახლოს იყო, თანაც ბაღვაშებს ურთიერთობა ჰქონდათ ამ კუთხესთან.[2]

ამგვარად, ისტორიული წყაროებიდან და ისტორიოგრაფიული მასალიდან გამომდინარე, შეიძლება განვსაზღვროთ, რომ რაჭის პირველი ერისთავი ბაღვაშთა შთამომავალი რატი იყო.

[1] გ. ბოჭორიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 47. შდრ. თ. ბერაძე, რაჭის საერისთავო, ქსე, ტ. VIII, 1984, გვ. 313-314. თ. ბერაძე, რაჭა, გვ. 75.

ბაღვაშთა საგვარეულო IX-X საუკუნეებში საკმაოდ ძლიერი ფეოდალური ერთეული იყო. X საუკუნის დასაწყისიდან მათ ეხედავთ კლდეკარის ერისთავებად. X საუკუნის 80-იან წლებში ბაგრატ III-სა და კლდეკარის ერისთავს ლიპარიტს შორის გარკვეული უთანხმოება იყო. 989 წელს მეფემ კლდეკარის საერისთავო დაარბია. ლიპარიტ ერისთავი იძულებული გახდა, თავისი შვილებით კლდეკარის ციხიდან გამოსულიყო და ბაგრატ III-სთვის მორჩილება გამოეცხადებინა. ამასთან, იგი თავის მამულებით სამფლობელოს – არგვეთს დაუბრუნდა. გარკვეული დროის შემდეგ ბაღვაშები კვლავ დაბრუნდნენ კლდეკარში. როგორც ჩანს, მეფის პოზიცია შეიცვალა ბაღვაშების მიმართ და ბაგრატმა ლიპარიტის შვილი რატი რაჭის ერისთავად დანიშნა. მისი ძმა ლიპარიტი (ლიპარიტ ლიპარიტის ძე) კლდეკარის ერისთავი იყო XI საუკუნის 30-60-იან წლებში და ბაგრატ IV-ის მცირეწლოვნობის პერიოდში საქართველოს ფაქტობრივ გამგებლად ითვლებოდა.

ნიშანდობლივია, რომ კაცხის მონასტრის ჯვარზე (X-XI სს., გ. ჩუბინაშვილის განსაზღვრით) არის წარწერა, სადაც რატი რაჭის ერისთავი მოიხსენიება. რაჭის საერისთავო და თავად რატი ერთგულად იყვნენ ქვეყნის სამსახურში. რაჭის ერისთავი მონაწილეობდა და მედგრად იბრძოდა. სოფ. შირიმნთან ბრძოლაში იგი დაიღუპა (1021 წ.). „მატიანე ქართლისა“ გადმოგვცემს, რომ „მოიკლნეს ერისთავნი და დიდებულნი: რატი ძე ლიპარიტისი და ხურსი“.[1]

გიორგი I-მა (1014-1027 წწ.) რატის დაღუპვის შემდეგ რაჭის ერისთავობა მის შვილს კახაბერს უბოძა. რამდენიმე წლის შემდეგ იგი ბერად აღიკვეცა კირილეს სახელით (წყაროებშიც მოიხსენიება როგორც კირილე კახაბერყოფილი). ამის შემდეგ რატი კახაბერისძე დანიშნა რაჭის ერისთავად. ივარაუდება, რომ აქედან მოკიდებული (ჩვენ არ გამოვრიცხავთ, რომ ეს ცოტა ადრეც შეიძლებოდა მომხდარიყო), მამის

[1] ქართლის ცხოვრება, თბ., 2008, გვ. 275.

სახელი კახაბერისძე გვარად იქცა. ცხადია, ამ გვარის (კახაბერისძის) მატარებელი რაჭაში დამკვიდრებული ბაღვაშთა შტო იყო. კირილეს (კახაბერყოფილის) ძემ რატიმ იმდენად დიდი ავტორიტეტი მოიპოვა, რომ იგი ერისთავთერისთავის ტიტულს ფლობდა. ცნობილია მისი ორი შვილი – ეფემია და კახაბერი. ორივე ნიკორწმინდის წარწერებშია მოხსენიებული. მეტად საინტერესოა წარწერა, სადაც ეფემიაა მოხსენიებული: „წმიდაო ნიკოლოზ მღვდელთმოძღვარო, მეოხ ექმენ წინაშე ღვთისა დედოფალთ დედოფალსა ეფემიას, ასულსა სულკურთხეულისა ერისთავთერისთავისა რატისა, ამინ“.[1] ვფიქრობთ, ეფემიას დედოფალთ დედოფლად მოხსენიების საკითხი შესასწავლია. წარწერაში კახაბერი და მისი შვილი რატიც არიან დაფიქსირებულნი: „წმიდაო ნიკოლოზ, მეოხ ეყავ წინაშე ქრისტესა კახაბერს და რატის. ამინ“. კახაბერი რაჭის ერისთავი და ერისთავთერისთავია რატის შემდეგ. კახაბერი ამ თანამდებობაზე მისმა შვილმა რატიმ შეცვალა (XI საუკუნის დასასრული და XII ს-ის დასაწყისი). გ. ბოჭორიძე ეყრდნობა „ქართლის ცხოვრების“ მარიამისეულ ნუსხას და XII საუკუნის რაჭის ერისთავად მიიჩნევს კვირიკეს, XIII საუკუნის დასაწყისში – რატის, XIII ს-ის მეორე ნახევარში – კახაბერს (რაჭა-თაკვერის ერისთავი).[2] ჟამთააღმწერელს საგანგებოდ აქვს მოთხრობილი XIII საუკუნის 70-იან წლებში რაჭის ერისთავის, კახაბერის შეთქმულება დავით რუსუდანის ძის (ნარინის) წინააღმდეგ[3] (ამის შესახებ ქვემოთ საგანგებოდ შევჩერდებით). 1278 წელს კახაბერ კახაბერის ძე დავით ნარინმა დასაჯა – დააბრმავა და ხელი და ფეხი მოჰკვეთა; საერისთავო გააუქმა და რაჭა სახასო მამულად აქცია. მარი ბროსე საგანგებოდ აღნიშნავს, რომ რაჭაში „... თამარის, გიორგი ლაშასა და რუსუდანის დროს ... იყვნენ ძლიერნი ერისთავნი“.[4]

[1] ე. თაყაიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 86.
[2] გ. ბოჭორიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 47-48.
[3] ჟამთააღმწერელი, ასწლოვანი მატიანე, გვ. 610.
[4] მ. ბროსე, საქართველოს ისტორია, II, გვ. 175-176.

მართლაც, როგორც ჩანს, რაჭის საერისთაო მნიშვნელოვან როლს ასრულებდა საქართველოს სამეფოში. ამას ადასტურებს ის ფაქტი, რომ თამარის გვირგვინის დადგმაში ქუთათელი მთავარეპისკოპოსის ანტონ საღირისძის („მონაზონი ღირსი და მადლშემოსილი") გვერდით („ცალკერძ") კახაბერმა – ერისთავმა რაჭისა და თაკვერისა, მიიღო მონაწილეობა. ამასთან, სხვა დიდებულებთან (ვარდანისძენი, საღირისძენი, ამანელისძენი) ერთად შეასრულა ფრიად მნიშვნელოვანი მისია – „მოღება და დადება ხრმლისა". ეს წესი, ცხადია, ტრადიციული იყო, ძველიდან მომდინარეობდა („ლიხთიმერიდან იყო წესი დადგმად გვირგვინისა თავსა სამეუფოსა"). ტრადიცია რომ გრძელდებოდა, ეს შემდგომი მეფეების კურთხევისას ჩანს.

აღსანიშნავია, რომ 1191 წლის იური ანდრიასძის აჯანყებაში თამარის ქმარყოფილის მხარეზე თითქმის მთელი დასავლეთი საქართველო იდგა. მათ შორისაა რაჭის საერისთავოც („შეყარა ყოველი სვანეთი და აფხაზეთი, საეგროი, გურია, სამოქალაქო, რაჭა (ხაზგასმა – ჩემია), თაკუერი და არგვეთი.[1] ამ დიდი აჯანყების შემდეგ თამარმა რაჭის ერისთავი არ დასაჯა. როგორც ჩანს, რაჭველების მონაწილეობა ამბოხებაში უმნიშვნელო იყო. რაჭის ერისთავმა საერისთავოც შეინარჩუნა.

თამარის კეთილგონიერება ვერ შეიფერეს ერისთავმა და მისმა შვილებმა. ბასილი ეზოსმოძღვარი გვაუწყებს, რომ „იწყეს ძმაცუად და ბრძოლად მახლობელთა თვისთა". მათ „არც მხილებულთა შეიგონეს, არცა წყალობათაგან თამარისთა შეიკდიმეს".[2] რაჭის ერისთავის შვილებმა ანტონ ჭყონდიდელის ორი ძმა მოკლეს. თამარ მეფემ ერისთავის ხუთივე შვილი შეიპყრო და „ციხესა შესუა". მეფე ფიქრობდა, რომ აქ ისინი გამოსწორდებოდნენ. სამწუხაროდ, ასე

[1] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, ქართლის ცხოვრება, თბ., 2008, გვ. 422.

[2] ბასილი ეზოსმოძღვარი, ცხოვრება მეფისა თამარისი, ქართლის ცხოვრება, თბ., 2008. გვ. 495.



კრისტეფორო დე კასტელი. რაჭველი მღვდელი.

არ მოხდა და თამარი იძულებული გახდა, ხუთივე ძმა გაეძევებინა მაკედონიაში („ექსორიაყვნა მაკედონიას საბერძნეთისასა"), სადაც ისინი ბრძოლაში დაიღუპნენ კიდეც.

რაჭის საერისთავო აქტიურად მონაწილეობს შამქორის ბრძოლაში (1195 წ.). როცა მეფე თამარი და დავით სოსლანი ლაშქრის დასათვალიერებლად „გამოვიდეს ტფილისით", მათ ქართლელებთან, ჰერებთან, კახელებთან, ოსებთან, ყივჩაყებთან, მესხებთან, თორელებთან, შავშ-კლარჯ-ტაოელებთან, აფხაზებთან, სვან-მეგრელ-გურულებთან ერთად რაჭა-თაკვერმარგველებიც დახვდნენ.[1]

ჟამთააღმწერელი გვაუწყებს, რომ ლაშა-გიორგის გარდაცვალების შემდეგ „შეკრბეს წარჩინებულნი მის სამეფოსანი იმერნი და ამერნი, კათალიკოზთა ორთავ წინაშე, ნიკოფსით ვიდრე დარუბანდამდე, ყოველნი მორჩილებასა მათსა ქუეშე მყოფნი, და მეფე ყვეს რუსუდან, დასუეს საყდართა სამეფოთა

[1] ისტორიანი და აზმანი, გვ. 436.

და მიულოცეს მეფობა წესისამებრ".[1] როგორც ჩანს, აქაც სათანადო რიტუალი შესრულდა, რომელშიც აქტიურად მონაწილეობდნენ სამეფოს დიდებულები („წარჩინებულნი"). რასაკვირველია, რაჭის ერისთავიც (ალბათ რატი) მიიღებდა მონაწილეობას მეფის კურთხევაში. რაჭის ერისთავი უშუალოდ მონაწილეობდა დავით რუსუდანის ძის მეფედ აღიარებაში „და წარიყვანეს მეფე, ძე რუსუდანისი დავით, ხოლო მეფემან რუსუდან თანა წარიტანა ყოველნი მთავარნი ლიხთიმერელნი, დადიანი ცოტნე, კაცი პატიოსანი და სათნოებიანი და ბრძოლათა შინა სახელოვანი, ბედიანი, რაჭისა ერისთავი, გურილი და ყოველნი წარჩინებულნი".[2] მას შემდეგ, რაც მეფე რუსუდანი გარდაიცვალა, მონღოლებმა საქართველო რვა დუმანად დაყვეს. მერვე დუმანი დასავლეთი საქართველო იყო, რომლის თავკაცობა ცოტნე დადიანსა და რაჭის ერისთავს ებოძა: „ცოტნე დადიანსა და რაჭის ერისთავს – ყოველი იმერი სამეფო".[3]

რაჭის ერისთავი კახაბერი მონაწილეობას იღებდა კოხტასთავის შეთქმულებაში (1246 წ.). აქ იყვნენ „ყოველნი მთავარნი საქართველოსნი". შეთქმულებამ მონღოლთა წინააღმდეგ აჯანყება გადაწყვიტეს და „დადვეს პაემანი ქართლს შეკრებისა". შეთანხმების შემდეგ „რაჭის ერისთავი წარვიდეს კაზმად".[4] ამგვარად, ეს დიდებული შეთქმულების აქტიური მონაწილეა. მეტად მნიშვნელოვანია ჟამთააღმწერლის ცნობა, რომ საქართველოს დიდებულები „ეზრახნეს კახაბერის ძესა, რაჭის ერისთავს კახაბერს"[5] და სხვებს, რათა „ლაშას ძე დავით ყონ მეფედ". ასეთ მნიშვნელოვან საქმეში რაჭის ერისთავის მონაწილეობა, როგორც თვით ერისთავის, ისე საერისთაოს მაღალ ავტორიტეტზე მეტყველებს.


1 ჟამთააღმწერელი, ასწლოვანი მატიანე, გვ. 553.
2 იქვე, გვ. 561.
3 იქვე, გვ. 566.
4 იქვე, გვ. 586.
5 იქვე, გვ. 535.

XIII საუკუნის მეორე ნახევრიდან რაჭის ერისთავთა დამოკიდებულება იცვლება სამეფო ხელისუფლებასთან. ეს განსაკუთრებით გამოჩნდა დავით ნარინის აჯანყების (1259 წ.) შემდგომ. „ასწლოვანი მატიანე“ გადმოგვცემს, რომ რაჭის ერისთავი კახაბერი და მონღოლი მოხელე ღალღური „შეიზრახნეს ურთიერთას“. მიზანი ერთი იყო – დავით ნარინის (რუსუდანის ძის) წინააღმდეგ გამოსვლა.

ყურადსაღებია ის გარემოება, რომ როცა მონღოლთა წინააღმდეგ 1259 წლის აჯანყების შემდეგ დავით ნარინი დასავლეთ საქართველოში, ქუთაისში გადავიდა, მას სიხარულით შეეგებნენ ლიხთ-იმერელნი; მათ შორის იყო რაჭის ერისთავი: „ვითარცა ცნეს აფხაზთა, სუანთა, დადიანმან, ბედიანმან, რაჭის ერისთავმან (ხაზგასმა ჩემია – რ. მ.) და სრულიად ლიხთ-იმერელთა, შემოკრბეს სიხარულითა დიდითა და მეფე ყვეს დავით აფხაზთა ვიდრე ლიხთამდე“.[1] მონღოლებს დავით ულუც აუჯანყდა და 1261 წელს ისიც ქუთაისში გადავიდა. მას დავით ნარინი კეთილად დახვდა. გარკვეული დროის შემდეგ, დიდებულთა ხელშეწყობით, ძმები ერთმანეთს დაუპირისპირდნენ. აქ გარკვეული როლი რაჭის ერისთავმაც შეასრულა, მან დავით ულუს მხარე დაიჭირა. გავიხსენოთ, რომ დავით VII ულუ რაჭის ერისთავთა სიძე იყო: „რაჭის ერისთავთა ასული, სახელით გვანცა, ქმნულკეთილი“[2] მისი ცოლი იყო [გვანცასთან მეფეს ჰყავდა შვილი დიმიტრი (დიმიტრი თავდადებული)]. რაც შეეხება უშუალოდ გვანცა დედოფალს, იგი მონღოლებმა სიკვდილით დასაჯეს (გვანცა დედოფალი „... მოკლულ იქნა თათართა შინა მყოფი“). საქმე კიდევ ისაა, რომ გამოჩნდა საყაენოსა და ლიხთ-იმერეთს შორის გარკვეული წინააღმდეგობა. ილხანთა მოწინააღმდეგეები ლიხთ-იმერეთში პოულობდნენ თავშესაფარს. ნიშანდობლივია, რომ დავით ნარინმა

[1] ჟამთააღმწერელი, ასწლოვანი მატიანე, გვ. 575. აქვე აღნიშნულია, რომ „ ... კახაბერის ძე კახაბერი ... იყო თესლით ბოროტი“.

[2] იქვე, გვ. 582.





ისარგებლა ილხანთა ერთგვარი პოლიტიკური დასუსტებით (ეს ლიხთ-იმერეთის მეფის ინტერესებში იყო) და მისცა თავშესაფარი ჩრდილოელ უფლისწულს თეგუდარს. თეგუდარი განუდგა აბაღა ყაენს. თეგუდარი იყო ჩაღატა ყაენის (ჩინგიზ ყაენის შვილის) ნათესავი, რომელსაც „ეპყრა ქვეყანა თურანისა და დიდი თურქეთი". ყაენთან საქმის გართულების შემდეგ თეგუდარმა ქუთაისს მიაშურა, სადაც დავით ნარინმა დიდი პატივით მიიღო. ეს უკვე საყაენოს მიმართ პოზიციის რეალური გამოხატვა იყო დავით ნარინის მხრიდან. ცხადია, ყაენს ჰქონდა სურვილი დავით ნარინის დასჯისა. ბუნებრივია, რაჭის ერისთავის ნაბიჯი ეამა საყაენოს თავკაცს. ამგვარი ქმედება მის ინტერესებშიც იყო. კახაბერ კახაბერისძე[1] და ღალღური წავიდნენ ყაენთან. ყაენმა მოიწონა მათი ნაბიჯი, მიიწვია სირმონ ნოინი და უთხრა: „მეფე დავით (დავით ნარინი – რ. მ.) ესეოდენთა განდგომილებათა იქმს, რამეთუ მისსა არა კმა ყოფს, და ყოველთა განდგომილთა ჩუენთა თანა-შეეწევის ... აწ მნებავს, რათა შური ვიგოთ მის ზედა".[2] როგორც კი გაიგო კახაბერ კახაბერისძემ ყაენის სიტყვები, წარდგა მის წინაშე და თქვა: „უკეთუ ნებავს ყაენს შურისგებად დავით მეფესა ზედა, მე (კახაბერ კახაბერისძე – რ. მ.) მისთვის მოვსულვარ, ვიცი გზანი შესავალნი, და წარვასხამ ლაშქართა, და ვგონებ, რომელ მეფე ხელთ-ვიგდო".[3]

ყაენისთვის ეს სიტყვები სასიამოვნო მოსასმენი იყო და უბრძანა სირმონ ნოინს, ასევე სარდლებს ალინაყს, თიჩოს და აბჩის, „რთა ილაშქრონ დავით მეფესა ზედა". შეკრიბეს ოცდაათი ათასი („სამი ბევრი") მოლაშქრე, გაიარეს თრიალეთი, გადავლეს ლიხის მთა და ქუთაისში მყოფ დავით ნარინს დაესხნენ თავს. მეფე ამ დროს აბანოში ყოფილა და მოუხერხებია გაქცევა („და ძლით შეესწრა ცხენსა, ერთითა კაბი-

[1] უამთააღმწერელი, ასწლოვანი მატიანე, გვ. 608-609.
[2] იქვე, გვ. 609.
[3] იქვე.

თა მარტო ივლტოდა").[1] მომხდურებს მოუოხრებიათ ეკლესიები, ბევრი ქრისტიანი მოუკლავთ, ტყვეებიც ბევრი წაუყვანიათ და თავად უვნებლად დაბრუნებულან ყაენთან. დავით ნარინი, „საკვირველებით დაცული ღმრთისა მიერ", ვერ ჩაება ბრძოლაში, რადგან სწრაფად გაბრუნდნენ უკან „თათარნი". გარკვეული დროის შემდეგ ყაენმა იმავე პირების საშუალებით მოინდომა ლიხთ-იმერეთის მეფის ხელში ჩაგდება, მაგრამ ვერ მოახერხა. სამი წლის შემდეგ აბაღა ყაენის ბრძანებით კვლავ გამოემართნენ საქართველოსკენ. მათთან ერთად არის რაჭის ერისთავი კახაბერ კახაბერისძე. დავით ნარინმა კვლავ მოახერხა თავის გარიდება. მტერმა ქვეყანა მოაოხრა. დავით ნარინმა შეკრიბა ლაშქარი და მონღოლებთან შესაბრძოლებლად მოემზადა. როგორც კი შეატყო მტერმა „ზედმოსვლა მეფისა", სწრაფად გაიქცნენ „ტყვითა და ალაფითა".[2]

ფაქტია, რომ მონღოლებმა, მიუხედავად დიდი მცდელობისა, დავით ნარინი ვერ ჩაიგდეს ხელთ და უკან გაბრუნდნენ. რაჭის ერისთავს თავის სამფლობელოში აღარ დაედგომებოდა და მონღოლებს გაჰყვა აღმოსავლეთ საქართველოში.

ამგვარად, დასავლეთი საქართველო დავით VI ნარინისა და დავით VII ულუს შორის დაპირისპირებისა და მონღოლთა გარიდების შემდეგ სრულიად დამოუკიდებელ პოლიტიკურ ერთეულად იქცა, რომელიც არ ცნობდა მონღოლთა ბატონობას („ამ ჟამთა მოიწყო ნარინ-დავით იმერეთი"[3]). დავით ნარინისგან შერისხული კახაბერ კახაბერისძე ლტოლვილობაში თავშეფარებული იყო სოფ. ატენს. იგი ყოველგვარი პატივისაგან განძარცვული იყო („არა რისაცავე პატივისა მქონებელი ყაენისა და მეფისაგან"). არც მონღოლებს სჭირდებოდა იგი (ასეთია მოღალატის ბედი). „ასწლოვანი მატიანე" გადმოგვცემს, რომ

[1] ჟამთააღმწერელი, ასწლოვანი მატიანე, გვ. 609; იხ აგრეთვე, ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან, გვ. 601.

[2] იქვე.

[3] ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა..., გვ. 229.

შევიწროებული და დამწუხრებული კახაბერი შეეევედრა დავით VI ნარინს, ეპატიებინა ორგულობა და შეეწყალებინა („ევედრა მეფესა, რათა შეიწყალოს და უბოძოს მამული მისი"). გარკვეული დროის შემდეგ დავით VI ნარინმა გამოიჩინა გულმოწყალება და შეუნდო ცოდვები მოღალატე კახაბერ კახაბერისძეს და ძველ პატივში აღადგინა – დაუბრუნა რაჭა და ერისთავობა. ვერ შეიფერა ეს პატივი რაჭის ერისთავმა და მცირე დროის შემდეგ საღალატოდ გადაიხარა („მიექცა კვალად წუმპესა"). მან წერილი მისწერა მონღოლ ალიყანს, მოდი და მეფეს ადვილად ჩავიგდებთ ხელთაო. თავად იღებდა ვალდებულებას – „ადვილად ხელთ უგდოს მეფე დავით". ეს ამბავი შეიტყო მეფემ, შეიპყრო კახაბერი და უმკაცრესად დასაჯა – თვალები ამოშანთა და „მერმე მოჰკვეთნა ხელნი და ფერხნი".[1] კახაბერის ორი შვილი გააძევა საქართველოდან. კახაბერ კახაბერისძე ტანჯვით მოკვდა და „აღიხოცა სახსენებელი მისი". დავით VI ნარინმა გააუქმა რაჭის საერისთაო (1278 წ.) და სახასო მამულად აქცია. კახაბერისძეები, როგორც ჩანს, ამოწყდნენ.

ასე დასრულდა რაჭის საერისთავოს ისტორიის პირველი პერიოდი.

რაჭის საერისთავოს ცენტრი დაბა წესი იყო. ვახუშტი ბაგრატიონი საგანგებოდ აღნიშნავს: „არს წესი, დაბა კარგი".[2] გადმოცემით აქ ვერცხლის საბადო იყო. აქვე იყო რაჭის ერისთავთა ძირითადი ციხე-სიმაგრე – მინდას ციხე: „მაღალ კლდის გორასა ზედა და რიონის ჩრდილოთ არს ციხე მინდა, მაღალი და აუღებელი მტრისაგან".[3] მეცნიერი ბატონიშვილი ხაზს უსვამს, რომ ეს ციხე უპყრია რაჭის ერისთავს. ციხის ქვემოთ კოშკი იდგა მდ. ლუხუნის ნაპირას „მცველად წყლისათვის". წესში რაჭის ერისთავმა რატი ლიპარი-

[1] ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა..., გვ. 229-230. ჟამთააღმწერლის მიხედვით „შეიპყრა მეფემან და პირველ თვალი დასწუა და მერე ერთი ხელი და ორივე ფეხი მოჰკვეთა"..

[2] იქვე, გვ. 765.

[3] იქვე, გვ. 765-766.

ტის ძემ კარის ეკლესია ააგო.[1] აქ შვიდი საუკუნის მანძილზე არ შეწყვეტილა წირვა-ლოცვა. 1753 წელს რაჭის ერისთავის როსტომის დიდი მოწადინებით წესში აიგო ღვთისმშობლის სახელობის (კარის ეკლესიაც ღვთისმშობლის სახელობისა იყო) ტაძარი – ბარაკონი. იგი ძველი ქართული გუმბათოვანი ხუროთმოძღვრების ერთ-ერთი უკანასკნელი მნიშვნელოვანი ძეგლია. ააგო ოსტატმა ავთანდილ შულავრელმა. მისი სახელი მოხსენებულია ტაძრის აღმოსავლეთი ფასადის წარწერაში: „ამისი ოსტატი შულავრელი ავთანდილ; ვინც ნახოთ, შენდობა ბრძანეთ". დასავლეთის კარის თავზე წარწერაა: „ქ. მჩხრეკელი ქვისა კ˜ზი (კათალიკოზი – რ. მ.) ბესარიონ ძმა ერისთავისა ქ˜ს 1753".[2] მეტად საინტერესო წარწერაა სამხრეთის კარის თავზე, მხედრულად: „ქ. :ძალთა:. ერისთავთა:. ღთ˜სა:. დედასა:. მიწისათა: ... ავედრეთ:. ქერაბინთა:. უმაღლესო:. ქრისტეს:. საყდარო:. საყდრისა:. ამის:. აღმაშენებელი:. ერისთავი:. როსტომ: ..."[3] მინიშნებულია, რომ რაჭის ერისთავი როსტომი აქ არის დაკრძალული. თვით ეკლესიაში, კანკელის წინ, იატაკზე არის მოჩუქურთმებული საფლავის ქვა, რომელზეც მხედრული წარწერაა: „წელსა ჩღჲსა (1766 წ.) ლოდსა ამას ქვეშე მდებარე არს ეკლესიისა ამის აღმაშენებელი რაჭის ერისთავი (და სხვათა? – რ. მ.). როსტომი ნეტარად განსასვენებლად, საუკუნოდ იყოს ხსენება მისი. ამინ".[4] ეკლესიაშივე ჩრდილო სვეტის დასავლეთით, იატაკზე არის სხვა საფლავის ქვა, რომელზეც ჯვარია გამოსახული და არის მხატვრული წარწერა: „ქ. საფლავსა: ამას შინა მდებარე თავადის მიქელაძის ასული მარიამ მემცხედრე რაჭის ერისთავის ანტონის. ვიყავ განცხრომასა და სიხარულში ქმრით და თავით და სამის ჩემის სასურველის ძით და ვიყავ ვიდრე აქამდე: მგ: წელი მივეფარე საწუთოსა, ამას

[1] თ. ბერაძე, რაჭა, გვ. 78.

[2] გ. ბოჭორიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 171; შდრ. ე. თაყაიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 109.

[3] ე. თაყაიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 110.

[4] იქვე, გვ. 111. შდრ., გ. ბოჭორიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 174.

მიწადვე საწყალობელად და ვინცა ინებოთ აღმოკითხვა შენდობა მიბრძანეთ და თქვენცა შეგინდოს ღმერთმან ამინ ჩყკვ: წელსა: ნოემბრის კა".[1]

ბარაკონში ბევრი საინტერესო და მნიშვნელოვანი სიძველეა (ჯვრები, ხატები, ბარძიმ-ფეშხუმები, სხვადასხვა ტიპის წერილობითი ძეგლები). ჩვენ ყველა მათგანზე არ შევჩერდებით. აღვნიშნავთ, რომ ბარაკონის ძველი ეკლესიის (რატი კახაბერისძის აგებული) ნანგრევები გუმბათოვანი ეკლესიის (1753 წ. აგებული) ჩრდილო-აღმოსავლეთითაა. ეს ერთნავიანი შენობა იყო. თავის დროზე ამ ნაგებობით დაინტერესებულა გრაფინია პ. უვაროვა (ვარაუდობენ, რომ მისი დავალებით, კანკელის ორნამენტიანი თაბაშირის ფიქლები ძალადობით წაუღიათ).

ეკლესიის სამხრეთ-დასავლეთით ე. წ. ზუბაშვილების სამარხია. სავარაუდოა, რომ აქ დამარხულნი არიან ცნობილი მესტამბეები, მამა-შვილი – რომანოზ და დავით ზუბაშვილები. ნიშანდობლივია, რომ წესში მათი შთამომავლები ცხოვრობდნენ. წესის მცხოვრებმა ანეტა ზუბაშვილმა სხვადასხვა სიძველე შესწირა სახელმწიფოს, რომელთა ერთი ნაწილი საქართველოს ცენტრალურ არქივში ინახება. აქედან გამორჩეულია მესტამბე რომანოზ ზუბაშვილისაგან გაიოზისადმი 1796 წელს მიწერილი წერილი. ეს დოკუმენტი საქართველოს ისტორიის სხვადასხვა საკითხს (მათ შორის სტამბის დაარსების ისტორიას) ფენს ნათელს. უპირველესად უნდა ითქვას, რომ წერილი ვრცელია და აშკარად განათლებული კაცის დაწერილია. იგი დაბეჭდილია ქ. მოზდოკში რომანოზ ზუბაშვილის ახლად გამართულ სტამბაში. ვინ არის რომანოზ ზუბაშვილის მიერ მოხსენიებული გაიოზი? წერილის ავტორი მას მოიხსენიებს „ყოვლად უსამღვდელოესად" და „ყოვლად უსამღვდელოეს მეუფედ". ერთგან ასეთი მიმართვაცაა: „ყოვლად უსამღვდელოესო არქიერო გაიოზ, მწყემსო კეთილო და უფალო მწყემსთაო". ძნელი დასადგენი არ არის, რომ წერილის ადრესატი გაიოზ რექტორია (1746-1821

[1] გ. ბოჭორიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 175.



წწ.) – ქართველი მეცნიერი, ლიტერატორი, მთარგმნელი, პედაგოგი და დიპლომატი. მკვლევართა აზრით იგი გვარად ბარათაშვილი იყო. მისი მასწავლებლები იყვნენ ანტონ I და ფილოსოფოსი გ. ყაითმაზაშვილი. მონაწილეობდა ლევან ბატონიშვილისა და ანტონ I-ის დიპლომატიურ მისიაში რუსეთში (1772 წ.). 1780-1782 წლებში გარკვეული დავალებით (დიპლომატიური ხასიათისა) იმყოფებოდა მოსკოვში. 1782 წელს მისი ინიციატივით გაიხსნა თელავის სასულიერო სემინარია, რომლის რექტორიც თავად იყო (აქედან – გაიოზ რექტორი). 1793-1799 წლებში იყო ქ. მოზდოკის ეპისკოპოსი.[1] სწორედ ამ დროს მიუწვევია მას რომანოზ ზუბაშვილი და სტამბის გამართვა დაუვალებია. წერილი გაიოზ რექტორის მოზდოკში არყოფნისას არის დაბეჭდილი. თვით რომანოზ ზუბაშვილს დიდი ამაგი აქვს ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორიაში. იგი უპირატესად მოღვაწეობდა თბილისში. წერილიდან აშკარად ჩანს, რომ რომანოზ ზუბაშვილმა თბილისი დატოვა აღა-მაჰმად ხანის მიერ თბილისის აოხრების (1795 წ.) შემდეგ. ამავე დროს განადგურდა მისი სტამბაც. არ არის შემთხვევითი, რომ რომანოზ ზუბაშვილი სამდურავს ამბობს „სოფლის სიმუხთლის“ გამო: „მწყემსო კეთილო, წარწყმედულთა ცხოართა: აჰა მგელთაგან მე ცთომილი უხმარი მონა, რომელი გახლდი მათის უმაღლესობის საქართველოს მეფის ირაკლის ერთი უკანასკნელი და ყოველთა უნარჩევესი მოსამსახურე მუხთალმან სოფელმა და უპირომან გარდმომაგდო და დამაბნივა ვითარცა ცხოვარი და განმაშორა მწყალობელსა ბატონსა, მეგობართა და თვისთა, გამომტყორცა ვითარცა მშვილდმან ისარი მსწრაფლ დაუყოვნებლად ამ უცხოობასა შინა განმაგდო ყოვლის ნივთისა და საზდოსაგან ცარიელ

[1] გაიოზი 1799-1808 წწ-ში სარატოვისა და პენზის ეპარქიის ეპისკოპოსია. 1808 წლიდან გარდაცვალებამდე ასტრახანის მთავარეპისკოპოსი იყო. დაკრძალულია ასტრახანში. დასმულია საკითხი მისი ნეშტის თელავში გადმოსვენების შესახებ. იხ. აგრეთვე, მ. დარჩია, გაიოზ რექტორი, თბ., 1972.

ქმნილი". წერილის ავტორი აუწყებს გაიოზ რექტორს, რომ სტამბის გამართვა მარტომ მოახერხა. მიუხედავად მისი „დაუწყნარებელი ცხოვრებისა", „სიღარიბესა და უცხოობასა შინა" მყოფმა საქმე კარგად დაასრულა. ფაქტობრივად ესაა მოზდოკში ქართული სტამბის დაარსების ისტორია. წერილს დიდი მნიშვნელობა აქვს ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორიისათვის. როგორც ჩანს, გაიოზ რექტორის „ღრამმატიკა" სწორედ მოზდოკის სტამბაში დაიბეჭდა.[1]

რომანოზ ზუბაშვილი გარკვეული დროის შემდეგ კვლავ საქართველოში ბრუნდება. 1803 წელს იმერეთის მეფის, სოლომონ II-ის (1789-1810 წწ.) მონვევით გადმოდის ქ. ქუთაისში, სადაც მართავს სტამბას და ბეჭდავს წიგნებს. 1810 წელს ქუთაისიდან გადადის დაბა წესში (უნდა ვივარაუდოთ, რომ რაჭის ერისთავის მიწვევით) და განაგრძობს წიგნების ბეჭდვას. 1811 წელს რომანოზ ზუბაშვილი გარდაიცვალა და წესში დაიკრძალა. მისი შთამომავლობა კარგა ხანს აქ ცხოვრობდა.

ბარაკონის ეკლესიის მნიშვნელოვან სიძველეთა შორის გამოირჩევა გულანი, რომელიც შოშიტა რაჭის ერისთავის „სულის საოხადაა" შექმნილი. გულანი დაწერილია მღვდლის, დავით ტაბუყაძის (ტაბუცაძის? – რ. მ.) ხელით. მწერალი შენდობას სთხოვს ღმერთს. რაჭის ერისთავის, შოშიტას ბრძანებით „იქმნა ესე სულთა განმანათლებელი „ პარაკლიტონი[2] ხელთა ფრიად ცოდვილისა სვიმონ კილერიძისათა".[3] თავად ერისთავი კი აცხადებს: მე, ფრიად ცოდვილი ერისთავი შოშიტა, რომელმან ვიგულე და ვიგულსმოდგინე აღწერად წმიდა ესე და სულთა განმანათლებელი წიგნი გულანი სახსრად და საოხად სულისა ჩემისთვის და ძეთა ჩემთა წარსამართებლად". გულანი მოიხსენიებს რაჭის ერისთავს, როსტომს და მის

[1] გ. ბოჭორიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 181.

[2] პარაკლიტონი (ნუგეშინისმცემელი) რვა ხმათა წიგნი, რვა ხმაზე გაწყობილი სადაგი დღეების (ორშაბათი-პარასკევი) საგალობელთა კრებული.

[3] ე. თაყაიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 112.

შვილს გიორგის. როგორც ჩანს, გულანი შექმნილია (დანერილია) 1790 წლის 3 მარტს.

ჩვენ განსაკუთრებულად შევჩერდით დაბა წესსა და მის სიძველეებზე, რადგან, როგორც ითქვა, ეს გეოგრაფიული პუნქტი რაჭის საერისთავოს ცენტრი იყო.

* * *

მას შემდეგ, რაც დავით ნარინმა გააუქმა რაჭის საერისთავო, ეს მხარე უშუალოდ იმერეთის მეფეთა გამგებლობაში გადავიდა. 1292 წელს გარდაიცვალა დავით ნარინი და იმერეთის ტახტი მისმა უფროსმა შვილმა კონსტანტინემ (1293-1327 წწ.) დაიკავა. მას მომდევნო ძმა მიქელი აუჯანყდა. ამ უკანასკნელმა რაჭა და არგვეთი დაიპყრო. რაჭას სტრატეგიულად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და იმერეთისა და მისი მეფისათვის ეს დიდი დანაკარგი იყო. „ასწლოვანი მატიანე" ხაზს უსვამს, რომ კონსტანტინემ მეფობა კანონიერად მიიღო „პირმშოობისა ძალით". მიქელი კი მის გამეფებას „წინ აღუდგა". ძმებს შორის შერიგება ვერ მოხერხდა, რის გამოც „იშლებოდა სამეფო". მშვიდობა ვერ დამყარდა, ვიდრე არ გარდავიდენ ამ ქვეყნიდან.

საქართველოს პოლიტიკური (შესაბამისად ეკონომიკური) მდგომარეობა კარდინალურად შეიცვალა მას შემდეგ, რაც ქვეყნის სამეფო ტახტზე გიორგი V ბრწყინვალე (1314-1346 წწ.) დაამტკიცეს. ეკონომიკურად დაქვეითებული, პოლიტიკურად განადგურებული საქართველო მოღონიერდა. მთავარი ისაა, რომ ქვეყანა მონღოლთა ბატონობისაგან გათავისუფლდა. გიორგი V ბრწყინვალემ ალაგმა ცენტრიდანული ძალები და პრაქტიკულად საქართველო გააერთიანა. თვითონ იგი სრულიად საქართველოს მეფე იყო. 1329 წელს იმერეთის მეფის, მიქელის (იგი 1327 წელს გამეფდა) გარდაცვალების შემდეგ გიორგი V ქუთაისში გადავიდა და დაიკავა იგი. მიქელის მცირეწლოვან შვილს ბაგრატს შორაპნის ერისთავობა უბოძა. 1334 წელს სამცხეში ჩავიდა და თვით დასვა მთავრად

გარდაცვლილი სარგისის შვილი ყვარყვარე, რითაც თავის მაღალ უფლებებს და უპირატესობას გაუსვა ხაზი. ამგვარად, დასავლეთი და აღმოსავლეთი საქართველო გაერთიანდა და ბოლო მოეღო ორმეფობას. გიორგი V ბრწყინვალემ ბევრი საინტერესო და ქვეყნისათვის მნიშვნელოვანი ღონისძიება გაატარა. ვვარაუდობთ, რომ ამ დროს უნდა მომხდარიყო დავით ნარინის მიერ გაუქმებული რაჭის საერისთავოს აღდგენა.[1] რაჭის საერისთავო ერთიანი საქართველოს შემადგენლობაში შევიდა. აღდგენილი საერისთავოს თავკაცებად გარკვეული პერიოდის მანძილზე **ჭარელიძეები** იყვნენ.

XI-XIII საუკუნეებში რაჭის საერისთავოს ჩრდილოეთით სვანეთი ესაზღვრებოდა (ამ ორ მხარეს ლეჩხუმის ქედი ყოფდა), ასევე ესაზღვრებოდა კავკასიონის მთავარი ქედი (მდ. ჭანჭახის სათავემდე). სამხრეთით რაჭის ქედი ზღუდავდა. დასავლეთით ესაზღვრებოდა თაკვერი, რომლისგანაც მას გუელისთავის ქედი (ლაბეჭინას სერი) გამოყოფდა; ასევე რიონის ხეობა (სოფ. ალპანის სამხრეთით). მდ. ჯეჯორის აუზში საზღვარი დაღვერილას ქედამდე გადიოდა. ამ ქედის ჩრდილოეთით იყო კუდარო, რომელიც რაჭის საერისთავოში შედიოდა. კუდარო (იგივე ჩასავალი) თავდაპირველად ქართველებით იყო დასახლებული. XVI-XVII სს-ში აქ ოსები ჩასახლდნენ. ვახუშტი ბაგრატიონი, როცა ოსების ჩამოსახლებას ეხება, აღნიშნავს: „პირველად სახლებულან ქართველნი გლეხნი, შემდგომად ... გარდმოსახლებულან ოვსნი და ქართველნი ბართა შინა ჩამოსულან, ვინაითგან მტერთაგან ბარსა შიგან კაცნი შემცირებულან“. ეს მხარე, როგორც აღვნიშნეთ, რაჭის ერისთავს ემორჩილებოდა და მათზე ბატონობას რამდენადმე ჯაფარიძეთა საგვარეულო ახორციელებდა. კუდარო რაჭის შემადგენლობაში 1810 წლამდე (რუსეთთან შეერთებამდე) დარჩა.

[1] გამოითქვა მოსაზრება, რომ რაჭის საერისთავო აღდგა XIV საუკუნის ბოლოს (თ. ბერაძე, რაჭა, გვ. 81).



კვარას ციხე

რაჭის ერისთავთა რეზიდენცია ერთხანს (ჭარელიძეების ზეობის დროს) სოფ. სორი იყო მინდა ციხით, ბანამდე და შემდეგ დაბა წესი იყო ბარაკონით, მთავარი ციხესიმაგრე იყო კვარას ციხე. იგი მდებარეობდა მდ. კრიხულას მარჯვენა ნაპირზე, სოფ. ზემო სხვავასთან. ითვლებოდა სამეფო სამფლობელოდ (განსაკუთრებით გვიანდელ ფეოდალურ ხანაში). ალექსანდრე I-ის (1412-1442 წწ.) 1432 წლის სიგელი ადასტურებს, რომ იგი და მისი შვილი ვახტანგი (ზეობაში ვახტანგ IV, 1443-1446 წწ.) რაჭას

ფლობენ.[1] ვახუშტი ბაგრატიონი აღნიშნავს: „სხოვის სამხრით და კრიხის პირისპირ, აღმოსავლეთ კიდურის მაღალს კლდიანს გორასა ზედა არს ციხე კუარასი მტკიცე".[2] კვარას ციხე XVI ს-ის 90-იან წლებში დაიპყრო ქართლის მეფე სიმონ I-მა (1556-1569 წწ.,1578-1600 წწ.): „... დაიპყრა სიმონ კუალად იმერეთი და აღიღო ქუთაისი... შთასრულმან იმერეთს, აღიხუნა ციხენი: სვერი, სკანდა, კაცხი, კუარა."[3] XVIII საუკუნის დასაწყისში ციხეს იაშვილთა საგვარეულო აკონტროლებდა. 1769 წლიდან (სოლომონ I-ის იმერეთის მეფედ ზეობის პერიოდი) კვლავ სამეფოს ექვემდებარებოდა. კვარას ციხეს ერთხანს თავს აფარებდა იმერეთის მეფის, დავით გიორგის ძის (დავით II, 1784-1789 წწ., 1789 წ.) მოწინააღმდეგე ბატონიშვილი, სოლომონ I-ის ძმისწული დავით არჩილის ძე (ზეობაში სოლომონ II). მნიშვნელოვანია, რომ 1802 წელს კვარას ციხეში თავი მოჰკვეთეს ახალციხის ფაშას საბუდს. კვარას ციხე იმერეთის მეფესთან ერთად წინააღმდეგობას უწევდა რუსეთთან შეერთებას, მაგრამ რუსულ ჯარს ვერ გაუმკლავდნენ და დანებდნენ. 1810 წელს იმერეთის სამეფო გაუქმდა, კვარას ციხემ კი დაკარგა მნიშვნელობა.

ჭარელიძეები რაჭის ერისთავის პატივში, როგორც ჩანს, არც ისე დიდხანს იყვნენ. მათ შესახებ მასალაც მცირეა. 1432 წელს რაჭის ერისთავად ციცი ჭარელიძე იხსენიება. პროფ. ო. სოსელიას ამ პატივის მატარებლად მიაჩნია აბღაჭელიძე გიორგი, რომელიც 1486-88 წლებში ერთ-ერთ სასიხლო სიგელში მოიხსენიება (იხ. მისი, ნარკვევები..., I, გვ. 68-120). სოფ. სორის ეკლესიის ფრესკაზე (ჩრდილოეთით) გამოსახულია ქველი ჭარელიძე – ერისთავი, რომელიც ამ ეკლესიის მაშენებელი და მომხატველია. გ. ბოჭორიძე მიიჩნევს, რომ ძეგლი და მოხატულობა XV-XVI საუ-

[1] სარგის კაკაბაძე, სვანები XV საუკუნეში, წერილები და მასალები საქართველოს ისტორიისათვის, წ. I, თბ., 1914, გვ. 126-132.

[2] ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა..., გვ. 764.

[3] იქვე, გვ. 416.

კუნეებს განეკუთვნება (ძეგლი განახლებულია XVIII საუკუნეში შოშიტა რაჭის ერისთავის მიერ).[1] ქველი ჭარელიძე ჩრდილოეთ კედელზე გამოსახულია მუხლმოდრეკილი, მავედრებლის პოზაში. წარწერა ასეთია: „წმიდაო გიორგი მრავალძლისაო მეოხ და მფარველ ექმენ... ჭარელისძესა ქველსა".[2]

სორის ეკლესიაშივეა მაცხოვრის დიდი კარედი ხატი, რომელზეც არის წარწერა: „ჯვარცმისა ხატო მეოხ და მფარველ ექმენ: მირიანს (?) (მეოხ) ექმენ იაკუმ ოსტატსა მისა მეუღლეს (?)."[3] მაცხოვრის მომცრო ხატზე (კარედი) წარწერაა: „ქრისტე (რომელმან) მოსდრიკენ ცანი ვითარ კამარანი, ჩვენ და გადმოხედ ძიებად შეცდომილთა, ჩვენცა შეგვძინე ცხოვარნი წ(მიდანი) მადლნი, მირიანს და ნათელითურთ ჩვენით, არსთა არს მქნელო ჯვარცმისა ხატო". სორის ჯვარცმის ეკლესიის ერთ-ერთ დაზიანებულ წარწერაში გ. ბოჭორიძემ წაიკითხა ორი სახელი: გიორგი და იოვანე.[4] ამასთან, მეცნიერი გვამცნობს, რომ ონისიმე მინდელის გადმოცემით, ეკლესიის მოდელით გამოსახული ქტიტორის წარწერა იყო „არჩილ ჭარელისძე".[5] გამოთქმულია მოსაზრება,[6] რომ სამხრეთი კედლის სამი დიდებულის გამოსახულების წარწერაში იკითხება სახელი ლომინ (ლომკაც). ნიშანდობლივია, რომ ეს სახელი გავრცელებული იყო ჭარელიძეთა გვარში. მეტად საინტერესო წარწერაა ჯვარცმის ხატზეც: „ქრისტე, რომელი ჩვენთვის ჯვარს ეცვი. ქრისტე ღმერთო, ჩვენო მეოხ მეყავ ჭარელის ძესა მირიანს და ცოლსა ჩემსა."[5] როგორც ჩანს, მირიან და ქველი ჭარელიძეები რაჭის ერისთავები არიან. შემორჩენილია ფრიად მნიშვნელოვა-

1 გ. ბოჭორიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 54.
2 ე. თაყაიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 25.
3 იქვე, გვ. 28.
4 გ. ბოჭორიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 218.
5 იქვე.
6 იხ. სორის ეკლესიის შესახებ საინტერესო გამოკვლევები: ი. ჭიჭინაძე, სორის მოხატულობა, თბ., 1955; ზ. სხირტლაძე, სორის ეკლესია, თბ., 2009.

ნი საბუთი – რაჭის ერისთავის, მირიან ჭარელიძის წყალობის სიგელი შერმაზანებლიშვილებისადმი. ამ უკანასკნელთ დიდი დამსახურება ჰქონდათ ერისთავის მიმართ. როცა შაორთან მირიან ჭარელიძეს თავს დასხმია გიორგი კახაბერისძე, გიორგი და აღსართან შერმაზანიშვილებს დაუცავთ იგი. ნიკორწმინდის ეკლესიას თავშეფარებული კახაბერისძე ტყვედ ჩაუგდია მირიან ჭარელიძეს. ერისთავმა შერმაზანაშვილებს მადლობის ნიშნად ათი კომლი გლეხი უბოძა. საინტერესოა, თუ ვინ არის გიორგი კახაბერისძე. გამოთქმულია ვარაუდი, რომ ის რაჭის ერისთავთა შთამომავალი უნდა იყოს.[1] ვფიქრობთ, რომ ეს შემდგომი კვლევის საკითხია. კახაბერ კახაბერიძის შვილები, როგორც ზემოთ აღინიშნა, დავით ნარინის მიერ განდევნილ იყვნენ საქართველოდან. და, სავარაუდოა, ისინი უცხოობაში გარდაიცვალნენ. ჟამთააღმწერელი საგანგებოდ აღნიშნავს, რომ „მოისპო ყოველი ნათესავი მისი, ბაღუაშთა კახაბერისძეთა, არა დაშთა და აღიხოცა ნათესავი მისი და სახსენებელი მათი".[2] ცხადია, წყაროები სათანადო შეჯერებას და შემდეგ შესაბამისი დასკვნის გამოტანას მოითხოვს.

XIV საუკუნის 80-იან წლებში საქართველომ ახალი მძიმე დარტყმა განიცადა. ეს იყო გათურქებულ მონღოლთა ბარლასის ტომის წარმომადგენელი თემურ-ლენგი, რომელიც 1386-1403 წლებში რვაჯერ შემოესია საქართველოს და ქვეყანა უმძიმეს დღეში ჩააყენა. საქართველოს მეფის ალექსანდრე I დიდის (1412-1442 წწ.) მეფობაში მცირე ხნით მშვიდობა ჩამოვარდა ქვეყანაში. დანგრეული ქვეყანა აღდგენის გზას დაადგა. 1431 წელს შემოერთებულ იქნა ლორე და მისი ველი, რომელიც თემურის შემოსევების დროს დაიკარგა. 1434-1435 წწ-ში მეფემ შემოიერთა სივნიეთის (ყარაბახის) ოლქი. მოსახლეობა მრავლდებოდა. 1453 წელს ოსმალებმა ბოლო მოუღეს ბიზანტიის იმპერიას. საქართველო მოსწყდა საერთაშო-

[1] თ. ბერაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 81.

[2] ჟამთააღმწერელი, ასწლოვანი მატიანე, გვ. 614.

სორის მონასტერი. ჯვარცმის სახელობის ტაძრის მოხატულობა (XII ს.), გადმოცემის მიხედვით, შესრულებულია საპყარ ერისთავის ჭარელისძის ქველის მიერ. ▸

რისო სავაჭრო გზებს. ამას მოჰყვა შინააშლილობა. ქართლში იმერეთის მეფის, ბაგრატ VI-ის (იმერეთში ბაგრატ II) გარდაცვალების შემდეგ, 1478 წელს ატყდა ბრძოლა ტახტისათვის ალექსანდრე ბაგრატისძესა და ალექსანდრე I-ის შვილიშვილს კონსტანტინეს შორის. მეფობა ხელთ იგდო კონსტანტინემ, ალექსანდრემ კი თავი რაჭას შეაფარა. როცა ყვარყვარე ათაბაგმა 1483 წელს არადეთთან ბრძოლაში კონსტანტინე დაამარცხა, ამით ისარგებლა რაჭაში მყოფმა ალექსანდრემ და იმერეთს დაეუფლა. ამგვარად, XV საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოს ერთიანი სახელმწიფო უცხოელთა შემოსევებისა და ეკონომიკური დაქვეითების გამო პოლიტიკურად დაიშალა ქართლის, კახეთის და იმერეთის სამეფოებად და სამცხე-საათაბაგოს სამთავროდ. 1490 წელს სახელმწიფო დარბაზმა იურიდიულად დაადასტურა საქართველოს სახელმწიფოს დაშლა სამეფო-სამთავროებად.

რაჭა, როგორც ადრე, ამჯერადაც იმერეთის სამეფოს შემადგენლობაში დარჩა.

ვახუშტი ბაგრატიონი გადმოგვცემს, რომ იმერეთის მეფე ბაგრატ III-მ (1501-1565 წწ.) „დასუა ერისთავად რაჭას ჩხეიძე შოშიტა და მისცა რომელნიმე სახასო დაბანი და ციხე მინდა (ხაზგასმა ჩემია – რ. მ.)".[1] ვახუშტის არასწორად მიაჩნია, რომ „აქამომდე იყო რაჭა სამეფოდ და კუალად ჰყო საერისთაოდ". ზემოთ ჩვენ ვნახეთ, რომ რაჭა XIV საუკუნეში აღდგენილია საერისთავოდ და მისი ერისთავები ჭარელიძის საგვარეულოს წარმომადგენლები არიან. ამასთან, ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩხეტიძეების გვარიდან რაჭის პირველი ერისთავი ივანე ჩხეტიძე იყო (1488 წ.), შემდეგ კახაბერ ჩხეტიძე – 1497-1503 წწ., 1504-1533 წლებში კი ბედან ჩხეტიძე იყო. რაც შეეხება შოშიტა ჩხეიძეს, იგი ერისთავად 1534-1565 წლებში ჩანს.

ამგვარად, XVI საუკუნის 30-იანი წლებიდან რაჭის საერისთავოს სათავეში ჩხეიძეები (ჩხეტისძეები)

[1] ვახუშტი ბაგრატიონი, დასახ. ნაშრ., გვ. 811.





მაცხოვრის ფრესკა. სორის მონასტერი. ჯვარცმის სახელობის ტაძრის მოხატულობა (XII ს.), გადმოცემის მიხედვით, შესრულებულია საპყარ ერისთავის ჭარელისძის ქველის მიერ.

არიან. ვახუშტი ბაგრატიონი, როცა იმერეთის საგვარეულოებს ახასიათებს, საგანგებოდ გამოყოფს ჩხეიძის გვარს და აღნიშნავს: „ჩხეიძის გვარი არის აწინდელი რაჭის ერისთავი და სპასპეტი რაჭისა“[1], ხაზს უსვამს, რომ „მთავრობით პატივცემულნი მეფეთაგან“ არიან. აქვე ჩამოთვლის რაჭის დაწინაურებულ გვარებსაც: წულუკიძე, იაშვილი, ჯაფარიძე, ლაშხიშვილი.[2] ვახუშტი ბაგრატიონი თავის თხზულებაში, სადაც ეგრისის სამეფოს აგვიწერს, ამბობს: „ბაგრატ იმერთა მეფემან მისცა ჩხეიძეს ერისთაობა, და აწცა არიან იგინი ერისთავად რაჭას, და არის მესამე

[1] ვახუშტი ბაგრატიონი, დასახ. ნაშრ., გვ. 36.
[2] იქვე.

სადროშო".[1] აქ დამატებითი ცნობაა რაჭის მესამე სადროშოდ გამწესების შესახებ. ვახუშტი ცალკე წარმოადგენს საჩხეიძეოს: „ხოლო არგვეთს სამხრით არის საჩხეიძეო, პირველად არგუეთადვე წოდებული, მერმე ფერსათის კერძოდ. შემდგომად პყრობითა ჩხეიძეთაგან საჩხეიძეოდ ისახელა".[2] საჩხეიძეო (ადრე არგვეთი) პირველ სადროშოს წარმოადგენდა.[3]

XVI საუკუნეში რაჭის საერისთავო საკმაოდ ვრცელ ტერიტორიაზე იყო გადაჭიმული. მის შემადგენლობაში შედიოდა მდ. რიონის სათავეები და ამ მდინარის აუზში მყოფი სოფლები. მას ესაზღვრებოდა ლეჩხუმი (ტერმინი „თაკვერი" იშვიათად ან საერთოდ აღარ მოიხსენიება), რომელიც მოიცავდა ცხენისწყლისა და ლაჯანურის ხეობებს, რიონის ხეობის ნაწილსა და ამ ხეობებში არსებულ სოფლებს.

რაჭის ერისთავები გამოირჩევიან პოლიტიკური ლავირებითაც. მათი პოზიცია ძლიერისკენაა გადახრილი. ამ მხრივ საინტერესოა რაჭის ერისთავის, პაპუნას მოქმედება. მან კარგად გაითვალისწინა ქვეყნის მდგომარეობა. კერძოდ, როცა იმერეთის მეფეები ვეღარ ახერხებდნენ თავისი მხარის გაკონტროლებას, ვახტანგ V-მ, შაჰნავაზად წოდებულმა (1658-1675 წწ.) და ვამიყ დადიანმა გაიყვეს იმერეთი: „ბუჯის-წყლის აღმოსავლეთის კერძი" ვახტანგ V-ს ერგო, „დასავლეთის კერძი" – დადიანს: „და ეპყრა ვახტანგს ქართლი, იმერეთი და კახეთი..."[4]. მეფესა და დადიანს შორის უთანხმოება მოხდა. ვახტანგ V-მ შემოიკრიბა „სპანი ქართლისანი და რომელნიმე კახნი" და სოფ. ალში დაბანაკდა. დადიანიც იმერელი მოლაშქრეებით საჩხერეში დადგა. მეფეს მხარი დაუჭირეს იმერთა ერთმა ნაწილმა პაატა აბაშიძის თავკაცობით, რაჭის ერისთავმა პაპუნამ და ლეჩხუმის თავკაცმა ხოსია ლაშხისშვილმა. ისინი უკმაყოფილონი იყვნენ დადიანის იმერეთის ნაწილში გამეფებით. მოიმხრეს

[1] ვახუშტი ბაგრატიონი, დასახ. ნაშრ., გვ. 770.
[2] იქვე, გვ. 772.
[3] საერთოდ იმერეთი ოთხ სადროშოდ იყო დაყოფილი.
[4] ვახუშტი ბაგრატიონი, დასახ. ნაშრ., გვ. 459.



სორის მონასტერი. ჯვარცმის სახელობის ტაძრის მოხატულობა (XII ს.).

გურიის მთავარი დემეტრე გურიელი, რომელიც შურით უყურებდა დადიანს და ეს უკანასკნელიც მეფის სამსახურში ჩააყენეს. გაძლიერებულმა ვახტანგ V-მ გადაიარა ლიხის მთა. ვამიყ დადიანმა შეაფასა მეფის სიძლიერე და წინააღმდეგობის გაუწევლად ოდიშში წავიდა. ამის შემდეგ ვახტანგ V დაეუფლა იმერეთს. აქ საინტერესოა რაჭის ერისთავის პოზიცია, რომელმაც კრიტიკულ მომენტში ვახტანგ V შაჰნავაზს დაუჭირა მხარი. მეფემ პაპუნა ერისთავის მძახლობა გადაწყვიტა და მოსთხოვა მას მამიდაშვილის, გიორგი მიქელაძის ასულის, ხორეშანის ხელი თავისი შვილის, არჩილისათვის. საქმე ისაა, რომ მანამდე ვახტანგ მეფემ და დადიანმა დამოყვრება გადაწყვიტეს. დადიანმა თავისი ქალი ვახტანგის ვაჟს არჩილს აღუთქვა ცოლად. ეს პირობა დადიანმა დაარღვია – არჩილისთვის აღთქმული ქალი, ცოლის წაქეზებით, იმერელ თავადს ბეჟან ღოღობერიძეს მისცა. ამჯერად ვახტანგ V-ის ეს მოთხოვნა შესრულდა – „კოჯორში გადაიხადეს „ქორწილი წარჩინებით დიდებული ქ'სა



შობა.
სორის მონასტერი.
ჯვარცმის სახელობის ტაძრის მოხატულობა (XII ს.).

ჩ˜ქაზ, ქარ. ტ˜ოე.“[1] რაჭის ერისთავი დაუმოყვრდა ვახტანგ V შაჰნავაზს.

რაჭის ერისთავი დიდი პატივით სარგებლობდა იმერეთის მეფის, ალექსანდრე III-ის (1639-1660 წწ.) კარზე (მოგვიანებით, XVIII საუკუნეში მედიდურად გამოიყურებოდა რაჭის ერისთავების ტიტულატურა: „ლიხთ იმერისა და ამერის მთავარი, მსაჯულად დადგინებული, მპყრობელი რაჭისა“). მის შესახებ სრულიად გამორჩეულად წერენ მოსკოვის სახელმწიფოს ელჩები სტოლნიკი ნიკიფორე ტოლოჩანოვი და დიაკი ალექსი იეველევი, რომ „ერისთავი პირველი ხარისხის თავადი და პატიოსანი კაცია“. იგი ღირსეულად იქცეოდა რაჭაში ელჩებთან შეხვედრისას. ამასთან, პაპუნა ერისთავი მორჩილებდა და ერთგულებდა იმერეთის მეფეს. ამგვარი დამოკიდებულება რაჭის ერისთავისა მეფესთან დიდხანს არ გაგრძელებულა.

[1] ვახუშტი ბაგრატიონი, დასახ. ნაშრ., გვ. 459.

ალექსანდრე III-ის გარდაცვალების შემდეგ მისი ვაჟი ბაგრატ IV გამეფდა, რომელსაც ტახტი დედინაცვალმა (თეიმურაზ I-ის შვილმა) დარეჯანმა წაართვა. სხვა ხელისუფლებმაც არ დააკლეს შებრძოლება და დაიწყო არეულობა. ფაქტობრივად, ეს შინაომი იყო. ეს შინააშლილობა ათეული წლები გრძელდებოდა. რაჭის ერისთავები დამოუკიდებლობისკენ სწრაფვით გამოირჩეოდნენ. ეს არევ-დარევას უწყობდა ხელს. ნიშანდობლივია, რომ რაჭველები, რომლებიც არეულობაში მონაწილეობდნენ, ჯერ ბაგრატ IV-ს [(1660-1661 წწ), (1663-1668 წწ.), (1669-1678 წწ.); (1679-1681 წწ.)], შემდეგ არჩილ II-ს (1661-1663 წწ., 1678 წ., 1690 წ., 1695 წ., 1698 წ.) ემხრობოდნენ. 1698 წელს გედეონ გაენათელი წუხს, რომ მდინარე წყალწითელაზე ხიდის აშენებას ვაპირებდი და რაჭველებმა არ დამაცალესო. თავის მხრივ, არც რაჭა და რაჭველები იყვნენ დალხინებულნი. 1679 წელს რაჭაში ოსმალები შეიჭრნენ და გაანადგურეს ეს მხარე. ისინი XVIII საუკუნის ათიან წლებშიც შეეცადნენ რაჭაში შესვლას, მაგრამ ვერ შეძლეს.[1]

გარკვეული დროის მანძილზე რაჭის ერისთავებს ადგილობრივი თავადებიც უჭერდნენ მხარს. როცა ერისთავებმა თავადების მამულებისა და ყმების მითვისება დაიწყეს, მათ ბრძოლა დაუწყეს თვით თავადებსაც – აიძულებდნენ, რაჭას გასცლოდნენ. ადგილობრივ თავადებთან ბრძოლაში დიდ წარმატებას მიაღწია როსტომ რაჭის ერისთავმა (ერისთავია 1750 წლიდან). ერთმანეთისადმი მტრულად განწყობილი თავადები აჩანაგებდნენ სოფლებს, მძიმე დღეში იყო მოსახლეობა. ერისთავმა აიძულა, რაჭა დაეტოვებინათ ცნობილ თავადებს ჯაფარიძეებს, წულუკიძეებს და იაშვილებს. რაჭის ერისთავი როსტომი მტრობდა წერეთლებსაც. სწორედ როსტომმა, ლევან აბაშიძესთან ერთად, მათი პურის ყანები გადააფარცხვია მოსავლის აღების წინ.[2] როსტომი რაჭის ერთადერთი

[1] თ. ბერაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 103.

[2] ნ. ნიკოლაძე, თხზულებანი, ტ. II, თბ., 1960, გვ. 186.

მფლობელი გახდა. მის დროს გაიზარდა რაჭის ერისთავთა რეზიდენცია – წესი. მან საგანგებოდ გაამაგრა მინდა ციხე. მის სახელთანაა დაკავშირებული, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბარაკონის ეკლესიის აგება. როსტომს მიაჩნდა, რომ რაჭის საერისთავოს გაძლიერების პირობებში არსებული კარის ეკლესია ვერ აკმაყოფილებდა გაზრდილ მოთხოვნებს და აქედან გამომდინარე, მიიღო გადაწყვეტილება ახალი ეკლესიის აგებისა. ეს გადაწყვეტილება სისრულეში 1753 წელს მოიყვანა.

1752 წელს იმერეთის სამეფი ტახტი დაიკავა ალექსანდრე V-ის (1720-1752 წწ.) უფროსმა ვაჟმა სოლომონმა (სოლომონ I). ვითარება ქვეყანაში რთული იყო. სამეფო ტახტისათვის იბრძოდნენ მეფის ბიძები – მამუკა და გიორგი. მეფის მოწინააღმდეგეთა ბანაკში იყვნენ: მამია IV გურიელი, სოლომონის პაპა ლევან აბაშიძე, მეფის დედაც. სამეფო ხელისუფლების ოპოზიციონერთა შორის წამყვანი ადგილი ეკავათ რაჭის ერისთავს როსტომს და მის ძმას, დასავლეთ საქართველოს კათოლიკოს ბესარიონს.[1]

რაჭის ერისთავის აშკარა დაპირისპირება იმერეთის მეფესთან გამოჩნდა ხრესილის ბრძოლისას. 1757 წლის დეკემბერში სოლომონ I საიდუმლო საბრძოლო სამზადისს შეუდგა. ეს გარემოება მხედველობიდან არ გამორჩენია როსტომ რაჭის ერისთავს. მის გვერდით იყო ლევან აბაშიძეც. ორივე თავიანთი რაზმებით ხრესილთან მდგარ ოსმალებს მიუვიდა. მეფის მოწინააღმდეგეთა შორის აღმოჩნდნენ ახალციხისა და აჭარის სანჯაყთა მოლაშქრეები ახალციხის ფაშის, ქეჰაიას სარდლობით. აქ იყო, როგორც აღვნიშნეთ, ლევან აბაშიძე და რაჭის საერისთავოდან წულუკიძე თავიანთი რაზმებით. როცა გამარჯვების სასწორი ქართველებისკენ გადაიხარა, ლევან აბაშიძისა და რაჭის ერისთავის მოლაშქრეთა ერთი ნაწილი მეფის მხარეს გადავიდა. მოკლეს მოღალატე ლევან აბაშიძე.

[1] პაპუნა ორბელიანი, ქართლის ცხოვრება, დასაბამითგან მეათცხრამეტე საუკუნემდის, ტფ., 1854, გვ. 360.



სოლომონ II. იმერეთის უკანასკნელი მეფე (1772-1815).

ცხადია, მეფის საწინააღმდეგო მოქმედება ქვეყნის ღალატის ბადალი იყო. როსტომი მეფის მოწინააღმდეგეთა შორისაა სახელმწიფოს შინაომებშიც. კერძოდ, როცა 1768 წელს სოლომონ პირველმა გადამწყვეტი ბრძოლა გაუმართა სამეფო სახლის მაძიებელ ბიძაშვილს თეიმურაზ მამუკას ძეს[1], რაჭის ერისთავი როსტომი მეფის მოღალატე თეიმურაზის მხარეზე იყო. თეიმურაზი ჩხარის მახლობლად, ცხრანყაროსთან დაამარცხა მეფემ. ახალციხის ფაშამ იბრაჰიმმა დაზავება ამჯობინა გამარჯვებულ მეფესთან. როსტომიც შეეცადა, შერიგებოდა სოლომონს, მაგრამ მეფემ არ ისურვა. ლეკთა დაქირავებული ჯარი რაჭაში გაგზავნა და როსტომის სოფლები დაარბევინა.

მეფის მოწინააღმდეგეთა ბანაკი შესუსტდა, თანაც სანამ რაჭის ერისთავი როსტომი დამოუკიდებლად თვლიდა თავის საერისთავოს, იმერეთის შემდგომ გაძლიერებას საფრთხე ელოდა. სოლომონმა ეს კარგად იცოდა და 1769 წლის 28 იანვარს რაჭის საერისთავოს მიადგა ჯარით, როსტომმა დახმარებისათვის მიმართა ახალციხის ფაშასა და ყაბარდოელებს. როსტომმა დახმარება ვერ მიიღო, პირიქით, ახალციხის ფაშამ მეფის ერთგულების დასამტკიცებლად აქ თავშეფარებული მეფის მოწინააღმდეგე ბესარიონ კათოლიკოსი ციხეში ჩააგდო. ბესარიონმა გაქცევა მოახერხა და კვლავ რაჭის ერისთავს ეახლა. სოლომონმა დაამარცხა როსტომ ერისთავი, რომელიც იძულებული გახდა, გაქცეულიყო. სოლომონ I ენერგიულად მოქმედებდა და ერთგულთა დასს ამრავლებდა. მან მოღალატე აბაშიძეებსა და რაჭის ერისთავს მოხერხებულად დაუპირისპირა მათგან განაწყენებული და მტრად ქცეული თავადები: წერეთლები, წულუკიძეები, აგიაშვილები, იაშვილები, ლორთქიფანიძეები. გატარებულმა ღონისძიებებმა იმერეთის მეფე ავტორიტეტული გახადა.

[1] თეიმურაზმა უღალატა მეფეს და ოსმალეთის მთავრობას აღუთქვა მისი გამეფების შემთხვევაში „ტყვის სყიდვის“ აღდგენა.

რაჭაში შესულმა სოლომონ I-მა რუსეთის ელჩები მიიღო. მეფემ რუსეთ-ოსმალეთის ომის დროს რუსეთის მხარის დაკავება დააპირა და ერისთავთან შერიგება გადაწყვიტა. ერთადერთი, რა გადაწყვეტილებაც მიიღო – მოღალატე ბესარიონის ნაცვლად იმერეთის კათოლიკოსად თავისი ძმა იოსებ გაენათელი დააყენა (ბესარიონი მეფის ორგულმა დადიანმა[1] შეიფარა და სამეგრელოს მღვდელმთავრად დანიშნა). მეფის ნაბიჯები დიპლომატიური იყო. მას რაჭის ერისთავთან დამოკიდებულება არ შეუცვლია, მიზნად ჰქონდა მისი განადგურება და ამისათვის შესაფერ დროს ელოდა. როსტომი კი ჯიუტობდა. იგი მეფეს კადნიერად მიმართავდა:

„...ხელი აიღე რაჭაზედ,
მიხვდი რომ აღარ გმორჩილობ,
სწორი გიდგები ძალაზედ.
რაჭის ბეგარას ავიღებ, არ გეევედრები ამაზედ“.

გამედიდურებული ერისთავი სოლომონ I-ს საომრად იწვევდა:

„თუ მიპირებ ამოწყვეტას, აწ მობრძანდი
რაღას ყოვნი,
ციხე მიდგას მაღალ კლდეზე და ზედ აკრავს
ბარაკონი!
ხიდისკარში მცველები მყავს და კოშკები
სამაგრონი!
ჩემი იყო ქვეც ნაგართვი კუდარო და რაჭა-ონი!"

1769 წელს სოლომონ I-მა რაჭის საერისთავოს გაუქმება გადაწყვიტა. მეფემ როსტომი მისი ოჯახის წევრებითა და მხლებლებით ვარციხის სამეფო რეზიდენციაში შეიტყუა. შემდეგ შეიპყრო – ერისთავსა და მის შვილებს თვალები დასთხარა, მისი მამულის დიდი ნაწილი სამეფოდ გამოაცხადა, ერთი ნაწილი კი ერთგულ თავადებს მისცა (ძირითადად ის პირები იყვნენ, ვინც როსტომმა რაჭიდან გააძევა). როსტომის ვაჟი გიორგი (მას მხედველობა ნაწილობრივ შერჩა)

[1] კაცია დადიანი როსტომ რაჭის ერისთავისა და ბესარიონ კათოლიკოსის ბიძა იყო.

თავის ძმასთან მეთოდესთან ერთად ციხიდან გაიქცა და ახალციხეში გადავიდა.

რაჭის სამეფოს გაუქმება იმერეთის სამეფოს ცხოვრებაში მნიშვნელოვანი მოვლენა იყო. პრაქტიკულად განმტკიცდა სამეფოს შინაგანი მთლიანობა.[1]

როსტომ რაჭის ერისთავის გამუდმებულმა ბრძოლამ სოლომონ I-თან, მისმა ცენტრიდანულმა პოლიტიკამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა თანამედროვეებზე. რაჭულმა ფოლკლორმა არაერთი ლეგენდა შემოგვინახა. მეტად საინტერესოა „თავად ჯაფარ ჯაფარიშვილის წერილი თავად როსტომ ერისთავისადმი მინაწერი". საქმე ისაა, რომ ჯაფარ ჯაფარიშვილი ჯაფარიძეთა საგვარეულოს წარმოადგენდა. მას რაჭის ერისთავის ბრძანებით თვალები დასთხარეს. ერთხელ, როდესაც დაბრმავებული როსტომი აღდგომის დღესასწაულზე ბარაკონის ეკლესიას ეწვია, ეს გაიგო ადრე დაბრმავებულმა ჯაფარიშვილმა და როსტომს „მწარე" წერილი მისწერა:

„სწორედ წესი არს ბრმისათვის, კაცნი
ჯოხით წინ უძღოდეს,
ვეღარ ნახავ იმ დიდებას, შენთან
უხვად ყრმანი რბოდნენ.
მე მომთხარე თვალი, მაგრამ შენც
მოგეგო ესეოდენ,
მეც წამახდინე, შენც წახდი, ქრისტე აღდგა,
გიხაროდენ".

1775 წლიდან როსტომ რაჭის ერისთავის შვილი გიორგი (სოლომონ I-სადმი მტრულად განწყობილი) აჭარის სანჯაყში იმყოფებოდა. იგი ბათუმიდან სტამბოლში რამდენიმეჯერ ჩავიდა სულთანთან და მისი დახმარებით იმერეთში გამეფებას ცდილობდა.[2] სოლომონ I-ის გარდაცვალების (1784 წ.) შემდეგ იმერეთის სამეფო ტახტის მოცილეები იყვნენ განსვენებული მეფის ბიძაშვილი დავით გიორგის ძე და

[1] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, IV, თბ., 1973, გვ. 648.

საქართველოს ისტორიის ნარკვევები, IV, გვ. 666.



მინდა ციხე

ერეკლე II-ის შვილიშვილი დავით არჩილის ძე. პირველი 29 წლის იყო, მეორე 12 წლის. ერეკლე მეფე თავისი შვილიშვილის გამეფებას უჭერდა მხარს, თანაც ფიქრობდა, რომ ეს წინ გადადგმული ნაბიჯი იქნებოდა აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ურთიერთობაში და იყო გზა გაერთიანებისაკენ. დავით გიორგის ძის გამეფებას ემხრობოდნენ სამეგრელოს და გურიის მთავრები და მათთან ერთად პაპუნა წერეთელი (იგი დავით გიორგის ძის სიძე იყო), ზურაბ წერეთელი და ბერი წულიკიძე. საქმე ასაკმა გადაწყვიტა – დავით არჩილის ძე სრულასაკოვანი არ იყო

და საკითხი დავით გიორგის ძის სასარგებლოდ გადაწყდა. იგი დაჯდა იმერეთის სამეფო ტახტზე (დავით II) და ცდილობდა გაეგრძელებინა სოლომონ I-ის პოლიტიკა. დავით არჩილის ძე ოფიციალურად თავის მემკვიდრედ გამოაცხადა – იგი ერეკლე II-ის ინტერესებს ითვალისწინებდა. დავით გიორგის ძემ საბატონიშვილო ყმა-მამული მისცა დავით არჩილის ძეს და სრულასაკოვნების მიღწევისას ტახტის დათმობას შეჰპირდა. მეფემ დადებული პირობა არ შეასრულა – დაპირებული ყმა-მამული სრულყოფილად არ გადასცა, რამაც ერეკლე II გაანაწყენა. იმერეთის სამეფოში კვლავ არეულობა დაიწყო.

1784 წლის დასასრულს დავით II-მ აღადგინა სოლომონ I-ის მიერ გაუქმებული რაჭის საერისთავო და ერისთავად გიორგი როსტომის ძის ვაჟი, ანტონი დაადგინა (ანტონი იმერეთის მეფის დისშვილი იყო). საერისთავოს აღდგენას მტრულად შეხვდნენ პაპუნა და ზურაბ წერეთლები, წულუკიძეები. საქმე ისაა, რომ 1784 წლის 21 ივნისს იმერეთის კათოლიკოსმა მაქსიმემ ფიცით შეარიგა მეფე და თავადები. სწორედ მაშინ ზემოხსენებულმა წერეთლებმა მიიღეს ქალაქი ონი ვაჭარ-ხელოსნებით. წულუკიძეებმაც მაშინ მოითბეს ხელი. ახალი ერისთავისთვის, ცხადია, მიუღებელი იყო, რომ საერისთავოს ნაწილზე პრეტენზიას სწორედ წერეთლები და წულუკიძეები აცხადებდნენ. თავადებმა ისარგებლეს იმ გარემოებით, რომ გადასახადების გაზრდის გამო ხალხი უკმაყოფილო იყო და განუდგნენ მეფეს. ეს მოხდა 1785 წლის გაზაფხულზე – პაპუნა წერეთელი, ბერი წულუკიძე (მის ძმასთან გიორგისთან ერთად) და დავით არჩილის ძე დაუპირისპირდნენ დავით II-ს. წულუკიძემ ერთიანად რაჭის მოსახლეობის მიმხრობა მოინდომა. ამჯერად მეფემ შეძლო რაჭის შენარჩუნება. წულუკიძეები მხოლოდ ჭიდროთას დაეუფლნენ („ჭიდროთას არს ციხე მცირე, რათა ვერ ვიდოდეს მთის კაცნი თვინიერ მის ციხისა რაჭას"[1]).

[1] ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა..., გვ. 768.

1785 წლის ბოლოს დავით II-მ ანტონს ჩამოართვა თანამდებობა და რაჭის ერისთავად მისი მამა გიორგი როსტომის ძე დანიშნა. ამაზე განაწყენდნენ ბერი წულუკიძე და პაპუნა ერისთავი და მეფეს აუჯანყდნენ. დაიქირავეს 1000 ოსმალო და 500 ლეკი და რაჭაში შემოვიდნენ. დავით II-მ ოდიშის მთავარი მოიშველია და აჯანყებულებს შეებრძოლა. შეჯახება სოფ. სხვავასთან მოხდა (სოფ. სხვავა მნიშვნელოვანი იყო რაჭის საერისთავოში. აქ XVII საუკუნის დასაწყისში რაჭის ერისთავმა ლომინმა ააგო სასახლე და სტრატეგიულ პუნქტად ითვლებოდა).[1] მეფის ლაშქარმა გააქცია აჯანყებულნი. ბრძოლაში პაპუნა წერეთელი დაიჭრა, ბევრი დაიხოცა. ბერი წულუკიძე და დაჭრილი პაპუნა წერეთელი იძულებულნი გახდნენ, კვარას ციხეში შეეფარებინათ თავი. მეფის მოლაშქრეებმა კვარას ციხეს ალყა შემოარტყეს. ალყა დიდხანს გაგრძელდა. როცა დაინახეს იმერეთის მეფის ძლევამოსილი გამარჯვება, ალყაშემორტყმულთა უმრავლესობა, მათ შორის პაპუნა წერეთელი და ბერი წულუკიძე, მეფეს დანებდა.

გიორგი რაჭის ერსითავი მალე გარდაიცვალა (1787 წ.). დავით II-მ რაჭის ერისთავად ანტონ გიორგის ძე დააბრუნა. მეფემ ქვეყანაში არსებული არეულობა ვერ დააწყნარა. თავის მხრივ, ერეკლე II ენერგიულად იღვწოდა შვილიშვილის – დავით არჩილის ძის იმერეთში გასამეფებლად. 1789 წლის 11 ივლისს მათხოჯთან ბრძოლაში ქართლისა და სამეგრელოს ლაშქარმა დაამარცხა დავით II. იგი იძულებული გახდა, ახალციხეში გაქცეულიყო. მიუხედავად რამდენადმე წარმატებული მცდელობისა, დავითმა ვერ შეძლო იმერეთის ტახტის დაბრუნება. იმერეთის სამეფო ტახტი დავით არჩილის ძემ დაიკავა. იგი გამეფდა 1789 წელს სოლომონ II-ის სახელით. ახალი მეფე სოლომონ I-ისა და თავისი პაპის ერეკლე II-ის პოლიტიკას ატარებდა. მან ვერ მოასწრო დავით II-ის დასჯა. ამ უკანასკნელმა ახალციხეში გადასვლა

[1] თ. ბერაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 104.

მოახერხა, სადაც 1795 წლის 11 იანვარს გარდაიცვალა.

რაჭის ისტორიის ცალკეული საკითხები გამოიკვლია პროფ. ოლღა სოსელიამ და ბევრი საყურადღებო მოსაზრება გამოთქვა (იხ. მისი, ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიის ნარკვევები (სენიორიები), თბ., 1974). ანგარიშგასაწევია ო. სოსელიას მიერ შემოთავაზებული რაჭის საერისთავოს აღდგენის შემდგომდროინდელი თავკაცების (ერისთავების) რიგი: აღბუღა (ჭარელიძე?) – XIV-XV სს-ის მიჯნა, გიორგი (ჭარელიძე?) – 1413-1444 წწ., ციცი ჭარელიძე – 1432 წ., ქველი ჭარელიძე – XV ს-ის 30-80-იანი წლები, გიორგი აბლაჭელიძე – 1486-1488 წწ., ივანე ჩხეტიძე (ჩხეიძე) – 1488 წ. (აქედან მოკიდებული, რაჭის ერისთავები ჩხეტიძეთა საგვარეულოს წარმომადგენლები არიან), კახაბერ ჩხეტიძე (ივანეს ძმა) – 1497-1503 წწ., ბედან (ჩხეტიძე) – 1504-1533 წწ., შოშიტა I – 1534-1565 წწ., ლომინი, შოშიტა I-ის ძე – 1566 წ-დან, სავარაუდოდ, XV ს-ის ბოლომდე, პაპუნა I, ლომინის ძე – 1651-1660 წწ., შოშიტა II, პაპუნა I-ის ძე – 1661-1684 წწ., პაპუნა II, შოშიტა II-ის ძე – 1684-1696 წწ., შოშიტა III პაპუნა II-ის ძე – 1696-1731 წწ., გრიგოლ შოშიტა III-ის ძე – 1732-1743 წწ., ვახტანგ, შოშიტა III-ის ძე – 1743-1749/50 წწ., როსტომ, შოშიტა III-ის ძე – 1749/50-1769 წწ., ანტონ გიორგის ძე (შვილიშვილი როსტომისა – 1784-1785 წწ., გიორგი როსტომის ძე – 1785-1787 წწ., ანტონი (მეორედ) – 1787-1789 წწ. (ო.სოსელია, დასახ. ნაშრ., გვ. 119).

ნიშანდობლივია, რომ რაჭის ერისთავებს სერიოზული მართვის აპარატი ჰქონდათ. მოხელეთა საშუალებით იმართებოდა საერისთავოს მთელი სისტემა. სხვადასხვა საბუთში მოიხსენიებიან: მოურავები, მამასახლისები, კარისკაცები და სხვანი. დამოწმებულია „კარის დეკანოზ-მწიგნობარ-მდივან-მოჟამნე", „კარის წიმანძღვარი" და სხვ. შემორჩენილია ზოგიერთი მოურავის ვინაობაც. ასე მაგალითად: შიოშ ჯაფარიძე (1731-1743 წწ.), დავით ჯაფარიძე (1789

ნ.), ოტია ჯაფარიძე (1811 წ.), ბერი ბაქრაძე (1754 წ.), ზაერი (II) ბაქრაძე (1791 წ.), დავით საკანდელიძე (1805 წწ.), ფრიდონ გამყრელიძე (1812 წ.), ფირან ლომინაძე (1813 წ.). ყველა დასახელებული პირი აზნაურია. აღსანიშნავია ისიც, რომ ზოგიერთ სოფელს თავისი მოურავი ჰყავდა („სევას მოურავი", „ღების მოურავი" და სხვ.).

მიუხედავად სირთულეებისა, XVIII საუკუნის ბოლოს, სოლომონ II-მ თავისი მდგომარეობა იმერეთის სამეფო ტახტზე განიმტკიცა. მან საბოლოოდ გააუქმა რაჭის საერისთავო. ეს ძალიან მძიმედ იქნა მიღებული საერისთავოს მესვეურების მიერ. საქმეში რუსეთის ხელისუფლებაც ერეოდა. აღმოსავლეთ საქართველოს (ქართლ-კახეთის სამეფო) ანექსიის შემდეგ რუსეთმა თვალი დასავლეთ საქართველოს დაადგა. მოძალადე ცარიზმი ყველაფერს აკეთებდა, რომ ქართული სახელმწიფოებრივი ორგანიზმი დაეშალა. 1810 წლის ზაფხულში, სოლომონ II-ის მონდომებით, ბრძოლა გაჩაღდა ფაქტობრივად ცარიზმის წინააღმდეგ. იმერეთის მეფის მომხრეებმა მოახერხეს რუსთა რაზმების დამარცხება და იმერეთი მოსწყვიტეს თბილისთან კავშირს.

რუსეთის მთავრობამ ვერაგულ ხრიკს მიმართა – ცდილობდა ერთმანეთისა და მეფისათვის წაეკიდებინა მთავრები. ნაწილობრივ ეს მოახერხა კიდეც. მაგალითად, სამეგრელოს მთავარი ლაშქრითურთ ოსმალთა მხარეზე იყო. დღის წესრიგში იდგა გურიის მხარის გადაბირებაც. გურიელს დაჰპირდნენ, რომ მიიღებდნენ რუსეთის მფარველობაში. ეს იმ პირობით გაკეთდებოდა, თუ მთავარი მონაწილეობას მიიღებდა მეფის საწინააღმდეგო გამოსვლაში. ზოგიერთი თავადი და რუსეთის მმართველობის წარმომადგენლები ფიქრობდნენ რაჭის საერისთავოს აღდგენას. ცხადია, იმ შემთხვევაში, თუ რაჭის ერისთავი კვლავ იმერეთის მეფის ოპოზიციაში იქნებოდა. გურიელი და დადიანი დაეხმარნენ რუსეთის ჯარებს. იმერეთის მეფე დამარცხდა. 1810 წლის სექტემბერში სოლომონ II ახალციხეში გაიქცა, რაც იმერეთის სა-

მეფოს გაუქმებას ნიშნავდა. ეს კუთხეც მიიერთა რუსეთმა. იმერეთში რუსული მმართველობა დამყარდა, რაც უდიდესი მარცხი იყო ქართული სახელმწიფოებრიობის ისტორიაში.[1]

დაკარგული ტახტის დაბრუნებას სოლომონ II გარე ძალების დახმარებით შეეცადა. ეს იმედი არ გაუმართლდა იმერთა მეფეს. იგი ოსმალეთში გადაიხვეწა და იქ გარდაიცვალა 1815 წელს.

ცალკე აღნიშვნას იმსახურებს ის ფაქტი, რომ 1810 წლის აპრილის თვეში რაჭის ბევრი მნიშვნელოვანი პუნქტი რუსების ხელში იყო. მათ პრაქტიკულად დაიმორჩილეს სოფლები: ტოლა, ხოტევი, ხვანჭკარა, ონი, პატარა ონი, მინდაციხე, ხიდისკარი და ჭიდროთა. რუსეთის მთავრობამ შექმნა რაჭის ოკრუგი, რომელსაც საგანგებოდ დანიშნული უფროსი ჰყავდა. იგი ჯარის ნაწილებსაც განაგებდა. ნიშანდობლივია, რომ რაჭის ოკრუგის ცენტრი სხვავა იყო.

1819-1820 წწ-ში დასავლეთ საქართველოში მძიმედ მიმდინარეობდა რუსული პოლიტიკის გატარება. რუსული მმართველობა აუტანელ ტვირთად დააწვა ქვეყნის მოსახლეობას – გლეხობას და თავადობას. რუსულმა მმართველობამ გადაწყვიტა, გაეზარდა გადასახადი და შესაბამისად შემოსავალი. ისინი ვარაუდობდნენ, რომ საეკლესიო რეფორმის გატარების შემდეგ სახაზინო შემოსავალს 100 000 მანეთამდე გაზრდიდნენ (მანამდე ეს შემოსავალი 18-20 ათასს შეადგენდა). სამღვდელოება განაწყენდა ე. წ. რუსული რეფორმის გამო. ასე რომ, რუსეთის ხელისუფლების მიერ გატარებული ღონისძიებებით საზოგადოების ყველა ფენა იყო უკმაყოფილო. ამ მიზეზების გამო 1819 წლის ივნისში იმერეთის მოსახლეობა აჯანყდა. აჯანყებამ მძიმე ხასიათი მიიღო რაჭაში. რაჭა მთლიანად აჯანყებულთა ხელში მოექცა. რაჭის ოკრუგის უფროსი ძალზე შეშინდა და კვარას ციხეში

[1] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, გვ. 866.

ჩაიეტა. რუსი მოხელეები, რომლებიც რეფორმების განსახორციელებლად ჩავიდნენ, რაჭველებმა უკუაგდეს.

ყურადსაღებია, რომ თავადების ერთმა ნაწილმა აჯანყებულთა პოზიცია დაიკავა, მეორე ნაწილი კი რუსეთს მიემხრო. რუსეთს მიემხრნენ: ზურაბ წერეთელი, გიორგი ერისთავი, გრიგოლ წერეთელი და სხვანი. აღსანიშნავია, რომ ზურაბ წერეთელი ორმაგი სტანდარტით მოქმედებდა. ისე ჩანდა, რომ იგი რუსეთისთვის იბრძოდა, ამავე დროს აჯანყებულებს ამხნევებდა. აჯანყებულებმა იმერეთის მეფედ ივანე აბაშიძე გამოაცხადეს. იგიც, ზურაბ წერეთლის მსგავსად, ქვეყნისათვის ყოველთვის ერთგულად არ იქცეოდა – საიდუმლო მიწერ-მოწერა ჰქონდა რუს მოხელეებთან.

1820 წელს რუსეთის მმართველობა აქტიურ მოქმედებაზე გადავიდა. 4 მარტს მათ დააპატიმრეს აჯანყებულთა თავკაცებად მიჩნეული მიტროპოლიტები დოსითეოს ქუთათელი და ექვთიმე გენათელი, სვიმონ I-ის შვილი დარეჯანი, სეხნია წულუკიძე და მდივანბეგი დავით მიქელაძე. ხელში ვერ ჩაიგდეს ივანე აბაშიძე, რომელმაც გაქცევა შეძლო. რუსული მმართველობის მიერ გადადგმულმა ამ ნაბიჯმა ვერ შეძლო აჯანყების ჩაქრობა. 1820 წლის აპრილში აჯანყებულებმა მოქმედება გააძლიერეს. ეს განსაკუთრებით იგრძნობოდა რაჭაში და გურიაში.

1820 წლის ზაფხულში შეუპოვარი ბრძოლები მიმდინარეობდა რაჭაში. რუსეთის მმართველობამ საგანგებო ექსპედიცია გაგზავნა აჯანყების ჩასაქრობად. განსაკუთრებით იქნა დარბეული რაჭა, გადაწვეს სოფლები, დაანგრიეს ციხესიმაგრეები, დააპატიმრეს აჯანყების თავკაცები (70-მდე კაცი), მოსახლეობა განაიარაღეს. გადმოგვცემენ, რომ რაჭველებს წაართვეს ის საყვირებიც კი, რომლებითაც საშიშროების დროს განგაშს აცხადებდნენ. ნიშანდობლივია, რომ რუსეთმა რაჭის ოკრუგის ცენტრი ხოტევში გადაიტანა.

აჯანყება დამარცხდა. დაიწყეს აჯანყებულთა სამაგალითო დასჯა. დაპატიმრებულები ჯერ ციხეებში

გამოამწყვდიეს, შემდეგ რუსეთის სხვადასხვა გუბერნიაში და ციმბირში გადაასახლეს. გადასახლებულთა უმრავლესობა სამშობლოში ველარ დაბრუნდა – უცხოობაში დაიხოცნენ.

ჩვენ აშკარად ვნახეთ რაჭისა და მისი მოსახლეობის აქტიური როლი საზოგადოებრივ ცხოვრებაში, პოლიტიკაში, 1819-1820 წწ-ის აჯანყებაში. ეს აჯანყება იმერეთის აჯანყების სახელითაა მონათლული. მიგვაჩნია, რომ მისი აღწერისას ჯეროვნად უნდა შეფასდეს რაჭისა და რაჭველების მონაწილეობა და მათი როლი დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში.

„შეუვალი გარე მტრისაგან“

რაჭის ეთნოგრაფიული ყოფა, ხუროთმოძღვრების და ჭედურობის ძეგლები, ისტორიული ვითარება

რაჭა გარდა მრავალფეროვანი ბუნებრივი და კლიმატური პირობებისა, საოცარი ფაუნისა და ფლორის, არქეოლოგიური ძეგლების, თავისებური, თვითმყოფადი ეთნოგრაფიული ყოფისა, განსაკუთრებულად მდიდარია ხუროთმოძღვრების, ჭედური ხელოვნებისა და დამწერლობის ძეგლებით, ორიგინალური ფოლკლორით. უაღრესად საინტერესოა რაჭა არქეოლოგიური თვალსაზრისითაც. ამ მხრივ მეტად საგულისხმოა არქეოლოგ გერმანე გობეჯიშვილის მიერ ჩატარებული გათხრები, რომელსაც მოჰყვა უნიკალური აღმოჩენები.

რაჭაში ადრიდანვე ვრცელდება ქრისტიანობა. გამოთქმულია მოსაზრება, რომ ქრისტიანობა რაჭაში აღმოსავლეთიდან, ქართლიდან (მცხეთიდან) უნდა შემოსულიყო[1]. ამ დებულების დასაბუთებისთვის გამოყენებულია ის ფაქტი, რომ სოფ. ჯოისუბანში არის ეკლესია, რომელსაც ეწოდება „მცხეთის წმიდა გიორგის“ სახელი. ძეგლი VIII-IX საუკუნეებისაა. სახელწოდება „მცხეთის“ მიჩნეულია საბუთად,

[1] გ. ბოჭორიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 52.

რომ ქრისტიანობა რაჭაში ქართლს – მცხეთას უნდა შემოეტანა. მიიჩნევენ, რომ არა მარტო რაჭაში, არამედ ლეჩხუმშიც, სადაც არსებობს სოფელი მცხეთა, ქრისტიანობა ქართლიდან შემოსულა[1]. ეს ვარაუდი მნიშვნელოვანია, არ უნდა გამოირიცხოს ქრისტიანობის გავრცელების ქართლიდანური გზა, მაგრამ აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ყურადსაღებია დასავლეთ საქართველოში უძველესი დროიდან ქრისტიანობის არსებობა და მისი მეტად აქტიური როლი. ამის დასასაბუთებლად მრავალი მასალის მოტანა შეიძლება. თანაც, თუ გავითვალისწინებთ, რომ რაჭას აქტიური, ახლო ურთიერთობა ჰქონდა ეგრის-აფხაზეთთან, იმერეთთან, სრულიად კანონზომიერია განვაცხადოთ, რომ ქრისტიანობის გავრცელების მნიშვნელოვანი გზა სწორედ დასავლეთ საქართველოდან იყო. ასე რომ, არ უნდა გამოვრიცხოთ „ქართლის მცხეთის" როლი და შესაძლებლობა აქედან ქრისტიანობის გავრცელებისა რაჭაში, მაგრამ არ დაგვავიწყდეს დასავლეთ საქართველოს კუთხეებთან რაჭის სიახლოვე და სწორედ აქედან ქრისტიანობის გავრცელების შესაძლებლობაც. ალბათ უფრო მართებული იქნება ვთქვათ, რომ ქრისტიანობა რაჭაში შემოვიდა როგორც აღმოსავლეთიდან (ქართლიდან), ისე დასავლეთ საქართველოდან (ეგრის-აფხაზეთი).

გვინდა მოვიტანოთ მეტად მნიშვნელოვანი ფაქტი: 662 წელს საქართველოში (კერძოდ ლაზიკაში) გადმოასახლეს წმ. მაქსიმე აღმსარებელი და მისი მოწაფეები – ათანასე ბერი და ათანასე აპოკრისიარი. მათ სხვადასხვა ციხეში ახდევინებდნენ სასჯელს. ეს ციხეები კი ძირითადად სვანეთისა და ლეჩხუმის მიდამოებში მდებარეობდა. წმინდა ბერებს ახლო ურთიერთობა ჰქონდათ მოსახლეობასთან. ცხადია, ისინი ქრისტიანობის გავრცელება-განმტკიცებისათვის იღვწოდნენ. ლეჩხუმში, წმიდა მაქსიმე აღმსარებლის საფლავზე აიგო ბაზილიკური (სამნავიანი) ეკლესია, რომელიც მაქსიმე აღმსარებლისა და მისი მოწაფეების სახელ-

[1] გ. ბოჭორიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 53.



თანაა დაკავშირებული. ნიშანდობლივია, რომ საეკლესიო მშენებლობები რაჭა-ლეჩხუმში ადრიდან (VII-VIII საუკუნეებიდან) დასტურდება, რაც აშკარად მიუთითებს ამ მთიან კუთხეებში ადრეული საუკუნეებიდან ქრისტიანობის გავრცელებას. ვარაუდი, რომელიც გამოთქმულია ლეჩხუმსა და რაჭაში ქრისტიანობის ნაკლებად გავრცელებულობის შესახებ, ვფიქრობთ, არ არის მისაღები. არ გამოვრიცხავთ, რომ გარკვეულ პერიოდში რაჭა-ლეჩხუმი ფაზისის ან როდოპოლისის იურისდიქციაში ყოფილიყვნენ, თუმცა ეს წყაროებით არ დასტურდება[1].

რაც შეეხება ჯოისუბნის მცხეთის წმიდა გიორგის ეკლესიას, იგი უძველესი და მეტად მნიშვნელოვანი ხუროთმოძღვრული და სულიერების ძეგლია. ეკლესია არის დარბაზული ტიპის, ერთნავიანი. ჩანს, გარკვეულად გადაკეთდა XI-XII საუკუნეებში. ფასადები შემკულია რელიეფური ქანდაკებებით. გამოქანდაკებულია მაცხოვარი, რომლის მარჯვნივ და მარცხნივ პეტრე და პავლე მოციქულებია გამოსახული. სარკმელთან მამაკაცია გამოხატული ეკლესიის მაკეტით ხელში. მას აქვს წარწერა: „წმიდაო ეკლესია, შეიწყალე გაბრიელ მამასახლისი". ეკლესიის კედელზე ცხენზე ამხედრებული წმიდა გიორგის რელიეფური გამოსახულებაა. ეკლესიის ჩრდილოეთ კედელში ჩასმულ ქვის ფილაზე წარწერაა: „წმიდაო ეკლესიაო, შეიწყალე ამის მოქანდაკე კალატოზნი". ჯოისუბანი 1492 წელს გაცემული სიგელით ბაქარა ბაქრაძესა და მის შვილებს ვახტანგსა და დავითს დაუმტკიცდა; მეფეთ-მეფე თეიმურაზი (ასეა დოკუმენტში სახელდებული) და მისი მეუღლე თუთა შვილთან ალექსანდრესთან ერთად „წყალობის წიგნს" გასცემენ: „ამა წერილით დაგიმტკიცეთ სოფელი ჯვარისუბანი (ჯოისუბანი – რ. მ.) და ზეით სულობით

[1] ეს საკითხი ფართოდაა განხილული გ. მჭედლიძისა და მ. კეზევაძის მონოგრაფიაში „ქუთაის-გაენათის ეპარქია", ქუთ., 2002, გვ. 82-83. აქვე აღვნიშნავთ, რომ გვიანფეოდალური პერიოდის რაჭაში დადასტურებულია სამი მონასტერი: ჭელიშის, სორის და ველტყევის.

შქმერი, ბაჯი, სევასა და ცხმორს ჩვენი სახასო კაცი რაც იყო, სოფელი ჩორდი, თავის ციხითურთ, მთა სარჩოდ". ვფიქრობთ, სწორია მოსაზრება, რომ ამ სიგელის გამცემი უნდა იყოს ალექსანდრე II (1484-1510 წწ.). როგორც ჩანს, გარკვეული პერიოდის მანძილზე ბაქრაძეები ფლობდნენ ჯოისუბანს.

ალბათ ძნელია დაასახელოთ სხვა მხარე, სადაც ასე უხვად იყოს ეკლესია-მონასტრები, როგორც რაჭაშია. არ დარჩენილა არც ერთი სოფელი, სადაც ეკლესია არ არსებობდეს, ზოგან ორი და მეტიც არის. ეს მაუწყებელია რაჭაში ქრისტიანობის ფართოდ გავრცელებისა და თვით რაჭული მოსახლეობის ღვთისმოსავობისა.

ქრისტიანობის ერთ-ერთი უძველესი ცენტრი იყო ჭელიში. ისტორიულ წყაროებში პირველად იხსენიება XI საუკუნეში. შემდეგ პერიოდში სამონასტრო ცხოვრება აქ აღარ ჩანს. XVI საუკუნის 60-ან წლებში მონასტერი განაახლა ნიკორწმინდის ეპისკოპოსმა მელქისედეკ საყვარელიძემ.[1] სამონასტრო ცხოვრების აღორძინებას დიდად შეუწყო ხელი იმერეთის მეფემ გიორგი II-მ (1565-1583 წწ.). იმერეთის მეფე ლევანმა (1585-1590 წწ.) ეს ეკლესია ნიკორწმინდის ეპარქიაში შემავალად გამოაცხადა. 1637 წელს იმერეთის მეფე გიორგი III-მ (1605-1639 წწ.) ჭელიში მთელი თავისი მამულით გელათს გადასცა. XVIII საუკუნეში ჭელიშში აღდგა დამოუკიდებელი მონასტერი. უძველესი ხანისაა მაღალ კლდეში გამოკვეთილი მონასტრის გამოქვაბულები, სადაც ცხოვრობდნენ ბერები, განდგომილები (დაყუდებულნი). ჭელიში მნიშვნელოვანი კულტურული ცენტრი იყო. ჩვენამდე მოაღწია იქ შექმნილმა ან შეძენილმა ხელნაწერმა წიგნებმა.

1902 წელს მონასტრის წინამძღვარმა ამბროსი ხელაიამ ხელნაწერთა შორის აღმოაჩინა წმიდა ნინოს ცხოვრების ახალი ვარიანტი, რომელიც ცნობილია

[1] 1902-1904 წლებში ჭელიშის წინამძღვარი ამბროსი ხელაია იყო. 1921-1927 წწ-ში იგი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი იყო; შერაცხულია წმინდანად (წმიდა ამბროსი აღმსარებელი).

„მოქცევაჲ ქართლისაჲ-ს" ჭელიშური ხელნაწერის სახელით. ა. ხელაია ჯერ მოხსენებით გამოვიდა საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების სხდომაზე, 1911 წელს ცალკე წიგნად გამოვიდა „ჭელიშის ვარიანტი ქართლის მოქცევისა". ჭელიშის წიგნსაცავს ეკუთვნოდა ეტრატზე შესრულებული (დაწერილი) XI საუკუნის ოთხთავი (გადაუტანიათ სოფ. ხონჭიორში). ოთხთავის მინაწერი ადასტურებს, რომ იგი ჭელიშის საკუთრებაა. ანდერძი, რომელიც ოთხთავშია დაცული, გვაუწყებს, რომ ჭელიშისათვის დანიელ ხანბაშურის გაზრდილს ნიკოლოზს გაუკეთებია ძვირფასი მინანქრიანი და მოჭედილი ნივთები. ჭელიშის მონასტერი აშკარა საბუთია იმისა, რომ რაჭაში მნიშვნელოვანი კულტურული საქმიანობაა დაწყებული. ე. თაყაიშვილმა აღწერა ჭელიშის მონასტრის სიძველეები (ჩვილედი ხატი ღვთისმშობლისა, იოანე ნათლისმცემლის ხატი, ხეზე დახატული იოანე ნათლისმცემლის ხატი, საარქიმანდრიტო ჯვარი, საარქიმანდრიტო მიტრა, პატარა ხატი – სანაწილე ვერცხლისა და სხვ.). ერთ-ერთ ბარძიმზე საინტერესო წარწერებია: „ქ: მე ცოდვილმა: მხევალმა ღ˜თისამა გამდელმა ბატონიშვილის ნარინ დავითისმა სილდასტან შემოგწირეთ ბარძიმი ესე რაჭას უდაბნოს სულის ჩემის საოხად"[1]. მეორე რუსული ხელობის ბარძიმზე ასეთი წარწერაა: „დედოფალმან გულქან შევსწირე ბარძიმი ესე ჭელიშის უდაბნოს ღვთისმშობელს მეფე სოლომონის შესანდობლად"[2].

ნიკორწმინდა. დეტალი.



ჭელიშის ერთ-ერთი რელიკვიაა ოქრომკედითა და სირმით ნაქარგი გარდამოხსნა, რომელსაც ირგვლივ აწერია: „ჩვენ ცოდვილმან და ყოველთა მამათა უნარჩევესემან აბაშიძე გიორგი და მეუღლემან ჩემმან ლორთქიფანიძის ასულმან გულქან შევაკერვინეთ გარდამოხსნა ესე სულისა ჩვენისა სახსრად ჩვენთა შესანდობელად ... ძისა ჩვენისა: ლევანის, ბეჟანის,

[1] ე. თაყაიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 76.
[2] იქვე.

მალაქიას აღსაზრდელად და წარსამართებლად"[1]. წარწერა 1717 წლითაა დათარიღებული. ჭელიშში სხვა წარწერებიცაა, რომელთაც ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვთ საქართველოს ისტორიის რიგი საკითხების გასარკვევად.

X-XI საუკუნეების მიჯნაზეა აგებული სოფ. კრიხის ეკლესია, რომელიც შემკულია ჩუქურთმებით და ცნობილია თავისი წარწერებით. ვახუშტი ბაგრატიონი კრიხის შესახებ გვამცნობს: „ამას ზეით მოერთვის რიონს სამხრიდამვე კრიხულას მდინარე, რომელი ისახელა დაბის კრიხისაგან"[2]. კრიხის ეკლესიის ჩრდილოეთ კედელზე ოთხი პირია (ერისთავნი?) გამოსახული, რომლებიც მონაწილენი ჩანან ეკლესიის აშენებისა[3]. „კრიხის პირდაპირ, აღმოსავლით კიდურს, მაღალ, კლდიან გორასა ზედა არს ციხე კვარასი, მტკიცე"[4]. ზემოთ უკვე აღვნიშნეთ ამ ციხის მნიშვნელობისა და მის ადგილზე რაჭის ცხოვრებაში. ეს ჭეშმარიტად სტრატეგიული პუნქტი იყო მთელს მხარეში.

განსაკუთრებულად უნდა შევჩერდეთ ნიკორწმინდის ტაძარზე. „ამ ხევზედ არს ნიკოლაწმინდა (წმიდა ნიკოლაოსის ეკლესია – რ. მ.), ეკლესია გუმბათიანი, კეთილ-დიდშენი. ზის ეპისკოპოსი, მწყემსი გლოლას ქუეითის რაჭისა"[5] ტაძარი გუმბათოვანია. აგებულია ერთიანი საქართველოს პირველი მეფის, ბაგრატ III-ის დროს (1010-1014 წწ.). შემონახულია XVII საუკუნის ფრესკები, გვიანდელი ხანის ქართული კედლის მხატვრობის ნიმუშები. ტაძარი უხვადაა შემკული მდიდრული ჩუქურთმებით, აგრეთვე სიუჟეტური მრავალფიგურიანი რელიეფებით, სცენებით („ფერისცვალება", „მეორედ მოსვლა", „ჯვრის ამაღლება"), წმინდანების ფიგურებით, რეალური და ფანტასტიკური ცხოველების გამოსახულებებით. 1634 წელს

[1] ე. თაყაიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 77.
[2] ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა, გვ. 763.
[3] გ. ბოჭორიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 55.
[4] ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა, გვ. 764.
[5] იქვე.

ტაძარი განუახლებია იმერეთის მეფეს ბაგრატ III-ს. ნიკორწმინდის ტაძრის მშვენიერებით მრავალი მნახველი აღტაცებულა. რუსეთის ელჩები ტოლოჩნოვი და იევლიევი აღფრთოვანებით მოახსენებდნენ რუსეთის ხელისუფლებას ნიკორწმინდის შესახებ („წმიდა ნიკოლოზ სასწაულმოქმედის სახელობის ქვის საყდარი საოცარი ნახელავია"). ნიკორწმინდა, როგორც ჩანს, რაჭის საერისთავოს რელიგიური ცენტრი გახდა. იგი მდიდარია წარწერებითა და სხვადასხვა რელიკვიით. მოვიტანთ ზოგიერთ წარწერას, რომელთაც მნიშვნელობა აქვთ არა მხოლოდ რაჭის რეგიონის, არამედ საქართველოს ისტორიისათვის.

ნიკორწმინდის ტაძრის დასავლეთის კარიბჭეზე (თაღზე) ასომთავრული წარწერაა: „ქრისტე, ძეო ღმრთისაო, ადიდე სიმართლით და დღეგრძელობით შენ მიერ გვირგვინოსანი ბაგრატ აფხაზთა და რანთა მეფე, ქართველთა კურაპალატი და გაზარდე ძე მისი გიორგი ნებასა შინა შენსა მეოხებითა წმიდისა მღვდელთ-მოძღურისა ნიკოლოზისათა"[1]. ვფიქრობთ, საინტერესო ინფორმაციაა. მისი მნიშვნელობა სცილდება უბრალო წარწერის მიზანს. სამხრეთის ეკვდერის გარეთა ჯვარზე ასეთი წარწერაა: „ქ. ჯვარო ქრისტესაო განუსვენე სასუფეველსა თეთროს ლაშხიშვილის ქალსა მის შვილსა ქაიხოსროს წულუკიძესა"[2].

XIII-XV საუკუნეებში რაჭის მაღალი რანგის საგვარეულოებიდან მოიხსენიებიან გარაყანიძეები, ლაშხიშვილები (ლასხიშვილები) და ჯაფარიძეები. XV საუკუნეში – ბაქრაძეები, გამყრელიძეები, იაშვილები და კვიტაშვილები ჩანან (ამის შესახებ ქვემოთაც შევჩერდებით). უფრო გვიან მოიხსენიება წულუკიძეთა გვარიც. ეს საკმაოდ ძლიერი გვარია და აქტიურად მონაწილეობს რაჭის პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში. საერთოდ უნდა ითქვას, რომ როგორც პოლიტიკურ, ისე კულტურულ საქმიანობაში უპირველეს ყოვლისა მონაწილეობენ საზოგადოების მა-

[1] ე. თაყაიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 84.

[2] იქვე.




ნიკორწმინდა. წარწერა.

ღალი წრეების წარმომადგენლები: მეფეები, დედოფლები, ერისთავები, მაღალი რანგის სასულიერო მოღვაწეები, სახელმწიფო მოხელეები. ამას თვით ხუროთმოძღვრული ძეგლების წარწერები და სხვადასხვა ნარატიული (სიგელები, გუჯრები და სხვ.) საბუთები ადასტურებენ.

დავუბრუნდეთ ნიკორწმინდის ტაძრის წარწერებს (ზოგი წარწერა ზემოთაც მოვიტანეთ). აქ საკმაოდ გვხვდება წულუკიძეთა გვარის მოხსენიება. ე. თაყაიშვილს მიაჩნია, რომ ფრესკაზე, რომელიც შებღალულია, წარმოდგენილი უნდა იყოს დავით წულუკიძე და მისი მეუღლე პირსანგიჯვარი ლაშხიშვილის ასული და მათი ერთ-ერთი შვილი (ივანე ან ქაიხოსრო), რომლებიც სხვა წარწერებშიც არიან მოხსენიებულნი[1]. ჩრდილო-აღმოსავლეთ აფსიდში

[1] ე. თაყაიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 88.

ნიკორწმინდა. ტაძრის შესასვლელი ჩრდილოეთის მხრიდან.



მოხსენიებულნი არიან: ბეჟან წულუკიძე, მისი თანამეცხედრე საზუა (?) ჩიჯავაძე და შვილი ვარადებელი. ასევე ლომინა წულუკიძე და ელენე ქორთოძე (თანამეცხედრე). წარწერები, სადაც კახაბერისძეები არიან მოხსენიებულნი ზემოთ მოვიტანეთ და მათზე აქ აღარ შევჩერდებით. მინანქრიანი მედალიონებით შემკულ ვერცხლის ჯვარზე წარწერაში დავით წულუკიძე შესთხოვს ღმერთს მეოხებას: „მეოხ გვექმნე, ორთავე შინა ცხოვრებათა. ჩვენ დათის წულუკიძესა და თანამეცხედრესა ჩვენსა ლაშხისშვილისა

ასულსა ფრანგიჯავარს და ძეთა ჩვენთა ივანეს და ქაიხოსროს"[1].

ნიკორწმინდის სიძველეებიდან ე. თაყაიშვილს მოაქვს „დავითნი", ქაღალდზე ნუსხახუცურით დაწერილი. თავისთავად ეს ძეგლი მნიშვნელოვანია, მაგრამ განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს მინაწერი, სადაც მეფეთ-მეფე გიორგია დღეგრძელობით მოხსენიებული. ირკვევა, რომ მწერალი (გადამწერი) იოანე ჭუმბურისძეა. შემდეგ სხვადასხვა მოსახსენებელია. მიგვაჩნია, რომ ეს საბუთი მეტად მნიშვნელოვანია და მრავალმხრივაა ყურადღებამისაქცევი. მიუხედავად მისი სიდიდისა, გვინდა სრულად მოვიტანოთ ე. თაყაიშვილის წაკითხვით:

1. „... ი და კურთხევა მათი: მართლმადიდებელთა მეფეთა დაჩისი[2], ფარსმანისი[3] და ფარსმანისი[4], ადარნასესი[5], ბაკურისი[6], არჩილისი[7] და ადარნესესი[8] სკ˜ნს იყავნ ხსენებაჲ.

2. არჩილ მეფისა და მოწამისა[9] სკ˜ნოს.

3. მართლმადიდებელთა მეფეთა ბაგრატისი[10], გიორგისი[11] სკ˜ნს ხ˜ს.

4. დ˜თისი[12], ბაგრატისი[13], გიორგისი[14] [დავითისი][15], მეფეთა შორის წარჩინებულისაჲ, რომელმან ბრწყინვალე ჰყო სჯული ქართველთა და ადიდნა ეკლესიანი ღმრთისანი სკ˜ნს იყავ ხსენებაჲ.

[1] ე. თაყაიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 91.
[2] ვახტანგ გორგასალის ძე დაჩი (491-514 წწ.).
[3] ფარსმან V (528-542 წწ.).
[4] ფარსმან VI (542-557 წწ.).
[5] ადარნასე I (619-639 წწ.).
[6] ბაკური III (557-570 წწ.) – სავარაუდოდ.
[7] არჩილი – გასარკვევია.
[8] ადარნესე – გასარკვევია.
[9] არჩილი II (668-718 წწ.).
[10] ბაგრატ III (975-1014 წწ.).
[11] გიორგი I (1014-1027 წწ.).
[12] დავით კურაპალატი (სავარაუდოდ), გ. 1001 წ.
[13] ბაგრატ IV (1027-1072 წწ.).
[14] გიორგი II (1072-1089 წწ.).
[15] დავით IV აღმაშენებელი (1089-1125 წწ.).

5. დიმიტრისი[1] მართლმადიდებლისა მეფისა, რომელმან მონაზონებისა ღუაწლთა შინა სრ˜ლ (სრულ) ყო საწუთრიო ესე სკნს იყ.

6. დ˜თის[2] მართლმადიდებლისა მეფისა სკ˜ნს ი˜ყ.

7. თამარ თომაჲ დასა დედფ˜ლისა და მ˜ფისა მონაზონებისა ზეშთა განბრწყინვებულისა[3] სკნ იყ˜ვნ.

8. გიორგის (გ˜ის) მართლმადიდებლისა მეფისა[4] პანკრატოვანისა სკ˜ნს.

9. [შ]ვილისა მათისა თამარ მეფისა დედოფლის[5] და თვითმპყრობელისა აბრაჰმისი ყოვლისა აღმოსავლეთისა და საქართველოსა ს˜კნს.

10. ღ˜თივ გვირგვინოსნისა მეფეთ-მეფისა ალექსანდრე, ყოფილისა[6] აბრაჰმისი სკნს იყ˜ნ.

11. ღ˜თავ გვირგვინოსნისა მეფეთ-მეფისა კონსტანტინე ყოფილისა[7] კჳრილესი სკ˜ნს იყ˜ნ.

12. თანამეცხედრისა მათისა დედოფალთ-დედოფლისა თამარ ყოფილისა თეკლასი სკ˜ნ იყვნ[8].

13. ღ˜თავ გვირგვინოსნისა მეფედ-მეფისა დავით ყოფილისა დამიანესი სკ˜ნო იყვ˜ნ ხს˜ნებაჲ[9].

14. გიორგი ყოფილისა[10] გერასიმესი სკ˜ნ იყ˜ვნ ხს.

15. თვითმპყრობელისა ღ˜თივ გვირგვინოსისაჲ მეფეთ-მეფისა – (სახელი) მრავალმცა არიან წელნი სუფევისა მისისანი.

16. ბატონისა ბაგრატისა მრავალმცა არიან წელნი მათნი[11].

1 დემეტრე I (1125-1156 წწ.).

2 დავით V დემეტრეს ძე (1155 წ.).

3 თამარ, დავით აღმაშენებლის ასული, გ. – 1150 წ.

4 გიორგი III (1156-1184 წწ.).

5 მეფე თამარი (1184-1213 წწ.).

6 შეიძლება აქ იგულისხმებოდეს გიორგი VIII-ის ძე ალექსანდრე, კონსტანტინე III-ის ძმა.

7 კონსტანტინე III, რომელიც ბერობაში კირილედ იწოდა.

8 კონსტანტინე III-ის მეუღლე.

9 დავით X.

10 გიორგი IX.

11 ბაგრატ მუხრანბატონი (1512-1539 წწ.).

17. თანამეცხედრისა მათისა დედოფლის ელენესი მრავალმცა არიან წელნი მათნი[1].

18. ძისა მათისა პატრონისა ერეკლესი და არჩილისი[2] მრავალმცა არიან წელნი მათნი.

19. პატრონისა ალექსანდრესი და თანამეცხედრისა მათისა პატრონისა ელენესი და ძეთა მათთ მრავალმცა არიან წელნი მათნი.[3]

შემდეგ „დავითნში“ პატრიარქების მოსახსენებელია მოცემული. ბოლოს კვინკლოსია, სადაც სამი მნიშვნელოვანი ფაქტია აღნიშნული: ოსმალთა მიერ კონსტანტინოპოლის აღება (1457 წ.)[4], 1512 წელს ოსმალთა მიერ ქუთაისისა და გელათის გადაწვა. 1604 წელს იმერეთის მეფის, როსტომის გარდაცვალება. ეს უკანასკნელი ინფორმაცია მთავრდება სიტყვებით: „ვინც შენდობით მოიხსენოთ ღ˜ნ თქ˜ნც მოგიხსენოს“. კვინკლოსის ბოლოს წერია: „ქ˜ე ღ˜ო ადიდე ს˜ლით და ხორცით ორთავე შინა ცხოვრებათა ღ˜თივ გვირგვინოსანი მეფეთმეფე გიორგი: ა˜ნ“[5].

ჩვენ სრულიად გამიზნულად მოვიტანეთ ვრცლად ის მასალა, რომელიც ნიკორწმინდის ტაძარში მოიპოვებოდა. ვფიქრობთ, ის საინტერესოა საზოგადოებისათვის.

დიდი მნიშვნელობა აქვს ნიკორწმინდის იადგარს[6], რომელიც XI საუკუნისაა. იგი 1071-80 წწ-ში უნდა იყოს დაწერილი. იადგარი წარმოადგენს ნიკორწმინდის მონასტრის ანგარიშს მონასტრისათვის მოპოვებული უძრავი და მოძრავი ქონების შესახებ. ივანე ჯავახიშვილი განიხილავს რა ამ საბუთს, ასკვნის: „ყველა გლეხი (რომელიც ნიკორწმინდის საბუთში იხ-

[1] ბაგრატის მეუღლე.


[2] ერეკლე და არჩილი ბაგრატისა და ელენეს შვილები იყვნენ.

[3] სავარაუდოდ, იმერეთის მეფის, ბაგრატ III-ისა და ელენეს შვილი უნდა იყოს.

[4] ოსმალებმა კონსტანტინოპოლი 1453 წელს დაიკავეს.

[5] იმერეთის მეფე გიორგი II.

[6] გამოცემულია თ. ჟორდანიას მიერ 1897 წელს („ქრონიკები“, II); მ. ბერძნიშვილმა ორგზის გამოსცა 1962 წელსა და 1979 წელს. 1970 წელს გამოსცა ისიდორე დოლიძემ.



ნიკორწმინდა. დასავლეთ ფასადის მორთულობა. დეტალი.

სენიება), მამულის სრული პატრონია; ნიკორწმინდის სიგელი გვაძლევს ცნობებს, რომ XI-XII სს-ის რაჭაში აშენებდნენ ქვითკირის მარნებს, ბოსლებს, ფარეხებს; საწნახებს აკეთებდნენ ხისაგან. მუხისგან და ნაძვისგან აშენებდნენ სახლებს, ოდა-საწნახლებს. სცოდნიათ „სახლი" ქვითკირისა და ზედა სახლი მუხისაჲ. სიგელში დაფიქსირებულია ტერმინები: „მიწა", „ყანა", ასევე წონის აღმნიშვნელი „ლიტრა", „კაპიწი", ფულის აღმნიშვნელი: „ვეცხლი", „კონსტანტინატი", „დრამაჲ", „პალურაჲ". ნიკორწმინდის სიგელში მოხსენიებულია სოფლები: ჯვარისა, ნიკოლაოს წმიდა, ზნაკვა, კაჩაეთი, მეტეხარა, ბეთაბრელი, ზახლეული, ხევხმელი, შხრო, შქმერი, ძირაგეული, ხოტევი, აგარა, ხივში, შოშიეთი, ქუმელოანი, თერნეული (თერნეულისთავი?), სახიდი, ველიშეული, ცხილათი, საწირე, მუხურა.[1] ამ სოფლებიდან ბევრი დღესაც არსებობს.

[1] იხ. მ. ბერძნიშვილი, XI საუკუნის ქართული საისტორიო წყაროები საქართველოს შესახებ – ნიკორწმინდის დაწერილი, თბ., 1979.

შემდგომ იდენტიფიცირებას საჭიროებს სოფლები: მეტეხარა, ბეთაბრელი, ზახლეული, ქუმელოანი და თერნეული (თერნეულისთავი). სიგელში დამოწმებულია ოკრიბის სოფლები: სანირე და მუხურა.

რაჭის საერისთავოს გაუქმების შემდეგ ნიკორწმინდის ეკლესიის ფუნქციები შესუსტდა. 1534 წელს იმერეთის მეფემ ბაგრატ III-მ ნიკორწმინდის საეპისკოპოსო კათედრა განაახლა. ნიკორწმინდელი ეპისკოპოსი დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) კათოლიკოსს დაექვემდებარა. თ. ჟორდანიას მოჰყავს ნიკორწმინდის სიგელის მეორე პირზე ხუცურად (XVI ს-ის ლამაზი ხელით) წარწერილი: „ღვთივ გვირგვინოსანმან მეფემან ბაგრატ განაახლა და კ˜დ აღაშენა ეკლესია წმიდისა მღვდელთ-მოძღვრისა ნ˜კოლოზისა მისდა სადღეგრძელად და გასამარჯვებლად და საუკუნოდ საცხოვრებლად რამეთუ მრავალნი ძალნი და სასწაულნი იხილნა - - გნ (?) ძილსა შინა და ცხადად - - - ხმელთა და წყალთა ძლევით - - - შეწევნა და წარმატება იგულისმოდგინა თვითმპყრობელმან მეფემან და უძლეველმან ხელმწიფემან. შექმნა მონასტერი ესე ეკლესიად და დამადგინა მე გამგედ და ეპისკოპოსად უღირსი და ცოდვილი მღვდელმთავარი მანუელ და განუჩინეს რაჭის შესავალი და სასჯულო და საკურთხი ადგილნი - - თავის სამართლიანის მზღვრითა - - სავანე და სანადირო და ათის თავზე"[1].

მეტად მნიშვნელოვანია იმერეთის მეფის, ბაგრატ III-ის სიგელი (ნაპოვნია ნიკორწმინდის გუჯრებში): „ჩ˜ნ მეფეთ-მეფემან ბაგრატ და თანამეცხედრემან ჩ˜ნმან დედოფალთდედოფალმა ელენე ... ხელვყავით აღშენებად დაკნინებულსა მონასტრისა ნიკოლოზ - წ˜ისა და შევქმენ საყდრად და საეპისკოპოსად და დავადგინე მანოელ..."[2]. შემდეგ ბაგრატი მიმართავს წმიდა გიორგის: „თ˜ქნ წ˜ო გ˜ი მთისა მთავარმონამეო! როგორითაც დავით აღმაშენებლისა და ძისა მისის დიმიტრისგან შემოწირული ყოფილიყო, ჩ˜ნ ... (მეფე


თ. ჟორდანია, ქრონიკები, II, გვ. 49.
იქვე, გვ. 379.

ბაგრატ, ელენემ და ძეთა მისთა ... გ˜ი და ალექსანდრემ) ... ხელვყავით ახლად აშენებად და შემკობად ტაძრისა შენისა და გარდავაჭედინეთ ზეით ტყვიით და სპილენძითა და მოვაჭედინეთ ხატნი წ˜ის გიორგისნი და სხვანი ბნელნი ხატნი განვაახლეთ და შევკაზმეთ; კარნი ავაბენ და მოუჭედენ და კლიტენი მოვუწყვენ და გავამაგრენ, და ახლად დავუმტკიცე და შემოვწირენ მამულნი და გლეხნი ... (ჩამოთვლილია)"[1]. ამასთან, მეფე საეპისკოპოსოს უმტკიცებს: „დვალეთის მთას, ღებს, გლოლას, სრულიად რაჭას ასკისწყლის გამოღმა. საეკლესიო მამულების მთელი შემოსავალი ნიკორწმინდელ მღვდელმთავარს ებარებოდა". ის, რომ სოფ. გლოლას ქვემოთ რაჭა ნიკორწმინდის საეპისკოპოში შედიოდა, ვახუშტი ბატონიშვილიც საგანგებოდ აღნიშნავს: „არს ნიკოლა წმინდა, ეკლესია გუნბათიანი, კეთილ-დიდშენი. ზის ეპისკოპოზი, მწყემსი გლოლასქუეითი რაჭისა"[2]. საეპისკოპოსოს სამწყსოს გარეთაც ჰქონდა შეწირული სოფლები (მაგ., არგვეთში სოფელი რცხილიანი სამი მოსახლით: გაბისაძეებით, ჩაფიძეებით და გამეზარდაშვილებით).

როგორც ჩანს, ნიკორწმინდის საეპისკოპოსო ყმა-მამულით მდიდარია. ცხადია, იმერეთის მეფის ბაგრატ III-ის კეთილი დამოკიდებულება ეკლესიას აიძულებდა, რომ კადნიერად მოქცეულიყო და ეზრუნა მისი ხელისუფლების განმტკიცებისათვის. როგორც ცნობილია, 1810 წელს უხეში ჩარევით საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია გააუქმეს და რუსული საეგზარქოსო შეიქმნა. დასავლეთ საქართველოს (იმერეთის) საკათალიკოსომ არსებობა შეწყვიტა, შესაბამისად მის შემადგენლობაში შემავალმა საეპისკოპოსოებმაც. ამ უკანასკნელებმა შექმნეს იმერეთის სინოდალური კანტორა და იქ გაერთიანდნენ. ნიკორწმინდის უკანასკნელ ეპისკოპოსად გამოარჩიეს

[1] თ. ჟორდანია, ქრონიკები, II, გვ. 379-380.

[2] ბატონიშვილი ვახუშტი, დასახ. ნაშრ., გვ. 764.



ნიკორწმინდა. სამხრეთ ფასადის მორთულობა. დეტალი.

რუსეთის ხელისუფლებისადმი ლოიალობით ცნობილი სოფრონ წულუკიძე.

მთა რაჭის სოფლების შესახებ საგულისხმო ცნობებს გვაწვდის ე. წ. „წიგნი სასისხლო საქმისა ბარს ზემო სვანეთსა და თავად ჯაფარიძეთა შორის“[1]. დოკუმენტი, მეცნიერთა აზრით, 1433 წელს უნდა იყოს გამოცემული[2]. „წიგნში“ გადმოცემულია ერთი შინა ომის ისტორია, რომელიც დასრულდა ალექსანდრე I-ის (1412-1442 წწ.) გადაწყვეტილებით – სვანეთს ჩამოართვა მთის სოფლების ერთი ნაწილი და რაჭის საერისთავოს გადასცა. საბუთი ბევრ საინტერესო ცნობას გვაძლევს მთა რაჭის სოფლების შესახებ.

[1] დოკუმენტი გამოაქვეყნა მარი ბროსემ პარიზში, 1838 წელს. 1866 წელს ჟურნალ „ცისკარში“ ქართული ორიგინალი დაიბეჭდა. შემდეგ რამდენჯერმე გამოიცა. იხ. პ. ინგოროყვა, სვანეთის საისტორიო ძეგლები, თბ., 1941. თ. ბერაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 54-55.

მთა რაჭის გამორჩეული სოფელია ღები. ვახუშტი ბატონიშვილი აღნიშნავს: „ონის სამხრით არს ჭიორა, დაბა მოზღუდვილი და კოშკოვანი, გოდოლოვანი. ამას ზეით, ჩრდილოთ კერძოთ, დაბა არს ღები, ეგრეთვე ნაშენი. ხოლო ჭიდროთას ზეით, ეს ადგილნი, რომელნი დავსწერეთ არიან ვითარცა სხვა მთის ადგილნი, მოსაელით, ნაყოფით, პირუტყვით, მაგარი, ვიწრო და შეუვალი მტერთაგან"[1].


ღები[2] მდინარე რიონის ორივე ნაპირზეა გაშენებული. მარჯვენა ნაპირზე ე. წ. პატარა ღებია (გორმანი), მარცხენა ნაპირზე კი ე. წ. ზედაქალაქი. ამ ორ უბანს ერთმანეთთან ხიდი აკავშირებს (ძველი ტრადიციით ქალაქის ხიდს ეძახიან). ღებისადმი უცხოელთა ინტერესი დიდი იყო. იგი აღწერეს პრასკოვია უვაროვამ, მარი ბროსემ და დიუბუა დე მონპერემ. XV საუკუნეში ღების ერთ უბანში (ზედაქალაქი) ასი კომლი სახლობდა, მეორე უბანში, საკუთრივ ღებში – სამოცდათორმეტი კომლი. აქ ცხოვრობდა ორი აზნაური გიგიშვილი თავისი ციხით. ეს ციხე მოხსენიებულია ჯაფარიძეების სიგელში. პ. უვაროვას აღუწერია ზედაქალაქის „კარგი, საბატიო გუმბათიანი საყდარი ჯვარცმისა საეფისკოზო მისით მოთვალმარგალიტურით ომფორითა შემკობილი". XV საუკუნის შემდეგ ეს ეკლესია მაცხოვრის სახელს დაუკავშირდა.

1920 წელს ღები საგანგებოდ მოინახულა ექვთიმე თაყაიშვილმა. წინა, 1919 წელს რაჭის სხვა დასახლებული პუნქტები (ნიკორწმინდა, ჭელიში, აგარა, ხოტევი, ამბროლაური, სორი და სხვ.) ჰქონდა შესნაელილი. მეცნიერი გულისტკივილით აღნიშნავდა, რომ „ღების ეკლესიაში მრავალი ხატი და ჯვარი იყო წინეთ. ეხლა ზოგი დაკარგული, ზოგი გაფუჭე-

[1] ბატონიშვილი ვახუშტი, დასახ. ნაშრ., გვ. 768-769.

[2] არასწორია გადმოცემა, რომლის მიხედვითაც სოფელს ლეჩხუმიდან გამოქცეული და აქ დასახლებული მღებავის (რომელიც ამ საქმიანობას ახალ საცხოვრისშიც ეწეოდა) გამო (მღებავი – ღები) დარქმევია სახელი. ალბათ უფრო სწორია, რომ ტერმინი „ღები" სვანური ნარმომავლობისაა.

სოფელი ღები (XIX ს.).
ვიტორიო სელას ფოტო.



ბულია. სულ მოუპარავთ დიდი პლატინის ჯვარი და ზოგი სხვა ოქროს ნივთები, მრავალ ხელნაწერებიდან, რომელიც აქ ბროსეს დროს იყო, მარტო ორი დაგვხვდა და იგიც სულ დამპალი"[1]. ექვთიმე თაყაიშვილმა ყურადღება მიაქცია, რომ ღების ხატების უმრავლესობა ს. შოდიდან იყო გადმოტანილი. ამასთან, ხატები XII-XIII სს-სა იყო. მეცნიერმა ყურადღე-

[1] ე. თაყაიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 6.

ბა გაამახვილა მთავარანგელოზთა ხატებზე. ერთი მათგანი – გაბრიელ მთავარანგელოზის ხატი (ხეზე შესრულებული, ვერცხლით მოჭედილი) გამოირჩევა წარწერით: „[ქ. ზეცისა] ძალთა უხთრელთა შორის თავო გაბრიელ, მეოხ ექმენ წინაშე ღმრთისა მიქელს და ფურთუხს და იოანეს გარაყანიძეთა და შვი[ლთა მათ]თა დღესა მას განკითხვისას“.

ამავე ზომისაა მეორე ხატი მიქელ მთავარანგელოზისა (ხეზე შესრულებული, ვერცხლით მოჩუქურთმებული), სადაც ვკითხულობთ: „ქ. წმიდაო მთავარანგელოზო მიქელ, მეოხ ექმენ წინაშე შენ ქრისტეს ნაზარეველისა გარაყანიძესა მიქელს და ფურთუხს და იოვანეს და ძეთა მათთა დღეთა მას განვითარვისას, რომელთა შეამკობინეს ხატი ესე“.

ზემოთაც აღვნიშნეთ, რომ გარაყანიძეთა გვარი რაჭის ზეპური საზოგადოებიდან გამორჩეული და ცნობილია.

ღებშივეა მხედრულწარწერიანი (XIX ს.) ვერცხლის ბარძიმი, სადაც აღნიშნულია: „ქ. მაცხოვარო. მხსნელო: ღების. ეკლესიისა. შინა. განსნ˜ებლო. შეინირე. მონისა. წერეთლის გრიგოლისაგან. ბარძიმი ფეშხუმი კოვზი და კამარა ესე ვეცხლისა და მიაგე საუკუნო ოხა ცოდვილსა: წელთა: ჩყიგ (1813)“[1]. ოქროს ჯვარზე ყოფილა ასეთი წარწერა (გადმოღებულია მ. ბროსეს მიერ): „ლტოერაეძესა ივანეს შეუნდვნეს ღმერთმან“. ქვემოთ – „ქრისტე ღმერთო მეოხ და მფარველ ექმენ სულსა შერთელაძისა ღილაჲს“.[2]

შუა საუკუნეების ღების მდგომარეობა (ისტორია) სხვადასხვა ლეგენდა-თქმულებაშია გადმოცემული. ერთი მათგანი გვაცნობებს, რომ ღებში, მდინარე რიონის მარჯვენა ნაპირზე ციხე-კოშკში სამი ძმა აზნაური არეშიძე ცხოვრობდა. რიონის მარცხენა ნაპირზე მონასტერიც იყო. ძმები არეშიძეები ღების ფაქტობრივი ბატონ-პატრონები იყვნენ. ისინი, როგოც ჩანს, ღებელებს ავიწროებდნენ. ამან შეთქ-

[1] ე. თაყაიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 19.

[2] იქვე.

მულება გამოიწვია. შეთქმულებას სათავეში ზვიად ლობჟანიძე ჩაუდგა. მოისყიდეს არეშიძეთა მოურავი გაგაშვილი, მათი სანდო პირი გოგრიჭა გოგრიჭიანი და ერთი დედაბერი. გაგაშვილისთვის ფული გადაუხდიათ, გოგრიჭიანისთვის ტყის ნაკვეთი მიუციათ, მოხუცისთვის კი გარდაცვალების შემდეგ აღაპის გადახდა აღუთქვამთ.

შეთქმულები ჩაუსაფრდნენ სანადიროდ მიმავალ ორ ძმას და სიცოცხლეს გამოასალმეს. მესამე არეშიძეს, ჭიორის ჭალაში მყოფს, მდ. რიონის მარჯვენა ნაპირიდან ჭიორაში გადაყვანა სთხოვა მოხუცებულმა ქალმა. ჭიორაში მიმავალ არეშიძეს უარი არ უთქვამს, ცხენზე უკან შემოუსვამს და მდინარეში შესულა. ქალი შემოხვევია და შუა მდინარეში გადავარდნილა, არეშიძეც თან გადაუყოლებია. ცხადია, ორივენი დამხრჩვალან.[1] ეს, რა თქმა უნდა, ლეგენდაა, მაგრამ მასში ადამიანებმა რეალური ვითარება გადმოსცეს.

„წიგნი სასისხლო საქმისა ბალს ზემო სვანეთისა და თავად ჯაფარიძეთა შორის“ გამოძახილია ე. წ. სრულიად სვანეთის ხევის ამბოხებისა სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ. აჯანყებულთა დაშოშმინება რაჭისა და ლეჩხუმის ფეოდალებს დაევალათ. ამ დროს რაჭაში დაწინაურებულნი იყვნენ ჯაფარიძეები. სწორედ ორი ჯაფარიძე შემოაკვდათ ამ ბრძოლაში, რის შემდეგ ეს მძიმე ინციდენტი სრულიად სვანეთის ხევისა და ჯაფარიძეთა სასისხლო საქმედ იქცა. სვანებმა ჯაფარიძეთა სისხლის სანაცვლოდ დათმეს მთის სოფლები.

ხალხური გადმოცემები მოგვითხრობს სხვა ბრძოლებზეც, რომლებიც ღებელებს ჰქონდათ ჩრდილოელ თავდამსხმელებთან (ბალყარელები, დიგორელები) და იძულებულს ხდიდათ, სხვა სოფლებთან გაერთიანებულიყვნენ და ერთობლივ ეზრუნათ თავდაც-

[1] თავგანწირულ მოხუცს ღებელები დღესაც პატივს მიაგებენ და თავის მიცვალებულთან ერთად მოიხსენიებენ საეკლესიო რიტუალების შესრულების დროს.

ვისთვის. ზოგჯერ სხვა კუთხეებში გადადიოდნენ საცხოვრებლად. ზოგიერთი ცნობით, ლაშხეთელი გაგნიძეები ხიდურიდან გადმოსულად ითვლებოდნენ. ამბროლაურში მათ ხიდურელის გვარი მიიღეს, ონში (საჯანის ეკლესიის მღვდლები) ნანუკაშვილები გახდნენ. შოდიდან გადავიდნენ მოხაშვილები, ჩვეშოდან – ლობჟანიძეები.

სოფლის უმნიშვნელოვანესი ელემენტი იყო ე. წ. დუროიანი სახლი.[1] ეს სახლი, თავის მხრივ, გარკვეული სიმაგრე იყო. რას წარმოადგენდა იგი? დუროიანი სახლი ოთხი სართულისგან შედგებოდა. პირველ სართულზე პირუტყვის სათავსი (ბოსელი) იყო. მეორე სართული საცხოვრებელი იყო. მესამე სართული სამარქაფო დანიშნულებისა იყო, მეოთხე სართულს ოთხივე მხარეს ოთხივე მხრიდან დატანებული ჰქონდა ოთხ-ოთხი თაღიანი და ჭუჭრუტიანი დურო. ეს დურო ადრე საისრე დანიშნულებას ასრულებდა, შემდეგ კი სათოფურად გადაკეთდა. ერთი სიტყვით, დუროიანი სახლი მტრის შემოსევის დროს უაღრესად მნიშვნელოვან როლს ასრულებდა – იგი ფაქტობრივი ციხესიმაგრე იყო.

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, მთა რაჭის მოსახლეობას სვანები მტრობდნენ. ისინი ხშირად ეცემოდნენ თავს ღებს, აწიოკებდნენ მოსახლეობას და ალაფიც მიჰქონდათ. ტრადიციამ შემოინახა სვანი ყაჩაღის ჯამათას სახელი, რომელიც თავისი თანამზრახველებით უსაფრდებოდა ჩრდილოეთში – ბალყარეთში სავაჭროდ მიმავალ რაჭველებს და ძარცვავდა. ლეგენდა გადმოგვცემს, რომ სანადიროდ წასულა ღებელი ნინია ღაღაშვილი, რომელსაც შეუმჩნევია ჩასაფრებული ჯამათა თავის რაზმთან ერთად და სწრაფად უცნობებია ღებელებისათვის. ლექსად დაწერილ გადმოცემაში შექებულია ნინია ღაღაშვილი: „ეს ღაღაშვილი ნინიაც რა კაი ბიჭი თქვესაო". ჯამათა ღების მტრად და ბოროტ ყაჩაღად არის ნარმოდგენილი, რომელსაც კარდაკარ დაუელია უშგულელებსა

[1] ს. მაკალათია, მთის რაჭა, თბ., 1987, გვ. 54-55.

და ხალდეშლებთან, ღებელებს დავუხვდეთ და დიდ მონაგარს ვიშოვითო. ასე შეუყრია ჯამათას სვანები. ნინია ღაღაშვილისგან გაფრთხილებული რაჭველებიც მზად დახვდნენ. ამ უკანასკნელებმა ფუნქციები გაინაწილეს და ეკვეთნენ მომხდურებს. ლეგენდა-ლექსი გადმოგვცემს: „პაიჭაშვილი ოთუკა იმედსა აძლევს ბევრსაო... თამაზიკეანთ დევლეთა, ვერცხლის თოფს უსვამს ხელსაო, თუ ჯამათა დავინახე მე მოვუსისხლავ გვერდსაო, ე ჯაგოშვილი გოგია კბილითა ჰყრიდა ცეცხლსაო,... შალიკიანთი თვალია არყებს ევლება წვერსაო, ე გამყრელიძე ედუკა ეფარებოდა ქვებსაო. შახუნაშვილი ქუჩუკა გვერდზე უქნევს ყე ხელსაო, ყაწილაშვილი ტატუა გვიან მიადგამ ფეხსაო, კამეჩიშვილი პაჩელა ოთხს ერთად დააწვენსაო, ქეხსურაშვილი ბერუკა ტყვეებს შეუკრავს ხელსაო, თავგადაქაჩულ ჯამათას შიშისგან სული ძვრებაო, შეურცხვა მონიფულობა, ბაძგებში უკუ ძვრებაო.

სოფელი ღები (XIX ს.). ვიტორიო სელას ფოტო.





ონი. რაჭული სახლი.

ჯამათა გახტა ფარშია, ფერდში ფინდიხი
ხვდებაო,
სისხლი გადადის ღვარითა, სვანი ჯამათა
კვდებაო".

ლეგენდა-ლექსი ღებელების ამ გადამჭრელ მოქმედებასაც ასაბუთებს:

„ეს იმიტომ ჯამათაო, არ გაგვიშვი მგზავრათაო,
წაგვართმევდი ჩოხა-ნაბადს, დაგვაგდებდი
ვალადაო".[1]

[1] ჯამათას ლექსი პოპულარულია მთა რაჭაში და დღესაც ზეპირად იციან (განსაკუთრებით ასაკოვანებმა).

ღებელების თავგამოდებული ბრძოლის შესახებ მომხდურებთან (განსაკუთრებით დიგორელ ოსებთან) სხვაც არის ლეგენდები. ფაქტი ერთია, რომ ეს დიდი სოფელი მედგრად იდგა და მტერს არ ახარებდა.

საერთოდ, ღები ტრადიციულად რაჭის მძლავრი სოფელია და დღესაც ინარჩუნებს თავის თვითმყოფადობას და სიძლიერეს.

* * *

XV საუკუნის მიწურულს წულუკიძეთა ფეოდალური სახლი დაწინაურდა. წულუკიძეებმა მოახერხეს გარაყანიძეების, ინასარიძეების და ლაშხიშვილების ყმა-მამულის დაპატრონება. ეს სამივე საგვარეულო იძულებული გახდა ქვემო რაჭა დაეტოვებინა. აქედან ლაშხიშვილები და ინასარიძეები ლეჩხუმში გადავიდნენ. გარაყანიძეებისთვის ტრაგიკული აღმოჩნდა ის გარემოება, რომ 1590 წელს იმერეთის მეფე ლევანმა (1585-1590 წწ.) ეს გვარი საეკლესიო აზნაურობამდე ჩამოამცრო. მეფემ ნიკორწმინდის ეკლესიას უბოძა „ესტატე გარაყანიძის შვილები მისითა მამულითა: ესენი მკვიდრად და სამამულოდ." დამცირებულმა გარაყანიძეებმა იმერეთის მეფის ქვეშევრდომობა მიატოვეს და ქართლში გადავიდნენ.

1451 წელს საქართველოს მეფემ გიორგი VIII-მ (1446-1466 წწ.) ვირშელ წულუკიძეს და მის შვილებს: ვლადემურს, სალუზაყანს, ბევროს, ბეჟანსა და სიაოშს სოფელი იწა უბოძა. შემდეგ პერიოდში წულუკიძეები რაჭაში კიდევ რამდენიმე სოფელს დაეუფლნენ, იმერეთშიც მიიღეს ყმა-მამული. წულუკიძეები დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფეოდალურ საგვარეულოდ გადაიქცნენ. საგვარეულო წარმატებული ჩანს XVII საუკუნის მეორე ნახევარში, მერაბ წულუკიძის თავკაცობის დროს. მერაბ წულუკიძე მნიშვნელოვან აღმშენებლობით საქმიანობას ეწეოდა. მას აუგია თლულის წმიდა გიორგის ეკლესია. ეკლესიის შიდა კედელზე იყო ფრესკა, რომელზეც გამოსახულნი იყვნენ თვით მერაბ წულუკიძე და მისი თანამეცხედრე ანიკა ჩიჯავაძე (ხელში

ეკლესიის მაკეტი ეჭირათ). აქვე იყო გამოსახული მათი შვილი გიორგიც თანამეცხედრესთან ნესტანდარეჯან ჩიქოვანთან ერთად. მერაბ წულუკიძესვე აუშენებია ხოტევში ეკლესია 1676 წელს (დაუნგრევიათ 1924 წელს). აქ გ. ბოჭორიძემ იპოვა სამხრეთის კარის წარწერიანი ქვა: „ქ. ... სამებით ქადაგებულო მიუწდომელო და გარეშემოუწერელო სიტყვაო და ძალო და თანაარსო მამისა და სულისა წმიდისაო, მაცხოვარო პირო ღმთისაო რათა ვიგულეთ და აღვაშენეთ ეკლესია ეს შენი ჩვენ წულუკიძემ მერაბ და თანამეცხედრემ ჩვენმა ჩიჯავაძის ქალმა სახსრადა და საოხად სულისა ჩვენისათვის და ძეთა ჩვენთა. გიორგის და ქაიხოსროს წასამართებლათ აღვაშენეთ და დავახატვინეთ და შევამკეთ ხატითა და ჯვარითა და წიგნითა მაცხოვარო ხოტევისაო ტაძარი შენი და შეიწირე ჩემის ცოდვილის სულის შესანდობლად კნინი და მცირე შესაწირავი ესა ვინცა შენდობა გვიბრძნოთ, ღმერთმან თქვენც შეგინდოს თქვენი ცოდვანი...[1]

ხოტევის ეკლესიის სამხრეთის კარის წარწერა სამ ქვაზე იყო მოთავსებული. წარწერა მხედრულითაა, გალექსილი თექვსმეტი სტრიქონია:

„ქ. ჰე, მაცხოვარო, გვერდი ვარ მე, მერაბ შენის დიდებით,

ჩვენ გვართა ჰქონდათ ეს რაჭა მრავალი კიდის კიდებით;

მეცა შევმატე მრავალი არც მტერთა გარდაკიდებით,

და აწ ნახე რა ვქენ ყმაწვილმან სოფლისა ანზიდაებით.

ქ. პირველ ოდიშსა დავიპყარ მამული მეტად ბევრია.

მერმე, აქ ჩემი სამკვიდრო, ყოვლგან მოვშალე მტერია;

იწროთას აქათ ხონამდის და ხონიც შიგან ერია,

და აწ ნახეთ ესე სოფელი, როგორი ბინდისფერია,

[1] გ. ბოჭორიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 143.

ქ. მე დადიანმა გამზარდა ლევან ღვთივ დოვლათიანმან,
სრულ მას მონებდა ქვეყანა, დაიპყრო მრავალყმიანმან,
სწორ უპოვნელმან ხმელეთზე, მან ჭკვიანმან და ხრმლიანმან,
და ნახეთ რა უყო სოფელმან, ამ მუხანათმან ზიანმან.
ქ. შვილურად მზრდიდა, მასწავლა ზნეობა, ყოვლი წესები,
ნახეთ სოფლისა სიცრუე, სიზმარ ყოფილი ესები;
არ მიაჩნია წყეულსა უარეს უკეთესები,
და არავის გაუთავდების, წავალთ გლახ დანაკვნესები." [1]

მეტად საინტერესოა ხოტევის ეკლესიაში ვერცხლის ერთ ჭურჭელზე მერაბ წულუკიძის წარწერა, რასაც უთუოდ ისტორიული მნიშვნელობაცა აქვს აქ მოტანილი ფაქტების გამო. კერძოდ, მერაბ წულუკიძე აღნიშნავს, რომ „მე დამიჭირეს მერაბს ჯინჭროლისა და იწროთა შუა, გაღმა ჭრებალო და ზოგიში, მის გარდაღმა ოკრიბა და ტყილბური, და ძმა ნიკორწმინდელად დამისვამს, და მეორე ძმა კიდევ ხობს ხოფელად დამისვამს ნასუჯუნევს ხორგას, სასახლე მისი შემავლის კაციანად და ხონი კიდე სულათა... ნიკორწმინდის ეს სასაფლაო ამიშენებია და ჩემს ამბავს ვინც ნაიკითხავს იმაზე დამინერია და იქ შეიტყობს. სხვა სამ წელიწადს ვიყავი ოდიშს, გურიას და იმერეთს. სამი ბატონი ხელმწიფე გადამეკიდა, ღვთით ვერა მაწყინა რა... ვინც შენდობა ბრძანოს, თქვენცა შეგინდოს ღმერთმა".

გიორგი VIII-მ 1463 წელს ერთგული და თავდადებული სამსახურისათვის ორალელის-ძე–კვიტაშვილის შვილებს: მღვდელმონაზონ იოანეს, თაყას, გიორგის, ასათს, სულას და საგინას „სრული სისხლი ოთხასი ათასი ძველი ცხუმური" დაუწესა.[2] კვიტაშვილები

[1] გ. ბოჭორიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 145.
[2] იქვე, გვ. 151.

მოიხსენიებიან ბეთლევის ეკლესიის წარწერებშიც. აქაა „ქართლისა მთავარეპისკოპოსი და ია წელიწადსა ელუსარემის (იერუსალიმის – რ. მ.) ჯვარის მამა კვიტაშვილი იოანე", ზაქარია კვიტაშვილი, თაყა და უთრუთ კვიტაშვილები. ღვთისმშობლის ხატის წარწერაში: „წ. ყოვლად წმიდაო ღვთისმშობელო, სასოებით მოსავსა შენსა ზაქარიას კვიტაშვილსა მეოხ მეყავ დღეს მას განკითხვისას".[1]

წულუკიძეების სათავადომ საკმაოდ დიდი ტერიტორია დაიკავა. მათი სტრატეგიული ციხესიმაგრე ხოტევის ციხე იყო. მდინარე კრიხულასა და ხოტევის წყლის შესართავს ზემოთ, „ხოტევის წყლის აღმოსავლეთით კიდესა, მაღალს გორას კლდესა ზედა არს ციხე კვიტაშვილისა,[2] ფრიად მაგარი. ამ ციხეს ზეით, ხოტევის წყლის დასავლით, არს ხოტევი[3] და ციხე მისი დიდი, დიდ-შენი.[4]

წულუკიძეებს ხოტევის ციხის გარდა ზნაკვის ციხეც ჰქონდათ („ზნაკვის არს ციხე შენი და მაგარი" – ბატონიშვილი ვახუშტი). იგი სოფელ ზნაკვიდან ორიოდე კილომეტრითაა დაშორებული. ზნაკვის ციხეს სამი კოშკი აქვს. ზოგიერთ კოშკს შემორჩენილი აქვს ე.წ. „დუროები" (სათოფეები). მდ. ზნაკვურას მარჯვენა ნაპირზე ე. წ. ნააგარევში ადრე ყოფილა წულუკიძეთა სასახლე ეკლესიითურთ.

ცალკე უნდა აღვნიშნოთ, რომ წულუკიძეების საზაფხულო რეზიდენცია იყო სოფელ კაჩაეთში (ნიკორწმინდიდან ორი კილომეტრის დაშორებით). აქ ულამაზეს ფიჭვნარში სოფლის თავზე იდგა მათი სასახლე. ამ ადგილს მოსახლეობა დღემდე „წულუკიძეებს" ეძახის.

[1] ე. თაყაიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 114.

[2] ბატონიშვილი ვახუშტი, დასახ. ნაშრ., გვ. 764.

[3] არსებობს გადმოცემა, რომ ხოტევის ციხეში დაბანაკებულ ლაშქარს მიმართა თავადმა: „ხომ ეტევით (ხომ ტევიხართ) ამ ციხეშიო და სახელწოდებაც აქედან მიიღო. ეს რეალობას არ შეეფერება. ხოტევი ისტორიულ წყაროებში XI საუკუნიდანაა ცნობილი.

[4] ბატონიშვილი ვახუშტი, დასახ. ნაშრ., იქვე.

* * *

XVII საუკუნის მეორე ნახევრამდე რაჭის ძლიერ ფეოდალურ სახლს ჯაფარიძეები წარმოადგენდნენ. ლომკაც ჯაფარიძე იმერეთის მეფის მოლარეთუხუცესი იყო. მან მნიშვნელოვანი როლი შეასრულა სახელმწიფო სტოლნიკის ნიკიფორე ტოლოჩანოვისა და დიაკი ალექსი იევლევის ელჩობის დროს. 1651 წელს რუსი ელჩები სტუმრად ეწვიენენ ლომკაც ჯაფარიძესა და ორი ღამე მასთან გაათენეს, როგორც თავად აღნიშნავენ, სოფელ მაცხოვარში (გ. ბოჭორიძემ დაადგინა, რომ ესაა სოფ. ბარი).

ლომკაც ჯაფარიძის ძმა სიმონი ნიკორწმინდის ეპისკოპოსი იყო. ქვემო ბარში არის ერთნავიანი მაცხოვრის სახელობის ეკლესია. თავის დროზე შიგნიდან ფრესკებით ყოფილა შემკული. სამხრეთით და ჩრდილოეთით საგვარეულო აკლდამები ჰქონდა მიდგმული, სადაც იკრძალებოდნენ ჯაფარიძეები. საერთოდ, სოფ. ბარში დაფიქსირებულია ხუთი ეკლესია: სამი – ქვემო ბარს. ერთი, მაცხოვრის სახელობისა, უკვე მოვიხსენიეთ, მეორე – ახალი ეკლესია მცხეთისა და მესამე ღვთისმშობლის სახელობისა. ორი ეკლესია ზემო ბარშია. ესენია ძველი ჭბოს (ადგილის სახელი) მთავარანგელოზისა და ახალი მთავარანგელოზისა.[1]

ქვემო ბარის მაცხოვრის ეკლესიაში არსებულ კიდობანში ხელნაწერები იყო დაუნჯებული. აქ ინახებოდა სამხრეთ საქართველოდან გადმოტანილი ოთხთავი, რომელიც გურგენ ერისთავის დედის, ლატავრას დავალებით იყო გადაწერილი (1013 წ.). აქვე იყო სხვადასხვა ხატები. ზოგიერთ მათგანს წარწერები ჰქონდა.

XVII ს-ის 60-იანი წლებიდან ჯაფარიძეთა საგვარეულო ცალკეულ სახლებად დაიყო. ამან ხელი შეუწყო მათ დასუსტებას. ამასთან, ჯოგურთი ჯაფარიძე აზნაურობამდე დაქვეითდა. გააზნაურდნენ სოფ. ღარში მცხოვრები ჯაფარიძეები. აღსანიშნავია, რომ სოფელში დგას მთავარანგელოზის სახელობის დარ-

[1] გ. ბოჭორიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 192-193.

ბაზული ეკლესია, რომელიც ღარელი ჯაფარიძეების კარის ეკლესია იყო. იქვე იდგა მათი ციხესიმაგრეც.

ხაზგასასმელია, რომ სოფ. ლაგვანთაში მცხოვრები ჯაფარიძეები თავადები იყვნენ. მდ. საკაურას მარცხენა ნაპირზე მათი კარის ეკლესია იდგა. საერთოდ, ჯაფარიძეები რაჭის სხვადასხვა სოფელში (ხირხონისი, აბარი, შარდომეთი და სხვ.) გვხვდებიან. მათ, მიუხედავად ვითარების ცვალებადობისა, შეინარჩუნეს თავისი მაღალი ავტორიტეტი. XIX ს-ის მეორე ნახევარში ცნობილია რაჭის თავადაზნაურთა საზოგადოების წინამძღოლი (მარშალი) სიმონ ჯაფარიძე[1], რომელსაც დიდ სიმონსაც უწოდებდნენ.

რაჭის თავადების მდგომარეობა განსაკუთრებით დამძიმდა როსტომ რაჭის ერისთავის დროს, XVIII საუკუნის მეორე ნახევარში. მან ძალზე შეავიწროვა ადგილობრივი თავადები, დაიწყო მათი ყმა-მამულის მითვისება და ნელ-ნელა რაჭიდანაც ამოუკვეთა ფეხი. როსტომ ერისთავმა რაჭიდან გააძევა ჯაფარიძეები, წულუკიძეები და იაშვილები.[2] ზემოთ უკვე

[1] ცნობილი ქართველი ისტორიკოსის აკადემიკოს ოთარ ჯაფარიძის პაპა.

[2] იაშვილები რაჭაში XV საუკუნიდან ჩანან. არ უნდა იყოს სწორი გადმოცემა მათი ჩერქეზეთიდან გადმოსულობისა და გობეჯიშვილებთან და ქასრაძეებთან მათი ნათესაობის შესახებ. იაშვილების სათავადოში შედიოდა სოფლები: კლდისუბანი, სადმელი, ბოსტანა, ღვიარა, ზოგჯერ სოფ. კრიხიც. ჰქონდათ ორი რეზიდენცია. ერთი – სოფ. ღვიარაში, მეორე – კლდისუბანში. კლდისუბნის ჩრდილოეთით იყო ციხე და ციხის ეკლესია. გადმოცემით, ამ ეკლესიაში ღვთისმშობლის ხატი ინახებოდა. იაშვილთა ეკლესია კლდისუბნის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია (X ს.) იყო. ეკლესიის სიძველეებიდან აღსანიშნავია ფიცარზე შესრულებული ჩვილედი ღვთისმშობლის ხატი, შეჭედილი ვერცხლით, რომელიც დაფერილია ოქროს წყალში და შემკულია 21 თვლით და მარგალიტისა და სადაფის მძივებით. აშიებზე წარწერაა: „ქნ. ესე ყოვლდწმიდის ხატი მოვჭედე მე, ჯავახ, თანმეცხედრემა ჩემმა ასთანდარ, საოხად და სახსრად სულისა ჩვენისა". ჯავახ იაშვილი გვარისათვის საფუძვლის დამდების, იას უფროსი ვაჟი უნდა იყოს.

აღვნიშნეთ იმ ტრაგედიის შესახებ, რომელიც როსტომ ერისთავმა ჯაფარ ჯაფარიძის მიმართ დაატრიალა (თვალები დასთხარა მას). როსტომი ერთხანს რაჭის ფაქტობრივი მფლობელი გახდა. მან გაამაგრა და კეთილმოაწყო მთავარი რეზიდენცია – წესი; გაამაგრა ხიდიკრის კოშკები, მინდა ციხე. როსტომ ერისთავმა მოიწვია საგანგებოდ ხუროთმოძღვარი ავთანდილ შულავრელი და ბარაკონის ეკლესია ააგებინა (1753 წ.). როსტომი განათლებული პიროვნება ყოფილა. ზეპირად სცოდნია „ვეფხისტყაოსანი“; საკუთარი სახსრებით ააშენებინა იერუსალიმში ქალთა მონასტერი.

ქართულ ხუროთმოძღვრულ ძეგლებს შორის განსაკუთრებით გამოირჩეოდა მრავალძალის წმიდა გიორგის ეკლესია, რომელიც სოფელ მთისკალთაში დგას. თვით სოფელსაც ტრადიციულად მრავალძალს („ბრავალძალს“) ეძახიან. ვახუშტი ბაგრატიონიც მრავალძალად მოიხსენიებს ამ სოფელს. „ამავ ბარის წყალს ზეით არს მთაში მრავალძალის ეკლესია წმიდა გიორგისა და ჯუარი დიდი ოქროსი, სასწაულმოქმედი“.[1] მრავალძალისთვის შეუწირავს შაჰ აბასს „ხრმალი ოქროთი მოოჭვილი, აწცა ძევს მუნ, არათუ სარწმუნოებით, არამედ სცნან, რამეთუ ხრმალი მისი ჰკიდავს მუნ“.[2] მრავალძალის წმიდა გიორგის ეკლესია მთელს საქართველოში იყო სახელგანთქმული და ყველა კუთხიდან მოდიოდნენ აქ სალოცავად და მოსალოცავად. ამ ეკლესიას თავის დროზე ყურადღება მიაქცია ი. გიულდენშტედმაც. იგი გადმოგვცემს: „არის პატარა ქვის ეკლესია... კედლებზე ხატია წმიდა გიორგი მრავალნაირი ფერებით შეღებილი... ეკლესიას აქვს ძვირფასი თვლებით

იაშვილების სამფლობელოს სამხრეთ-დასავლეთით, მდინარე რიონის მარჯვენა ნაპირზე ყიფიანების სამფლობელო იყო. ეს გვარი სვანური წარმოშობისაა (ყიფი – ამაყი). რაჭაში ეკუთვნოდათ სოფლები: ხვანჭკარა, ჩორჯო და ტოლა. ციხე-დარბაზი ჰქონდათ ხვანჭკარაში. აქვე იდგა პატარა ეკლესიაც.

[1] ბატონიშვილი ვახუშტი, დასახ. ნაშრ., გვ. 765.

[2] იქვე.



მრავალძალი (XI ს.)

მოჭედილი ხმალი. შესავლის თავზე ქვაზე, ჯვარი არის გამოკვეთილი" ნარწერით: „წმიდაო გიორგი მეოხ ეყავს სულსა იოვანესა“.[1] XIX საუკუნეში ტაძარი გადაუკეთებიათ. შემორჩენილია XI საუკუნის ნარწერები: „ ... შეიწყალე გაბრიელ მირიანის ძე და შვილნი მისნი", „წმიდაო გიორგი შეიწყალე კეთილად მოღვაწენი ამის ეკლესიისანი“.[2]

[1] გ. ბოჭორიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 202.
[2] იქვე.



მრავალძალის ეკლესიას არაერთი მნიშვნელოვანი სიძველე გააჩნდა. ესაა ჯვრები, ხატები. ზოგიერთ მათგანზე წარწერებიცაა შემორჩენილი. ვერცხლზე ნაჭედი წმიდა გიორგის ხატი დაფერილია ოქროს წყალში, შემკულია თვლებით და მარგალიტებით. ხატის ფარდაზე ჩამოკიდებულია მცირე ვერცხლის ხმალი. ხატს თავზე აწერია: „წმიდა გიორგი“. წარწერა ორია. 1. „[ქ.] წმიდაო გიორგი... [უფალ]ო შემიწყა[ლე] მე, უღირსსა წინაშე ღმრთისა, მე, ცოდვი[ლსა]... ...ე ოქრომჭედელსა შენსა გიორგის“. 2. „ქ. წმიდაო გიორგი მრავალძალო, შეიწყალე მონა შენი შვენიერი (?) და [მფა]რველ ექმენ დღესა მას სასჯელისასა.

მეოხ ე[ქმნენ], დი[დებასა]..." ვერცხლზე ნაჭედ მეორე ხატზე წარწერაა: „წმიდაო მრავალძალო ფარახეთისაო მეოხ და მფარველ ექმენ ხევსა ფარახეთს წრ˜თ". დაახლოებით ასეთივე შეთხოვნაა წმიდა გიორგისადმი სხვა წარწერაში: „წმიდაო გიორგი შეიწყალე ესე ხევი ფარახეთისა". მეტად საინტერესოა ფიცარზე ნახატი ჩვილედი ხატი ღვთისმშობლისა, რომლის უკანა მხარეს წარწერაა: „ქ. მოვსჭედეთ და შევამკეთ ხატი; ესე ყოვლად წმიდისა: ჩვენ ჩიქვილაძემ: პატამ: თანა: მეცხედრემან ჩემმან ჯაფარიძის ქალმან თამარ: ცოდვათა ჩვენთა: მისატევებლად; და სულისა: ჩვენისა საოხად: ვინცა: ამას: ამბორსა: სცე: ჩვენთვისცა: შენდობა ბრძანეთ: ღთის: გულისათვის: ვინც: ეს: ჩვენს: საფლავს: მოაშოროს: ჩუენისამც: ცოდვის ხუჯმათ გეიკითხვის საშინელსა დღეს: ამას".

მრავალძალში სხვა წარწერიანი ხატებიცაა. ერთერთ მათგანზე შეთხოვნაა მიქელ და გაბრიელ მთავარანგელოზებისადმი, რათა მეოხ და მფარველ ექმნეს ხრელიშვილსა ქველსა და შვილსა მისსა მიქაელს.[1] ვერცხლის ბარძიმის წარწერა გვაუწყებს, რომ განმაახლებელი მრავალძალის ტაძრისა და შემწირავი ბარძიმისა არის მრავალძალის არქიმანდრიტი არსენიოზ გამყრელიძე. ეკლესიაშია სახარება – სამოციქულონი (ნუსხურად დაწერილნი), კონდაკი (ნუსხურად დაწერილი), მცირე ზომის ოთხთავი გადაწერილი, ნუსხურად შესრულებული.

ქართველი საზოგადოებისა და თავად მთისკალთელთა (განსაკუთრებით სხირტლაძეების) დიდი მცდელობის შედეგად მრავალძალის წმიდა გიორგის ეკლესია აღდგენილია.

მიუხედავად იმისა, რომ ზემოთ საგანგებოდ შევჩერდით, ვფიქრობთ ცალკე ყურადღებას იმსახურებს ზემოთ მოხსენიებული რაჭის ერისთავთა რეზიდენცია დაბა წესი: „ხიდიკარს ზეით რიონის კიდეზე გამოდის კლდიდამ თბილი წყალი, არამედ უხმარი. მის ზეით არს წესი, დაბა კარგი. აქა იტყვიან ვეცხლის

[1] გ. ბოჭორიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 208.

ლითონს. აქავ რიონის კიდეზედ, არს ნიანიას ციხე, კლდესა ზედა შენი... "[1] გ. ბოჭორიძეს წესში ხუთი ეკლესია აქვს დაფიქსირებული: 1. ვალიეთის წმიდა გიორგის, 2. კვარაციხის მთავარანგელოზის, 3. წმიდა გიორგის ეკლესიის ნანგრევი, წოდებული მარინედ, 4. ბარაკონის ღვთისმშობლისა და 5. ბარაკონის ძველი ეკლესიის ნანგრევი.

ვალიეთის წმიდა გიორგის ეკლესიიდან მნიშვნელოვანია აქ არსებული წმიდა გიორგის ხატის ნაშთი. მეოცე საუკუნის ოციან წლებში სანთლისგან ხატს ცეცხლი გასჩენია და ფიცარი დამწვარა. დარჩენილი ვერცხლის ფურცლის მიხედვით წმიდა გიორგი ცხენზე ზის და წინ დიოკლეტიანეა გართხმული. ხატზე ორი წარწერა იკითხება: 1. [წმიდაო] გიორგი [შეინ]ყალე ხევი წესისა". 2. ... [მფარვ]ელო, მეოხ და მოწ[ყალე?] ექმენ ხელოსანთ: შოთაჲ ჩიკოტასძეს (?) ზსჯს (?)... ცინაძეს (?) მჭედელ ზენონს (თუ: ზეცამან?) შეუნდოს ღმერთმან". კვარაციხის ეკლესიაზე სიძველეები არ დაფიქსირებულა. წმიდა გიორგის ეკლესია, რომელიც წმიდა მარინედ იწოდება, გამოირჩევა XVI-XVII სს-ის წარწერით: „ქ. მრავალთა მოწამეთა ყვეს ძლიერება, ხოლო შენ, გარდამატე მათ ყოველთასა, ჰოი სასოებაო ჩემო, მთავარმოწამეო გიორგი! აწ მე, შენდა მაყედრი გოცირიძე პაატა, გიმკობ ეკლესიასა შენსა".

მოვიტანთ ბარაკონის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიის ერთ-ერთ წარწერას:

„ქწ. ქმნილ-ნაშობო იოაკიმისაო რომლისა შორის... სიბრძნემან მამისამან, და დაიკარვა შენ შორის სიმაღლემან ღმრთაებისმან და ხორცშესხმულ იქნა მცხებელი, ხოლო ღმერთ-ცხებული. და მყის მყოფად იქმნეს სამნივე ესე: მიღება, ყოფა და განღმთება სიტყვისა ღმრთისაჲ. და ესრეთ გულის-ხმა იყოფები წმიდაჲ ქალწულად. ამისთვის შენდა და ძისა შენისა მიერ თიხა-ზელილმან რაჭის ერისთავმან როსტომ აღვაგე ეკლესია. რძენი დედისა ჩემისანი ილალვიდეს ჩემთვის და დამადგინეს მე მცველად ვენახთა შინა

[1] ბატონიშვილი ვახუშტი, დასახ. ნაშრ., გვ. 765.

სავენახე ჩემი ვერა დავიცევ, თვინიერ მფარველობისა შენისა. ამისთვის მცევ და მფარველ თანამეცხედრით ჩემით – წულუკიძის ასულით მარიამით, და პირმშო მით ჩემით გიორგით, და სასო ძით მეთოდით, და ასულით ჩემით: ანა, მელანია და ევფთემიათურთ, დღესა მას მართლმსაჯულობისა, ამინ". ეს წარწერა მთლიანად მოვიტანეთ, რადგან მიგვაჩნია, რომ აქ მოცემული მასალა ფრიად საინტერესოა ისტორიული თვალსაზრისით.

წესის სიძველეებიდან გამორჩეულია ვერცხლით შეჭედილი ხის ჯვარი, რომელზეც ღვთისმშობლის, ნათლისმცემლის, მაცხოვრის, წმიდა გიორგის და სხვა ჭედილი ხატებია. ერთ-ერთ ხატზე (კერძოდ, წმიდა გიორგის მკერდზე ლოდის დადების) წარწერაა: „წმიდაო გიორგი, შეიწყალე ოქრომჭედელი მამნე, მეცხედრითურთ". ზოგადად, ეს ჯვარი XII საუკუნისაა და გადმოტანილია გელათიდან. რაც შეეხება წარწერაში მოხსენიებულ მამნე ოქრომჭედელს, იგი XVI საუკუნის პირველ ნახევარში მოღვაწეობდა. თავდაპირველად სამცხის ათაბაგთა კარზე, შემდეგ – იმერეთში. მის სახელთანაა დაკავშირებული საქართველოში ოქრომჭედლობის აღორძინება. როგორც ჩანს, მამნეს გარკვეული კავშირი ჰქონდა რაჭის საერისთავოსთან და მისი კომპოზიციაც წარწერითურთ შემთხვევით არ აღმოჩნდა ბარაკონის ჯვარზე.

სხვა სიძველეებიდან აღსანიშნავია ხის ჯვარი (XIX ს., ათენური ხელოვნება), რქის ჯვარი, ფიცარზე შესრულებული ჩვილედი ღვთისმშობლის ხატი, მინაზე ნახატი ჯვარცმის ხატი, ოქრომკედით ნაკერი „გარდამოხსნა", აღსარების სიები, ხის საწიგნე, ხის სასანთლე, ხის სკივრი. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჩვენ მიერ ზემომოტანილი მესტამბე რომანოზ ზუბაშვილის წერილი გაიოზ რექტორისადმი. ვახუშტი ბაგრატიონის მიერ მოხსენიებული ნიანიას ციხე აღარ არსებობს. სავარაუდოდ, ეს უნდა იყოს კოტე ზურაბის ძე მაისაშვილის ეზოში მოყოლილი ციხე, რომელიც 1915 წელს დაუნგრევიათ. გადმოცემით ციხეში ეკლესიაც ყოფილა.

ისტორიულად ზემო რაჭის მნიშვნელოვანი პუნქტი იყო დაბა უწერა. ვახუშტი ბატონიშვილი აღწერს: „ამას ზეით ერთვის საქორიას ხევი რიონს ჩრდილოდამ. ამ ხევის შესართავთან, რიონის კიდეზედ, არს ციხე მაგარი ფრიად. ამას ზეით არს დაბა უწერა, რიონის ორსავ კიდესა ზედა. აქა, რიონის ჩრდილოთ, არს ეკლესია სიონი, დიდი. ამ ეკლესიის კამარასა შინა მკიდარებს თმა ერთი ნაწნავი, და იტყჳნ თამარ მეფისასა. აქავ არს მიწა, რომელსა უწოდებენ სასუნებლად, რომელი დავსწერეთ ქართლსაც, არამედ ეს უმეტეს ძალიანი, რამეთუ გარდაფრენილი ფრინველი მას ზედა ჩამოვარდების სუნისაგან.“ [1]

უწერის საგანგებო მოხსენიება აშკარად მიუთითებს ამ დაბის გეოპოლიტიკური მნიშვნელობის მაღალ დონესა და მეტად მრავალფეროვან და სასარგებლო კლიმატურ პირობებზე. არც ის არის შემთხვევითი, რომ უწერის ეკლესია „დიდად“ არის მოხსენიებული და სიონად (ღვთისმშობლის მიძინების) ტაძრად იწოდება. XX საუკუნის 20-იანი წლების დასაწყისში ეს ეკლესია მოინახულა გ. ბოჭორიძემ. მეცნიერი აღნიშნავს, რომ უწერის სიონი დიდი ზომის ბაზილიკას წარმოადგენს. იგი ერთნავიანია, ნაგებია შირიმის ქვისა და კირისაგან. ადრე სამხროებიანი შენობა უნდა ყოფილიყო. ამას, გ. ბოჭორიძის აზრით, ადასტურებს დასავლეთის კედელი, რომელსაც აქვს კამარები (შემდგომი ხანისაა, კედლების დაზიანების გამო, სვეტებსშუა ადგილები სწორედ კამარების კედლებით ამოუგიათ); შიგნით და გარეთ გალესილი ჩანს. ძველად ეკლესია მოხატული ყოფილა. ამის კვალი შემორჩენილი იყო აღმოსავლეთის კედელზე. შემონახული ყოფილა მაცხოვრის ხატის ნაწილი.[2]

უწერის სიონი XX საუკუნის ორმოცდაათიანი წლების დასაწყისში, ანტირელიგიური პროპაგანდის

[1] ბატონიშვილი ვახუშტი, დასახ. ნაშრ., გვ. 768.

[2] გ. ბოჭორიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 252-253. რამდენიმე ცნობა და მოსაზრება მთის რაჭის წარსულის, უწერის თემის შექმნისა და გვარი მეტრეველის წარმოშობის შესახებ გაგვაცნო პროფესორმა გიორგი მეტრეველმა.

ფონზე, დაუნგრევიათ (იმდენად მტკიცე ნაშენი იყო, რომ ასაფეთქებელი მასალის უხვად გამოყენების მიუხედავად, მის დანგრევას რამდენიმე დღე მოუნდნენ). სოფლის მკვიდრთა (სოფელში ძირითადად მეტრეველები ცხოვრობენ) მონადირებით უწერის ეკლესია სრულყოფილად იქნა აღდგენილი და 2002 წელს იგი აკურთხა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსმა და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტმა ილია II-მ. ამჟამად ეკლესია მოქმედია. უწერაში სხვა ეკლესიებიც არსებობს. მათ შორისაა მდ. რიონის მარცხენა ნაპირზე (ე. წ. გვერითის მთასთან) არსებული წმიდა გიორგის სახელობის ეკლესია, რომლის რესტავრაციაც მიმდინარეობს.

უწერის სიონის სიძველეებიდან აღსანიშნავია: ჩვილედი ღვთისმშობლის ხატის ყალიბი (ქვის), სპილენძის ლანგარი, რომელსაც აქვს XVIII საუკუნის მხედრული წარწერა „მეფე ერეკლე", ხუცურად შესრულებული კონდაკი. გრაფინია პრასკოვია უვაროვა მოიხსენიებს ტრიპტიქს, რომელიც გასული საუკუნის 20-იან წლებში ეკლესიაში აღარ იყო.

უწერა საკმაოდ დიდი სოფელი (დაბა) იყო. მთავარი უბნის გარდა, აქ არის ჯარონეთის უბანი ეკლესიითურთ და ე. წ. ფარავნეში (კერესელიძეების უბანი). ამ უკანასკნელში ორი ეკლესიაა: მაცხოვრისა (XX ს.) და მთავარანგელოზის სახელობისა (XIX ს.).[1]

[1] საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ გ. ბოჭორიძემ თავისი მოგზაურობის დროს ბევრი სიძველე აღმოაჩინა რაჭა-ლეჩხუმის ეკლესიებში. ზოგიერთი მათგანი სავალალო მდგომარეობაში იყო. არაერთი ნივთი მეცნიერმა თავად შეიძინა. ჩვენამდე მოღწეულია მის მიერ დაწერილი განცხადებები, თხოვნები, მოხსენებები უნივერსიტეტის რექტორის ივ. ჯავახიშვილისადმი (1925 წ.), სამეცნიერო დაწესებულებათა მთავარი სამმართველოს გამგისადმი (1926 წ.), მეტეხის ხელოვნების მუზეუმის დირექტორისადმი (1934 წ.) და სხვ., რომლებშიც გადმოცემულია შემორჩენილი სიძველეების მდგომარეობა და დასმულია საკითხი ბევრი ძეგლის გადარჩენის აუცილებლობის შესახებ. არის საყვედური ლეჩხუმის ხელმძღ-

ისტორიულად უწერას მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა მხარის ცხოვრებაში. ეს დაბა ხშირად ბრძოლისა და უფრო მეტი დარბევის სარბიელიც ხდებოდა. იმერეთის მეფის, ალექსანდრე IV-ის (1683-1690 წწ., 1691-1695 წწ.) ზეობის დროს ქვეყანა აირ-დაირია და ზნეობრივი დაცემის გზით წავიდა. მეფემ „თავი გამოიჩინა" როგორც ტყვეთა მსყიდველმა. დაიახლოვა სვიმონ ქუთათელი, რომელსაც მღვდელმთავრობის პატივი ხელს არ უშლიდა ყოფილიყო „ტყვის მყიდველი, მეძავი-მემრუშე, კაცის მკვლელი, ცრუფიც, უწირვ-ულოცავი".[1] ალექსანდრე მეფემ (მისი დასაყრდენი იყო პაატა აბაშიძე, რომელსაც მორჩილებდნენ მარგველნი) კიდევ უფრო დაახლოება მოინდომა პაატა აბაშიძესთან და თავისი და შერთო ცოლად („ნაცოლარი გურიელის გიორგისა").

მეფესთან დაპირისპირებული იყო გიორგი გურიელი. მან მიიმხრო რაჭის ერისთავი შოშიტა, გიორგი ლიპარტიანი და ბეჟან ლორთქიფანიძე (მათ ჩიჯავაძეებიც შეუერთდნენ) და გამოემართა ალექსანდრე მეფის წინააღმდეგ. მეფეს მხარში ედგნენ აბაშიძეები, გიორგი მიქელაძე, ზემო იმერელნი და მარგველნი. ბრძოლა მოხდა სოფელ როკითთან 1685 წელს. ბრძოლა სისხლიანი გამოდგა, ბევრნი დაიხოცნენ. მოკლეს გიორგი გურიელი, მისი მოლაშქრეები უკუიქცნენ. დაილუპა შოშიტა რაჭის ერისთავი. ლიპარტიანი ოდიშში გაიქცა. ალექსანდრე IV-მ გაიმარჯვა. მეფის მხრიდან დაიღუპა ლევან აბაშიძე, პაატა აბაშიძე დაიჭრა და შემდგომში გარდაიცვალა.[2]

ვანელებისადმი, რომელთაც ხელი შეუშლიათ სოფლებში საქმიანობისათვის. კონკრეტულად, 1934 წელს მეტეხის ხელოვნების მუზეუმის დირექტორისადმი დაწერილ მიმართვაში მოთხოვნილი აქვს, რომ „გადადებული იქნას 1500 მანეთი უწერის ეკლესიის სახურავისათვის". მსგავსი განცხადებები სხვაც ბევრია.

[1] ბატონიშვილი ვახუშტი, დასახ. ნაშრ., გვ. 851.

[2] იხ. რ. მეტრეველი, „შეიქმნა დიდი მტერობა" (შტრიხები XVII საუკუნის II ნახევრის იმერეთის ისტორიიდან), კრებ., მშვენიერების ძიებაში (რევაზ სირაძის 75 წლისთავისადმი მიძღვნილი), თბ., 2012, გვ. 7-26.

რაჭის ერისთავმა პაპუნამ (იგი შოშიტას გარდაცვალების შემდეგ გახდა რაჭის ერისთავი), წინააღმდეგ ალექსანდრე მეფის მოთხოვნისა, შეიფარა ლტოლვილი ქართლის მეფე გიორგი XI (1676-1688 წწ., 1703-1709 წწ.). განრისხებულმა ალექსანდრე IV-მ შეკრიბა ლაშქარი და რაჭას შეუტია. პაპუნა ერისთავი გიორგი ქართლის მეფესთან ერთად ონში წავიდა. იმერეთის მეფის ბრძანებით გადაწვეს რაჭა. რაჭის ერისთავი ვერ გაუმკლავდა ალექსანდრეს ლაშქარს და გიორგი ქართლის მეფესთან ერთად სოფ. გლოლას შეაფარა თავი. ვახუშტი ბაგრატიონი საგანგებოდ, ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „მოვიდნენ სპანი ალექსანდრესი და მოწუეს უწერა".[1] შემთხვევითი არ არის იმერეთის მეფის მიერ უწერის გადაწვა. მან იცოდა, რომ ეს რაჭისათვის განსაკუთრებული დანაკლისი იქნებოდა. ამის შემდეგ იმერეთის ლაშქარი უკან დაბრუნდა და გზადაგზა რაჭა დაარბია.[2]

[1] ბატონიშვილი ვახუშტი, დასახ. ნაშრ., გვ. 850.

[2] საგულისხმოა, რომ ამ დროს რაჭის საზღვრებს მოადგა რუსეთიდან წამოსული არჩილ მეფე (ბაგრატიონთა მუხრანბატონების შტოს წარმომადგენელი). რაჭის ერისთავსა და ლიპარტიანს პირობა შეეკრათ ბეჟან ლორთქიფანიძესთან და ჭილაძე-მიქელაძეებთან ალექსანდრეს გადასაგდებად და არჩილის ტახტზე დასასმელად. ნიშანდობლივია, რომ ხონთქარმაც „მოსცა იმერეთი არჩილს". არჩილს მიართვეს სამეფო ინსიგნიები (ხმალი და ხალათი). ალექსანდრე იძულებული გახდა ქართლში გადასულიყო (1690 წ.). მიუხედავად არჩილის ენერგიული საქმიანობისა, დიდხანს ვერ შერჩა იგი სამეფო ტახტს. საქმეში ჩაერია სპარსეთის შაჰი და სულთანთან შეთანხმებით ალექსანდრე აღიარეს იმერეთის მეფედ. იგი გადავიდა იმერეთს (მხარს უჭერდნენ გიორგი აბაშიძე და ზემო იმერელნი). აქ არჩილს მხარში ედგნენ რაჭის ერისთავი პაპუნა, სვიმონ ქუთათელი, გიორგი მიქელაძე და ბეჟან ლორთქიფანიძე. სოფ. გოდოგანთან მოწინააღმდეგეები შეიბნენ. ალექსანდრე დამარცხდა და ქართლში დაბრუნდა.

არჩილის მომხრეები ქუთაისის ციხეს შემოერტყნენ (1691 წ.). ეს ოსმალეთთან დაპირისპირებას ნიშნავდა. მეციხოვნეები შეჭირვებულ მდგომარეობაში იყვნენ და

უნდა აღინიშნოს, რომ რაჭაში განსაკუთრებულია მეფე თამარის კულტი. აქ ბევრი მოვლენა თუ არქიტექტურული ძეგლი დიდი მეფის სახელთანაა დაკავშირებული. უწერაში რამდენიმე ხე (ცაცხვი და მუხა) თამარის დარგულად მიაჩნიათ. თამარ მეფის (ზოგჯერ დავით აღმაშენებლის) სახელთან აკავშირებენ გლოლში მცირე გორაკზე ეკლესიის აშენებას. მცველად ბერი დაუნიშნავთ, რომელსაც მეფემ დაოჯახების უფლება მისცა (სხვათა შორის, გორაზე ეკლესიას ბერის საყდარს ეძახიან). გადმოცემით, აქვე დასახლებულან ბერის ბიძა და მსახური ბიჭი. თვლიან, რომ ამ სამმა პირმა მისცა დასაბამი გლოლის მოსახლეობას. ბერის შთამომავლობა იწოდა ბერიშვილებად, ბიძის – ბიძიშვილებად, ბიჭის კი ბიჭაშვილებად. ნიშანდობლივია, რომ ეს გვარები ბოლომდე შერჩა სოფელს.

გლოლში ნათლისმცემლის ეკლესია ერთნავიანია. ვახუშტი ბაგრატიონი ადასტურებს, რომ ის იყო „აღსილი ოქრო-ვერცხლის ხატითა, ჯვარითა და წიგნებითა". ეკლესია დაუნგრევიათ XX საუკუნის 20-იან წლებში ანტირელიგიური პროპაგანდის მიზნით. აქ, ე. წ. ზედაქალაქში ორი ეკლესიაა, მესამე სოფელშია. ზემოხსენებული „ბერის" საყდარი წმიდა გიორგის სახელობის ეკლესიაა.

ხალხმა თამარის პიროვნება იმთავითვე შოთა რუსთაველის სახელს დაუკავშირა. სოფელ შქმერის[1] მახლობლად, მაღალ, მიუვალ კლდეში გამოქვაბუ-

ციხის დათმობას ფიქრობდნენ. ამ დროს არჩილს უღალატა გიორგი ლიპარტიანმა. არჩილი იძულებული გახდა, ალყა მოეხსნა. აღსანიშნავია, რომ ამ დროს ძალზე დაზიანდა ბაგრატ III-ის მიერ აგებული (1103 წ.) ქუთაისის ტაძარი.

[1] ვახუშტი ბაგრატიონი შქმერს ახასიათებს როგორც „დაბა დიდი, უვენახო, უხილო, მსგავსი სხვათა მთის ადგილთა და შვენიერი ზაფხულს ფრიად". აქ არის წმიდა გიორგის ეკლესია (უშოლთის ანუ ქვემო უბნის), შუა (მთავარი) უბნის წმიდა გიორგის ეკლესია და ხარისთვალის (ზემო უბნის) ე. წ. ქოლოსიის ეკლესია.

ლია ჩაშენებული.[1] გადმოცემით, ამ გამოქვაბულში თამარ მეფის აკვანი დგას. თქმულება ასეთია: თამარ მეფესა და რუსთაველს ერთმანეთი უყვარდათ. შოთა რუსთაველი დიდებულის შვილი იყო, მაგრამ მეფის ასულს მაინც ვერავინ მიათხოვებდა. ამიტომ შოთა საქართველოდან გადაიკარგა. თამარმა ზემოხსენებული გამოქვაბული გააკეთებინა თავისთვის. როცა სიყვარულის დარდი შემოაწვებოდა, მეფე-ქალი შქმერის კლდეს მიაშურებდა – შესცქეროდა შოდას მთას, რომელიც შოთას სახელს – აგონებდა და დარდს ამით იქარვებდა. აქვე გვინდა მოვიტანოთ მიცვალებულის ერთი დატირება, რომელშიც თამარის შეფასება, მისდამი თაყვანისცემაა გამოხატული. ზემო რაჭაში კარგ ქალს ასე დაიტირებდნენ:

„კაი ქალოო,
თამარ დედოფლის მგვანეო.
ხმა დაბალო და საქმე მაღალოო"

კომენტარი, ვფიქრობ, ზედმეტია.

რუსი ელჩების ტოლოჩანოვისა და იეველიევის ანგარიშში რამდენიმეჯერ საგანგებოდაა მოხსენიებული სოფელი მაცხოვარი (Спасское), როგორც ლომკაც ჯაფარიძის სამფლობელო. გ. ბოჭორიძემ დაადგინა, რომ მაცხოვარის სახელწოდებით მოხსენიებული სოფელი ბარია. სოფ ბარის მთავარი ეკლესია მაც-

[1] შქმერის ჩრდილოეთით „ქვაგახეთქილას" ხეობის მარჯვენა მხარეს მაღალ კლდეს „თამარის კლდეს" უწოდებენ. გადმოცემით, XIX საუკუნის შუახანებში ერთი მთამსვლელი ასულა გამოქვაბულში და უხილავს ოქროს ტახტზე მიცვალებული, თაეთან მეფე თამარის სურათი და ხმალი ეკიდა. გვერდით მარილის ქვები ეწყო. მთავრობას აუკრძალავს გამოქვაბულში შესვლა. ხალხის ინტერესი დიდი იყო გამოქვაბულისადმი და XIX საუკუნის მიწურულს სოფელ ბოყვის მცხოვრებს პეტრე ომანიძეს უცდია ასვლა, თუმცა „თამარის საყდარში" შესვლის უფლება არც მისთვის მიუციათ. 1957 წელს „თამარის კლდეზე" მთამსვლელები (მათ შორის ა. ნემსიწვერიძე იყო) ავიდნენ. აქ ვერც თამარის კუბო იხილეს და ვერც სხვა რაიმე ნივთი. როგორც ჩანს, ეს გამოქვაბული ძველი იყო და თავის დროზე აქ ბერები ცხოვრობდნენ.

ხოვრის სახელობისაა და, როგორც ჩანს, ამის გამო სოფელიც Спасское-დ მოიხსენიეს. თვით ლომკაც ჯაფარიძე იმერეთის სამეფოს მოლარეთუხუცესი იყო. მისი ძმა სიმონი ნიკორწმინდის მთავარეპისკოპოსად იყო ხელდასხმული. ნიშანდობლივია, რომ სოფელი ბარი მოიხსენიება გრიგოლ კათალიკოსის ბიჭვინთისადმი გაცემულ შეწირულების წიგნში (XVIII ს.), სადაც აღნიშნულია: „... ჩრდილოეთისა და აფხაზეთის კათოლიკოზმან ლორთქიფანიძემ ბატონმა გრიგოლ ვიგულისმოდგინეთ, გკადრეთ და მოგიძღვენით მცირე ესე შესაწირავი; რაჭის ბარის თავის სასახლე ვარდისგორა ჭბოში (ადგილის სახელია სოფ. ბარში) გაწყობილი ერთის მოჯალაბით, ტყით, წყლით, მთით, ბარით, შესავლითა და გამოსავლით მისი ყოვლის ფერთანით". სოფ ბარში რამდენიმე ეკლესიაა. ქვემო ბარს არის: მაცხოვრის (ძველი), მაცხოვრის (ახალი) და ღვთისმშობლის სახელობისა; ზემო ბარში არის: მთავარანგელოზის (ძველი) და მთავარანგელოზის (ახალი) ეკლესიები.

მაცხოვრის ეკლესია ე. წ. საბუკეს მთაზე მდებარეობს. დასავლეთით მიშენებული აქვს საქალებო, სამხრეთით და ჩრდილოეთით ჯაფარიძეთა საგვარეულო ეგვტერებია (აკლდამები). ეკლესიაში არსებული სიძველეებიდან გამოირჩევა ოთხთავის ნაშთი (ხუცურად). ხელნაწერს დართული აქვს გადამწერის ანდერძი, რომელიც საინტერესოა ისტორიული თვალსაზრისით. აქ მოხსენიებულია რამდენიმე პირი, რომელთა შესახებ ცნობები ძალზე მწირე გვაქვს. ოთხთავი გურგენ ერისთავის დედის, რატავრის (ალბათ ლატავრის) მითითებით მღვდელს ათანასე წიგნაურს გადაუწერია 1013 წელს.[1] ოთხთავი, როგორც ანდერძიდან ჩანს, შესრულებულია „ლავრასა წმიდისა ღმრთისმშობლისასა საღოდებელსა". აღნიშნულ ეკლესიაში მოპოვებულია ხუცურად ნაწერი ეტრატი.

სოფელში არსებული მაცხოვრის ეკლესია ქვითკირისაა (ახალი დროის). მისი სიძველეებია: ვერცხლზე

[1] იხ. გ. ბოჭორიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 196.

ნაჭედი წმიდა ნიკოლოზის ხატი, ვერცხლის ბუდეში ჩასმული გულსაკიდი კარედი ხატი (XIX ს.). ამ ხატის უკანა მხარეს წარწერაა: „ქ. ესე ხატი: ჭიჭინაძის: თადეოზის არის: და ვიც მოიპაროს: ამის: მადლი: გაუწყრეს". ტილოზე შესრულებული ჩვილედი ღვთისმშობლის ხატს აშიაზე აქვს ასომთავრული წარწერა: „უფალო იესო ქრისტე, ღმერთო ჩვენო, შეეწიე, შეიწყალე და აცხოვნე სული ბატონის ანას ჩხეტისძის ქალისა, რომელმან შეამკო ხატი ესე ყოვლათწმიდისა".

ე. წ. ციხისლიანთ უბანში არის ღვთისმშობლის ეკლესია. იგი მოხატულია. ჭბოს მთავარანგელოზის ეკლესია ძველია, ერთნავიანი. მთავარანგელოზის ახალი ეკლესიაც ერთნავიანია. აქ გ. ბოჭორიძემ დააფიქსირა ორი სიძველე: ტილოზე ნახატი ერეკლე II-ის სურათი (XVIII ს.), რომელიც ბარის მცხოვრებს მინა გრძელიძეს გადაუცია, და აქვე მცხოვრები ივლიანე ჩლაიძის შემოწირულება – სახელმძღვანელო სასულიერო პირთათვის.[1]

შუა საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების მეტად საინტერესო ძეგლია ქვემო რაჭაში, სოფ. ჭყვიშის მიდამოებში მდებარე ლაბეჭინის დარბაზული ეკლესია. ძეგლი აგებულია მაღალ გორაკზე, საკმაოდ დაზიანებულია. ეკლესია შემკულია ქვაზე ნაკვეთი ჩუქურთმებით, რელიეფებითა და განსაკუთრებული წარწერებით (ასომთავრული). ეკლესიის სამხრეთ კედელზე ეკვდერის აღმშენებლებია (ორი პირი) გამოქანდაკებული. ამ კედელზე ლომის ქანდაკებაცაა. გადმოცემით, ეკვდერი თვალია ინასარიძეს აუშენებია. ეკვდერის კარის თავზე გამოსახულია ჯვარი. ზედ ასომთავრული წარწერაა: „ნებითა ღმრთისაითა აღვაშენეთ ეკუდერი [ესე] ჩვენ, ინასარიძემან... და თანამეცხედრემან ჩემმან ჩხეტისძის ქალმან ანამან მხსნელად ცოდვილისა [სულისა] ჩვენისათვის...". ერთ-ერთ წარწერაში მოხსენიებულნი არიან გაბრიელ და ივანე „გალატოზნი". დასავლეთის

[1] გ. ბოჭორიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 201.

კედელზე ასეთი წარწერაა: „წმიდაო მთავარანგელოზო, შეიწყალე რატი დაფქუაჲსძე". აქვეა წარწერები: „ქრისტე, შეიწყალე ცოდვილი მგელაჲ"; „ქრისტე, შეიწყალე კვირიკე, ჩოღერი და ნათელ დედოფალი".

ლაბეჭინას ეკლესია მინისძვრისგან დაქცეულა. XIII-XIV საუკუნეებში გაბრიელ ლაბეჭინელის მონადინეობით ხელმეორედ აუგიათ და მოუხატავთ. აქ ინახებოდა მარიამ ღვთისმშობლისა და წმიდა გიორგის ჭედური ხატები (XI ს.), რომლებიც დღესდღეობით ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმშია დაცული.

რაჭის საერისთავოში განსაკუთრებული ადგილი ეკავა სოფელ ხირხონისის წმიდა გიორგის ეკლესიას, სადაც იყო წმიდა გიორგის ვერცხლის ნაჭედი ხატი (XVII ს.), რომელიც, გადმოცემით, სხიერის ეკლესიიდან იყო გადმოტანილი და კურნავდა შეშლილებს. რაც შეეხება თავად სოფ. სხიერს, აქ არის ე. წ. მირიანეული უძრავი წმიდა გიორგის ეკლესია. იგი მოხატულია. ეკლესიის კედლებზე წარწერებია. სხიერი წყაროებში პირველად XVIII საუკუნეში იხსენიება ხსუარის სახელწოდებით. აქ აგვისტოში იმართება რელიგიური დღესასწაული – სხიერობა, რომელზეც თითქმის მთელი ზემო რაჭის მოსახლეობა იყრის თავს.

რაჭის ქედის ჩრდილო კალთაზე მდებარეობს სოფელი სევა. ვახუშტი ბაგრატიონი გადმოგვცემს: „შემოიკრიბა... ალექსანდრემ[1] სპანი იმერთა და შეუხდა რაჭას, მოსწვეს საწულუკიძეო ვინაჲთგან იყო ერისთავის კერძოდ, ვერ წინააღუდგა ერისთავი. შევიდნენ ესენი სევამდე, შემუსრეს კოშკნი მისნი, მოსწუეს რაჭა და მოსტყუევნეს".[2] სევაში ორი ეკლესიაა: ღვთისმშობლისა (ბაქრაძეების უბანში) და წმიდა სამების სახელობის. სევაში ბევრი სიძველეები იქნა მოპოვებული: მინაზე ნახატი მაცხოვრის ხატი (XIX ს.), დაფარნა, საცეცხლურები, სპილენძის ჯამი, საწელიწადო სახარებანი, ლოცვანი, შესხმა თამარ მეფი-

[1] იმერეთის მეფე 1720-41; 1741-46; 1749-52 წწ-ში.

[2] ბატონიშვილი ვახუშტი, დასახ. ნაშრ., გვ. 884.

სა, სარკე ზნეობისა, რაჭის ერისთავის ძის დავითის მიერ გაცემული წყალობის წიგნი გიორგი ბაქრაძისადმი (1802 წ.), სახარების თარგმანი და სხვ. ნიშანდობლივია, რომ ერთ-ერთ საცეცხლურზე წარწერაა: „ქ. ყარაგოზიანთ: არაქელასია: ქ. არუთინა: შვილი: მკრტუმისა". მღვდლისა გედეონის მიერ გადაწერილი (1733 წ.) ზატიკის ნუსხური მინაწერია: „სრულ იქმნა წიგნი ესე ზატიკი, ხელითა ფრიად ჩემ ცოდვილის სიონელის მღვდლის გედეონისათა, ქალაქსა ტფილისისა, წმიდა მონასტერსა სიონისასა ქორონიკონს უკა" (უკა – 421-ის ბადალია), ეს ქორონიკონი 1733 წელს უდრის.

როგორც საცეცხლური, ისე ზატიკი, როგორც წარწერებიდან ჩანს, შემოწირული უნდა იყოს.

მდინარე რიონის ხეობაში მდებარე სოფელ ფარახეთში მთავარანგელოზის ეკლესიაა (XVII ს.). იგი მოხატულია ასომთავრული წარწერებით. აქ გარდა წმინდანებისა და ქრისტიანობისათვის დამახასიათებელი ატრიბუტებისა, საერო ხასიათის მხატვრობა და შესაბამისი წარწერებიც არის. ფეხზემდგომ, ხელებაპყრობილ დიდებულს აქვს წარწერა: „სუბმატ არიშისძეს შეუნდოს ღმერთმან, ამინ"; ან „ქელბაქის მომავალთა შეუნდოს ღმერთმან, ამინ"; „ტოგონიძეთა დიდთა... შეუნდოს ღმერთმან, ამინ..."; „ჩიღუნაძეს მომავალთა მათ ყოველთა შეუნდოს ღმერთმან, ამინ". წარწერებში მოხსენიებულია სხვა გვარებიც: თუღულაშვილები, ცინარიძეები, გელბახიანები, ცერგელაძეები, შოთაძეები, ტაბუცაძეები, ვაშაბერიძეები, გუერაძეები, ერაძეები და სხვ. ყველგან ღვთისადმი შეთხოვნაა ცოდვების შენდობისა. XVII საუკუნეში ამ წარწერებში მოხსენიებული გვარებიდან ზოგი XX საუკუნეშიც არსებობდა, ზოგიც აღარ ჩანდა.[1]

რაჭის ისტორიისათვის საინტერესოა სოფელ სომინოს წმიდა გიორგის სახელობის ეკლესიის (XI ს., განახლებულ-გადაკეთებულია XIX საუკუნეში) წარწერები. ეკლესიის სარკმლის თავზე წარწერაა: „წმიდაო

[1] გ. ბოჭორიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 211-213.



პატარა ონის წმინდა ნიკოლოზის სახელობის ტაძარი (XI ს.).

იესუ შეიწყალე განმამშვენებელნი" (აქ, ცხადია, საუბარია ეკლესიის განმაახლებელ-განმამშვენებლებზე). ნიშანდობლივია, რომ ეკლესიის ტრაპეზის ორნამენტები და კედლების წარწერები ეკუთვნის XI საუკუნეს (როგორც ვარაუდობენ, პირვანდელი ეკლესიაც ამ დროს უნდა იყოს აგებული). ეკლესიის ეზოში არის საფლავის ქვა, შემკული ჩუქურთმებიანი აშიებითა და ჯვრით, რომელზეც წარწერაა: „ქ. ამა საფლავსა შინა მდებარე სახელმწიფო აზნაური იოანე ჩიკვილაძე..." და ა. შ. წარწერა გვაუწყებს, რომ განსვენებული იყო მოქანდაკე და ოქროთი და ვერცხლით ასრულებდა მაცხოვრისა და ღვთისმშობლის ხატებს. იგი სხვებ-

საც ასწავლიდა ქანდაკების ხელოვნებას. საკუთარი შვილებისთვისაც უსწავლებია თავისი ხელობა. „აღმომკითხველნო შენდობას გევედრები, რათა თქვენცა შეგინდვნეს შეცოდებანი თქვენნი...“. წარწერა 1841 წელსაა გაკეთებული.

იოანე ჩიკვილაძეს წმიდა გიორგის ხატი შეუქმნია და ვერცხლით შეუმკია. ხატის აშიებზე წარწერაა: „ქ. წმიდაო გიორგი, ჰე სომიწისაო, ვისურვე და გიძღუენ ხატი ესე წმიდის გიორგის, შეიწირე ჩემი ესე მსახურება და მიოხე მონასა შენსა იოანეს ჩიკვილაძეს და თანამეცხედრესა ჩემსა ჯაფარიძეს ქალს თუთას და ძეთა და ასულთა ჩვენთა...“.

გვინდა შევჩერდეთ ზემო და მთა რაჭის ცენტრალურ გეოგრაფიულ პუნქტზე – ონზე. ონი რაჭის საერისთავოს ისტორიაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა. ვახუშტი ბაგრატიონი საგანგებოდ აღნიშნავს: „ხოლო ჯეჯორის შესართავს ზეით და რიონის სამხრით არს ონი. სახლობენ ურიანი ვაჭარნი და ვაჭრობენ. ონი ჰავით არს მშუენი და ზაფხულის ცხელი, ორთა მთათა შინა კლდოვანთა ყოფითა. არამედ აგრილებს მდინარე რიონი“.[1] ვახუშტი მიიჩნევს, რომ სახელი მდ. რიონმა დაბის სახელწოდების გამო მიიღო: „ხოლო სახელი მოიგო მდინარემან რიონმან დაბის რიონის გამო, ანუ ონისაგან – „რაი ონი“ – ანუ ჩქარად დინებისაგან... ბერძენნი უწოდებენ ფასინს (ფასისს – რ. მ.)“[2]. მეცნიერი ბატონიშვილი როცა აღწერს უწერის მინერალურ წყლებს, აღნიშნავს: „არს ესე (მინერალური წყლები) ონსაცა, გარნა ესევე უმჯობესი“.[3] ონი იყო ის ადგილი, სადაც პაპუნა რაჭის ერისთავმა იმერთა მეფის, ალექსანდრეს შემოტევის დროს თავი შეაფარა გიორგი ქართლის მეფესთან ერთად (ამის შესახებ ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი). ონი ალექსანდრე მეფის სიგელშიცაა მოხსენიებული (XVI ს.).

პატარა ონის წმინდა ნიკოლოზის სახელობის ტაძარი. დეტალი.



[1] ბატონიშვილი ვახუშტი, დასახ. ნაშრ., გვ. 767.
[2] იქვე, გვ. 747.
[3] იქვე, გვ. 768.



პატარა ონის წმინდა ნიკოლოზის სახელობის ტაძარი. დეტალი.

ონში ორი ეკლესია იყო.[1]: ე. წ. „საჯანის კარისა“ და „წერეთლების კარისა“. ეკლესიები დანგრეულია, თუმცა მათგან შემორჩენილია მნიშვნელოვანი სიძველეები. როგორც ჩანს, პირველი ეკლესია მთავარანგელოზთა სახელობისა იყო. მოვიტანთ ვერცხლზე ნაქანდაკევი წმიდა გიორგის ხატის რამდენიმე წარწერას: „ქ. წმიდანო მთავარანგელოზნო, მიქელ და გაბრიელ, მეოხ ეყვენით სამთა ძმათა გარაყანისძეთა მიქაელს, ფორთოხს და ივანეს და ძეთა მათთა ორსავე ცხოვრებასა წინაშე ქრისტესა“. მეორე წარწერაც ანალოგიურია, ოღონდ შემთხოვნელები სხვები არიან: „ქ. წმინდანო მთავარანგელოზნო, მეოხ ეყვენით ორთა ძმათა სოსაგისძესა ჯოლედიანსა და ვარდანს წინაშე ქრისტესა ორსავე ცხოვრებასა“.

გ. ბოჭორიძემ მოიტანა აღნიშნული ეკლესიის ეზოში მდებარე საფლავის ქვის წარწერა: „ამა ლოდსა შინა მდებარე ვარ აზნაური ყარამან ქაიხოსროსძე ჯაფარიძე ვექილი და დამცველი ვიყავ საწყალი კაცისა შიბიდან 41-სა წლისა მიცვლილი... აღმომკითხველნო გთხომთ მომცეთ შენდობა.“

[1] იხ. გ. ბოჭორიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 244-248.

ძველი ეკლესიისგან აღარაფერი დარჩა. ნიშანდობლივია, რომ XX საუკუნის 90-იან წლებში ონის მოსახლეობის თაოსნობით მთავარანგელოზთა სახელზე ახალი ეკლესია აიგო, რომელიც წარმატებით მოქმედებს.

ონის წერეთლის კარის ეკლესია ერთნავიანი ბაზილიკაა. იგი 1813 წელს აუგია გრიგოლ ზურაბის ძე წერეთელს. ეს გრიგოლ წერეთელი იხსენიება სოფ. ღების ეკლესიის ბარძიმის წარწერაში. აქ კი ასეთი წარწერაა: „ქ. წელიწადსა ჩყიგ (1813 წ.) აღვაშენე ეკლესია ესე ჩვენ დიდის თავადის სახლთუხუცეს წერეთლის ძემან გრიგოლ საოხად ჩთ˜ჳს და საყვარელთა მშობელთა ჩ˜თა ზურაბ წერეთლისათვის დადიანის ასულის თამარისა და მეუღლისა ჩი˜სა დადიანის ასულის ელისაბედისათვის და ძეთა და ასულთა ჩთ˜ა აღსაზრდელად. მხილველნო შენდობას ვითხოვთ ოდეს ჩ˜ნ საფლავსა ვიყოთ და თქ˜ნ ქვეყანასა".

საინტერესოა სოფელ პატარა ონის ორი ეკლესია: წმიდა ნიკოლოზის (ერთნავიანი) და წმიდა გიორგის სახელობისა. მნიშვნელოვანია ამ უკანასკნელი ეკლესიის წარწერა: „ქრისტე ღმერთო, მფლობელო ყოველთა საუკუნეთაო, მეოხებითა წმიდისა ღმრთისმშობელისაჲთა, წმიდისა ნიკოლოზისითა, წმიდისა გიორგისითა აღხოცენ ყოველნი ბრალნი მათნი ერისთავსა კახასა. და დალიდა დედოფალი და შვილნი მათნი ყოველნი დაიცვენ ყოველთაგან საენებელთა, რომელთა აღაშენეს კარის ბრჭეი ესე". წარწერა პალეოგრაფიულად XI საუკუნისაა და, როგორც ჩანს, ეკლესიაც ამ დროსაა აშენებული. კახა მოხსენიებულია ეკლესიის სხვა წარწერებში და გამორიცხული არ იყო, რომ იგი რაჭის ერისთავთა – კახაბერისძეთა წინაპარი იყოს.[1]

საყურადღებოა ბეთლევის[2] ღვთისმშობლის ეკლესიის წარწერები, სადაც სხვადასხვა ისტორიული

[1] გ. ბოჭორიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 69.

[2] ეს სახელწოდება უთუოდ ბეთლემის ანალოგიითაა შერქმეული.

პირებია მოხსენიებული. ერთ-ერთ წარწერაში ქტიტორია დასახელებული: „ ... ლი იასშვილი სა.ა..ნისა, რომლისგანაც აღე[შენა ეკლე]სია სახელსა ზედა [ბეთ] ლემ[ისა] ღვთისმშობელისასა, ქორონიკონს რპა".[1] მეორე წარწერაში იერუსალიმის ჯვრის მამა იოანე კვიტასშვილია მოხსენიებული: „ქართლისა მთავარეპისკოპოზი და ია წელიწადსა ელუსარემის ჯუარის მამა კვიტასშვილი იოანე".


ცნობილია, რომ ჯვრის მონასტერი იერუსალიმსა და მის შემოგარენში არსებული ეკლესია-მონასტრებისა და პალესტინის ქართული კერების საქმიანობის კოორდინაციას უძღვებოდა. ჯვრის მონასტრის საქმიანობას ხელმძღვანელობდა წინამძღვარი (იღუმენი), რომელსაც საქართველოს მეფე ნიშნავდა. XVI საუკუნიდან, ერთიანი მონარქიის დაშლის შემდეგ, ქართლის მეფე ჯვრის მამად იწოდებოდა. ის გელათის წინამძღვრადაც ითვლებოდა. ჯვრის მამები განაგებდნენ იერუსალიმის ქართულ თემსაც.[2] XV საუკუნის მეორე ნახევარში ჯვრის მამათა შორის დამოწმებულია იოანე. არ გამოვრიცხავთ, რომ სწორედ ის იყოს მოხსენიებული ბეთლევის ეკლესიის წარწერაში. ბეთლევის ეკლესია XVI საუკუნეშია აშენებული და მოხატული.

შემდეგ წარწერაში კვიტაშვილების გვარის სხვა წარმომადგენლებია მოხსენიებული. „... თაყა კვიტასშვილი და უთრუთ, შვილნი მისნი; შეიწყალნეს ქრისტემან ღმერთმან. ამინ". არსებობს კვიტაშვილების 1473 წლის სასისხლო სიგელი (მიიჩნევენ, რომ იგი ნატყუარია), რომელშიც მოიხსენიებიან: მღვდელ-მონაზონი იოანე და მისი ძმები: თაყა, გიორგი, ასათი, სულა და საგინა.

საინტერესოა სოფ. კვირიკე წმიდის წმიდა კვირიკე და ივლიტეს ეკლესია XVI-XVII საუკუნეებისა. ქტიტორად მოხსენიებულია გაიანე: „ამისა ამშე-

[1] გ. ბოჭორიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 152.

[2] ე. მამისთვალიშვილი, იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ისტორია (ქართული პერიოდი), გორი, 2009, გვ. 32-37.



ზემო კრიხი
(X-XI სს.)

ნებელსა, ცოდვილსა გაიანეს შეუნდოს ღმერთმან. ამინ". ვახუშტი ბაგრატიონი საგანგებოდ მოიხსენიებს სოფელ კრიხს და მდინარე კრიხულას. „... ზეით მოერთვის რიონს სამხრიდანვე კრიხულას მდინარე, რომელი ისახელა დაბის კრიხისაგან".[1] აქ არის მთავარანგელოზის ეკლესია (X-XI სს.). აქ მეტად მნიშვნელოვანია ე. წ. პირობის ხელწერილი, რომელიც დადებულია კრიხელების მიერ: „ქ. სახელითა ღმრთისაითა, ესე ხელი დავწერეთ ჩუენ კრიხმან სოფელმან:

[1] ბატონიშვილი ვახუშტი, დასახ. ნაშრ., გვ. 763.


ვინცა ნაწირავი გაჰხუთოს საბერო და წილი საღმრთო და სალაპირო არა მისცეთ. კრულია ღმრთისა პირითა ვინცა მის (ცეს)“. ეს ხელწერილი ეკლესიის კედელზეა შესრულებული. პალეოგრაფიული თვალსაზრისით იგი XI საუკუნეს ეკუთვნის. სოფელი კრიხი იხსენიება გრიგოლ აფხაზეთის (დასავლეთი საქართველო) კათალიკოსის მიერ ბიჭვინთისადმი გაცემულ შეწირულების წიგნში, სადაც აღნიშნულია, რომ გრიგოლ ლორთქიფანიძემ შესწირა ბიჭვინთის მონასტერს „... კრიხს სასახლე, კვირტას შვილის (ალბათ კვიტასშვილის – რ. მ.) დარისპანისაგან შეწირული, ერთი მოსახლე კაცი გუბერიძე, ხელოსანი სეხნია და მისი ძმები: იონა შ-ქარი და დათუა ხელოსანი. მეორე მოსახლე გიორგი და შოშიტა. მესამე მოსახლე გოჩია და მისი შვილი პაატა. მეოთხე მოსახლე პაატა და მისი შვილები გიორგი და თამაზა და ძმისწული მისი კაცია. მეხუთე მოსახლე მესხა გიორგი და მისი შვილები რაიც ამას ზეით წერილ არს მათის სარჩოთი ტყით წყლით აგარაკით სავენახით შესავლით და გასავლით უძებრით და საძებრიანით“.

ეკლესიის ერთ-ერთი წარწერა გვაძლევს ინფორმაციას მოხატვის თაოსნების შესახებ. კერძოდ, ეკლესია მოხატულა გიორგი კორცანაიძის დეკანოზობის, იოანე ლომაისძისა და იოანე დევისძის ასისთავობის დროს.



ზემო კრიხი. დეტალი.

რაჭის საერისთავოს ისტორიასთან ორგანულ კავშირშია სოფ. სხვავა. აქ მნიშვნელოვანია „ძელი ჭეშმარიტის“ ეკლესია და კვარაციხე. „კვალად კრიხულას ერთვის, კრიხს ზეით, სხოვის ხევი, დის სამხრიდამ ჩრდილოთ, ამ ხევზედ არს ორმო დიდი, ვრცელი და ღრმა, რომელსა შინა დის წყარო... სხოვის სამხრით და კრიხის პირისპირ, აღმოსავლით კიდურს, მაღალს, კლდიანს გორასა ზედა არს ციხე კვარასი



ზემო კრიხი.
დეტალი.



სამშენებლო და ნაკაწრი წარწერები ზემო კრიხიდან.

მტკიცე".[1] „ძელი ჭეშმარიტის" ძველი ეკლესია ერთნავიანი შენობაა. ეკლესიში ჩუქურთმიანი ქვის ორი ნატეხია, მასზე წარწერები ხუცურადაა: „წმიდაო გაბრიელ, შეიწყალე ვარდან გონაისძე, მაგისა ხელოსნობასა საძირკველი ჩაიდვა". მეორე წარწერა ანალოგიურია, ოღონდ აქ ბალავარი წერია საძირკვლის ნაცვლად. წარწერა XIII საუკუნისა უნდა იყოს. მეტად მნიშვნელოვანია ვერცხლის ჯვარზე შემორჩენილი წარწერა: „ქ. უხორცოთა მთავარო გაბრიელ, მეოხ და მფარველ, ეყავ ორთავე შინა ცხოვრებათა მამკობს შენსა რატის რაჭის ერისთავსა და ძესა მისსა კახაბერს. და ააშენნეხ აზნაურნი ეკლესიასა შენსა შემავალნი, და მოხევენი, და ხევნი და ეკლესიისა შვილნი". ვფიქრობთ, ამ მეტად საინტერესო წარწერის კომენტარი ზედმეტია.

მდ. ჯეჯორას ზემო წელში მცირე მხარე, ე. წ. კუდარო მდებარეობს. ვახუშტი ბაგრატიონი ამ მხარეს რაჭის შემადგენლობაში მოიხსენიებს, მოსახლეობა კი დვალებია: „და კუალად დიდის ლიახჳსა, პატარას ლიახჳსა, კსნის ხევსა და კუდაროს მოსახლენიცა არიან დვალნივე".[2] როგორც ჩანს, კუდაროს მხარე

[1] ბატონიშვილი ვახუშტი, დასახ. ნაშრ., გვ. 764.

[2] იქვე, გვ. 648.



ზემო კრიხი.
რაჭის ერისთავები.

რაჭის საერისთაოში შედიოდა. მეცნიერი ბატონიშვილი მდ. ჯეჯორის დინებაზე არსებულ სოფლებს წარმოადგენს როგორც ვენახოვან-ხილიან და მოსავლიან ადგილებს. რაც შეეხება კუდაროს, იგი ყოფილა „უვენახო-უხილო ვითარცა სხვანი მთის, ადგილნი".[1] ნიშანდობლივია, რომ გერმანელი მკვლევარი იოჰან გიულდენშტედტი, როცა იმერეთის მეფის სოლომონ I-ის შესახვედრად მიდიოდა, სოფელ სხარტალში (სამეფო რეზიდენცია იყო), წონას უღელტეხი-

[1] ბატონიშვილი ვახუშტი, დასახ. ნაშრ., გვ. 767.

ლის გავლის შემდეგ, კუდაროს გაელით სოფელ წესში მივიდა და აქედან გააგრძელა გზა.[1]

საგულისხმოა, რომ ვახუშტი ბაგრატიონი კუდაროსთან ერთად ასახელებს: ზემო კუდაროს, ჩასავალს და გულოვანთას.

შუა საუკუნეების საქართველოში ისტორიული მხარე იყო დვალეთი. მდებარეობდა კავკასიონის ცენტრალურ ნაწილში, დარიალის ხეობასა და მამისონის უღელტეხილს შორის. ვახუშტი ბაგრატიონის მიხედვით, „დვალეთიცა განიყოფების ხევ-ხევად და იწოდების ხევნი ესრეთ: კასრის ხევად, ზარმაგად, ჟღელედ, ნარად, ზროგოდ და ზახად".[2] მეცნიერი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ აქ „პირველად სახლებულან ქართველნი გლეხნი". მას შემდეგ, რაც ქართველები ბარში ჩამოსულან და დასახლებულან, ეს ადგილები ოსებს დაუკავებიათ („გადმოსახლებულან ოსნი"). ქართული საისტორიო ტრადიციით, დვალეთი იბერიის სამეფოს შექმნის (IV-III სს. ჩვენს წელთაღრიცხვამდე) დროიდან საქართველოს შემადგენლობაში შედიოდა. ხაზგასასმელია, რომ VI საუკუნიდან დვალეთში ქრისტიანობა გავრცელდა. შემდგომში ნიქოზის ეპარქიაში შედიოდა.[3] ივანე ჯავახიშვილი საგანგებოდ აღნიშნავდა, რომ „ძველთაგანვე დვალეთი საქართველოს ეკუთვნოდა". აქ მტკიცედ ქართველობამ ფეხი დავით აღმაშენებლის დროს მოიკიდა.[4] დვალეთზე გადიოდა სამხრეთ კავკასიიდან ჩრდილოეთში მიმავალი გზები (უღელტეხილები), იწოდებოდა „გზად დვალეთისა".

[1] გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, გ. გელაშვილის გამოცემა, თბ., 1962, გვ. 105-107.

[2] ბატონიშვილი ვახუშტი, დასახ. ნაშრ., გვ. 633.

[3] დვალეთის შესახებ იხ. დ. გვრიტიშვილი, დვალთა ვინაობისა და ოსთა ჩამოსახლების საკითხისათვის, წგნ.: ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან (XIII-XIV სს.), თბ., 1962; Гамрекели В. Н., Двали и Двалетия в I-XV вв., Тб., 1961.

[4] ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული, თხზულებანი, ტ. XII, თბ., 1998, გვ. 464.

საქართველოს სამეფო ცდილობდა დვალეთის ხეობების გამაგრებას (დვალეთი საქართველოს უკიდურესი მონაპირე მხარე იყო) ჩრდილოეთიდან. XIII საუკუნის ოციან წლებში მონღოლთა შემოსევების გამო დაიწყო მიგრაციის პროცესი. დვალეთის მკვიდრი მოსახლეობა (ძირითადად ქართველები) გადმოდიოდა და სახლდებოდა კავკასიონის სამხრეთ კალთებზე. მათ ადგილს მონღოლებისგან დევნილი ოსური მოსახლეობა იკავებდა. ერთიანი საქართველოს სამეფოს დაშლის შემდეგ (XV ს. მიწურული) დვალეთი ქართლის სამეფოს შემადგენლობაში შედიოდა. გასათვალისწინებელია იმერეთის მეფის, ბაგრატ III-ის სიგელი, რომელშიც აღნიშნულია, რომ ნიკორწმინდის მონასტერს, სხვა მამულებთან ერთად გადაეცა „მთა დვალეთისა" (იხ. ს. კაკაბაძე, სჯულმდებელი ბაგრატ კურაპალატი, თბ., 1912, გვ. 8). XVIII საუკუნის დასაწყისში დვალეთი კვლავ ქართველთა გავლენას განიცდიდა. ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით, „განყოფისა ქართლისასა სამ სამეფოდ, დაშთა ხევი და დვალეთი ქართველთა მეფეთა, რომელნი მოსცემენ დღემდე ხარკთა მეფეთა..."[1]. სავარაუდოა, რომ მასზე გავლენა ჰქონდა რაჭის საერისთავოს. საგულისხმოა, რომ XVII საუკუნის დასაწყისში დვალეთის მოურავი იყო გიორგი სააკაძე. ჩრდილოეთის საზღვრებს განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ვახტანგ VI-მ. მან 1711 წელს ლაშქართან ერთად შემოიარა ეს მონაპირე მხარე: „...ჩავლო ზრამაგა და შემოვლო ჟღელის ხევი და გარდმოვლო კედელასა ზედა და მოვიდა კუდაროს და კუდაროდამ ქართლს გამარჯვებული ქ˜სა ჩ˜ღია, ქარ. ˜ტჟთ, დაიპყრა დუალეთი „და დასდვა ხარკნი და გორს მდგომი იშუებდა სხჳსა განმზრახი".[2] აქ ფაქტია, რომ მეფე ქართლს მოვიდა (დვალეთიც ქართლში შედის). შეკითხვა ერთია, რატომ დასჭირდა დვალეთის „დაპყრობა" და დახარკვა. როგორც ჩანს, ამ დროისათვის (XVIII საუკუნის დასაწყისი) დვალე-

[1] ბატონიშვილი ვახუშტი, დასახ. ნაშრ., გვ. 655.
[2] იქვე, გვ. 491.

თის მოსახლეობა უკვე ოსურია და იქნებ სწორედ მათი ურჩობის გამო მოუხდა ვახტანგ VI-ს ძალისმიერი ზომების მიღება.

დვალები, როგორც ძველი საქართველოს იბერიულ-კავკასიური ტომი, მოიხსენიებიან ანტიკურ წყაროებში (პლინიუს უფროსი, პტელემე) I-II საუკუნეებში. მეცნიერები დვალურ ენას აკავშირებენ ქართველურ (ზანურ) და ნახურ ენებთან. დვალები ადრე შუა საუკუნეებშივე მოექცნენ ქართულ კულტურულ-პოლიტიკურ გარემოში. XVIII საუკუნის დასაწყისისათვის დასრულდა დვალთა ასიმილაციის პროცესი. მათი დიდი ნაწილი ქართლის, იმერეთის და რაჭის მოსახლეობას შეერწყა. საქართველოში დღესდღეობით თითქმის ყველგან (განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში) გვხვდება გვარები დვალი (რაჭაში სოფლებში შავრაში, კაჩაეთსა და სხვ.), დვალთა უბნები. გავრცელებულია გვარები: დვალიშვილი, დვალაძე და სხვ. ცხადია, მათი წარმომავლობა დვალებიდან მოდის.

შუა საუკუნეებში ცნობილი ქართველი კალიგრაფები იყვნენ დვალთა საგვარეულოს წარმომადგენლები. ისინი, უმეტესწილად, იერუსალიმში, ქართველთა ჯვრის მონასტერში მოღვაწეობდნენ, იყვნენ საქართველოშიც. მათგან ცნობილია რამდენიმე პიროვნება: იოანე დვალი, რომელიც XI საუკუნეში ცხოვრობდა. მის სახელთანაა დაკავშირებული „თვენის" გადაწერა, „წმიდა ბასილის ცხოვრების" ლამაზი ხელით, ნუსხურად დაწერა და ლამაზი თავსამკაულითა და საზედაო ასოებით შემკობა (1055 წ.); მიქელ დვალს გადაუწერია „ჟამნი"; სტეფანე დვალს – ჟამის წირვათა კრებული; გიორგი დვალს – ლაბეჭინის ოთხთავი (მიაკუთვნებენ XIII საუკუნეს). სოფელ გლოლის ეკლესიის აღმოსავლეთ კედლის თავზე „ვედრების" სცენაა გამოსახული, რომლის ქვეშ ასეთი წარწერაა: „უფალო ქრისტე, იქონიე მოწყალება, შენ რომელი ხარ მოწყალე ჩემდა მახარობლისა, ცოდვილისა, როგორც მათის, რომლებმაც შენ ჯვარს გაცვეს, სუმვარელისა (ან სუმვარს) ძისა დვალისა. თქვენც,

ვინც წაიკითხავთ, ესე შენდობა ბრძანეთ და თქვენც შენდობილი იქნებით".[1]

შემორჩენილია დვალეთის მატერიალური კულტურის ძეგლები, ციხესიმაგრეებისა (კასრის-კარი და ხილკა) და ქრისტიანული ტაძრების ნანგრევები (ზრგოსა და მამისონის ხეობებში).

XVIII ს-ის დამდეგს დაფიქსირებულია „ციხენი, კოშკნი, ეკლესიანი ქვიტკირისანი", რომელნიც „საქართველოს მეფეთაგან ნაშენნი" იყო. თვით ხალხში ამ ძეგლების შესახებ თქმულებები იყო გავრცელებული, რომლებიც გვაუწყებდნენ, რომ ისინი თამარ მეფეს აუგია.[2]

დვალეთი ეკონომიკურადაც რაჭასთან იყო დაკავშირებული – მარილს, ცხვრის ტყავს, სვიას და სხვა პროდუქტს, რაც ამ მხარეში არ იყო, რაჭიდან ეზიდებოდნენ.

აგვარად, რაჭის საერისთავო შუა საუკუნეების საქართველოში მეტად მნიშვნელოვანი პოლიტიკური ერთეული იყო და მან აქტიური როლი შეასრულა საქართველოს ისტორიაში.[3]

1 წარწერა წაკითხულია მარი ბროსეს მიერ. გამოქვეყნდა მისი მოგზაურობის ანგარიშში, სანკტ-პეტერბურგში (1851 წ.).

2 ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული, თბ., 1996, გვ. 7.

3 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატზე თანდართული მასალები აშკარად აჩვენებს, რომ შიდა ქართლის ჩრდილოეთი ნაწილი და მისი უკიდურესი ჩრდილოეთი – დვალეთი ქართლ-კახეთის შემადგენლობაში შედიოდა. რუსეთის მიერ საქართველოს ანექსირების (1801 წ.) შემდეგ დვალეთი (ცხადია, შიდა ქართლი მთლიანად) ჯერ იმერეთის გუბერნიაში, შემდეგ თბილისის გუბერნიის გორის მაზრაში შედიოდა. 1858 წელს კავკასიის მეფისნაცვლის, ალექსანდრე ბარიატინსკის განკარგულებით, დვალეთი „კავკასიის ლინიის" ოსეთის ოკრუგს გადასცეს. 1918 წლიდან, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის შემდეგ, დვალეთი კვლავ საქართველოში შემოვიდა (ოქტომბრის რევოლუციამ რუსეთის იმპერია დაანგრია). 1920 წლის 7 მაისს რუსეთსა და

P. S.

როცა ღრმად ჩახედავ რაჭის ისტორიას, ამ კუთხის მატერიალური კულტურის ძეგლებს, შეისწავლი მის ბუნებრივ პირობებს, მის ფლორასა და ფაუნას, ხალხის წეს-ჩვეულებებს, გაეცნობი რაჭის დღევანდელობას, უპირობოდ მიდიხარ იმ დასკვნამდე, რომ:

რაჭა საქართველოს ერთ-ერთი ულამაზესი მხარეა.

რაჭას და რაჭველებს უძველესი დროიდან თავისი წვლილი აქვთ შეტანილი მსოფლიო ცივილიზაციაში.

რაჭაში უძველესი დროიდან (სულ ცოტა ოცდაცამეტი საუკუნის წინ) მოიპოვებდნენ და მოიხმარდნენ ლითონს.

რაჭაში უმაღლეს დონეზე იყო განვითარებული ხვნა-თესვის კულტურა, ბაღ-ვენახების გაშენების საქმე.

რაჭაში უძველესი დროიდან იყო დაწინაურებული მესაქონლეობა.

რაჭაში აშკარად მაღალ დონეს მიაღწია ხელოსნურმა წარმოებამ, განვითარებული იყო ხელოსნობის მრავალი დარგი.

რაჭაში მაღალ განვითარებას მიაღწია ოქრომჭედლობამ.

რაჭა მდიდარია წყალუხვი მდინარეებით, რაც ენერგიის მნიშვნელოვანი წყაროა.

რაჭა მდიდარია კავკასიის დასავლეთ საქართველოსთან (შავ ზღვასთან) დამაკავშირებელი სატრანზიტო გადასასვლელებით (ფასის, კირტიშის, მამისონის, ნოწარის და სხვა უღელტეხილები).

რაჭა უმდიდრესი მხარეა ისტორიული ძეგლებით (ეკლესია-მონასტრები) და სხვა სიძველეებით.

რაჭა განსაკუთრებით მდიდარია წიაღისეული სიმდიდრეებით.

რაჭა გამორჩეულია სათიბ-საძოვრებით.

საქართველოს რესპუბლიკას შორის დადებული ხელშეკრულებით განისაზღვრა საქართველო-რუსეთის საზღვარი, რის მიხედვითაც დვალეთი საქართველოს შემადგენლობაში იყო.



ვენახი სოფელ ხვანჭკარაში

რაჭაში უნიკალურია ტყის რესურსები.

რაჭას მნიშვნელოვანი პოტენციალი გააჩნია სამთო ტურიზმის, ალპინიზმის განვითარებისა და სახელმწიფოს სტრატეგიული უსაფრთხოებისათვის.

რაჭაში გამორჩეული ვაზის ჯიშები ხარობს და უნიკალური ღვინო იწარმოება (თუნდაც „ხვანჭკარას“ დასახელება შეიძლება).

ამგვარად, რაჭა გამორჩეულია თავისი უძველესი მდიდარი ისტორიული წარსულით (ათი ათასი წლის წინ რაჭის მაღალმთიანეთში ადამიანთა დასახლება იყო). ხაზგასასმელია ის გარემოებაც, რომ ამ კუთხეს დიდი ეკონომიკური და კულტურული პოტენციალი გააჩნია. საერთოდ მთისა და, კერძოდ, რაჭის მოსახლეობის დაკნინებული (კატასტროფულად შემცირდა მოსახლეობა საქართველოს მთიანეთში და კერძოდ რაჭაში) დემოგრაფიული მდგომარეობა (უნდა გავითვალისწინოთ, რომ მთა თავისი ხალხით

ქვეყნისათვის დიდი მნიშვნელობის ძალას წარმოადგენს) უფლებას გვაძლევს, ხმამაღლა განვაცხადოთ, რომ საქართველოს მთიანეთს, კერძოდ რაჭას, დღეს განსაკუთრებული ყურადღება სჭირდება. ეს სახელმწიფოსათვის პირველი რიგის საქმედ უნდა იქცეს.

მხოლოდ საგანგებო ზომების მიღება როგორც ქვეყნის მესვეურებისგან, ისე მთელი საზოგადოების დაუცხრომელი ძალისხმევა გადაარჩენს საქართველოს ამ ულამაზეს კუთხეს – რაჭას.

საგამომცემლო ჯგუფი

ნესტან ბაგაური
ეთერ ბაიდოშვილი
ბუბა კუდავა
ვიოლა ტუღუში
ალექსანდრე ჯიქურიძე

გარეკანის დიზაინი

ილია ხელაისი

ფოტოები

გიორგი ბარისაშვილი, გიორგი დვალაშვილი, სერგო ედიშერაშვილი, გიორგი კვიჟინაძე, მირიან კილაძე, ნიკოლოზ ჟღენტი, ლაშა სუხიშვილი, გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ინსტიტუტის ფოტოფიქსაციის ლაბორატორია, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს კინოფოტოფონოდოკუმენტების ცენტრალური სახელმწიფო არქივი

გარეკანზე:
ზემო კრიხი. რაჭის ერისთავები. ფოტო მირიან კილაძის.

გამომცემლობა არტანუჯი

თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზ. 5.
2-25-05-22, 2-91-22-83, 5(93) 25-05-22.
www.artanuji.ge artanuji@artanuji.ge